ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გვანცა მოდებაძე

რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ: სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომის მთავარი მიზანია, დაადგინოს, თუ როგორია რუსეთი ფედერაციის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ. უპირველესად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა არის ჰიბრიდული ომი, რატომ იყენებს რუსეთი მას საქართველოს წინააღმდეგ და რა შედეგებამდე მიიყვანა რუსეთის ამ პოლიტიკამ დამოუკიდებელი საქართველო.

თემა ყველაზე უფრო აქტუალურია, რადგან საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს სუვერენიტეტისთვის და მისი ეროვნული უსაფრთხოებისთვის. რუსეთისგან მომდინარე ჰიბრიდული ომი არის ის რეალური საფრთხე, რომლის წინაშეც აღმოჩნდა საქართველო. გამომდიარე იქიდან, რომ მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ომის ამ განსაზღვრებაზე და უმეტესად ომს განიხილავენ, მხოლოდ ტრადიციული გაგებით, ანუ მოიზრებენ მხოლოდ პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას, ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის კვლევა და არაერთი ფაქტის ერთ ნაშრომში თავმოყრა, რაც გაუდვილებს მკითხველს გაიგოს თუ რა არის ომის ჰიბრიდული სახეობა, რა გამოწვევების წინაშე დააყენა მან საქართველო და სამომავლოდ რა საფრთხეებისთვის ხდის მოწყვლადს.

ამრიგად, ჩემი მთავარი მიზანია, საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის ანალიზი და ყველა იმ ფაქტის იდენტიფიცირება, რაც უკავშირდება რუსულ ჰიბრიდულ ომს. განსაკუთრებული აქცენტი კი მაქვს რუსეთის მიერ სეპარატისტიზმის მხარდაჭერაზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რასაც მოჰყვა საქართველოს სახელწიფო სუვერენიტეტის რღვევა.

Abstract

The main goal of the thesis is to dicover what kind of is Russian Federation's hybrid warfare against Georgia. First of all, it's important to define what is hybrid warfare, why does Russia use it against Georgia and what was the results of Russian hybrid policy for independent Georgia.

This topic is the most actual, because according to the Georgian National Security Concept, Russia is a threat to Georgia's sovereignty and its national security. Russian hybrid warfare is a real threar which Georgia is facing now. Unfortunately, citizens of Georgia do not have an information on this definition of war and they think about war only in wraditional way – the military intervention. So, that's why it is important to make a research and gather many facts into one thesis, which will make it easy for the readers to undersand what is hybrid warfare, what kind of challenges it brings to Georgia and what will be future threats for the country.

So, my main goal is to analyze the latest political history of Georgia and identify all the facts that are associated with Russian hybrid warfare. I have a special emphasis on Russia's support of separatism in Abkhazia and Samachablo, followed by the collapse of the state sovereignty.

სარჩევი

შესავალი 5

თავი I: ჰიბრიდული ომი 16

1.1 ჰიბრიდული ომის გასაზღვრება 16

1.2 რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული ომის მახასიათებელი ფაქტორები და მისი მიზნები საქართველოსთან მიმართებში 21

თავი II: რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ 25

2.1 რუსეთი და საქართველო პოსტ-საბჭოთა პერიოდში 25

2.2 სეპარატიზმის მხარდაჭერა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 29

2.2.1 სეპარატისტული ძალების გააქტიურება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში 29

2.2.2 საერთაშორისო ვითარება და ქართული-რუსული ურთიერთობის გაუარესება 36

2.2.3 საქართველოს მხრიდან კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგავრების მცდელობა 41

თავი III: საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის რღვევა 53

3.1 სამხედრო აგრესია - აგვისტოს ომი 53

3.1.1 აგვისტოს ომი - ანალიზი 62

3.2 ბორდერიზაცია 65

თავი IV: ჰიბრიდული ომის გაგრძელება 69

4.1 რუსეთის ენერგო პოლიტიკა 69

4.2 რუსეთის კიბერტერორიზმი 72

4.3 რუსეთის საინფორმაციო ომი-პროპაგანდა 74

4.4 რუსეთის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე 76

დასკვნა 79

გამოყენებული ლიტერატურა: 82

შესავალი

„რუსი კაცისთვის სინდისი მხოლოდ ზედმეტი ტვირთია და მუდამ ტვირთი იყო, მთელი მისი ისტორიის მანძილზე.“(დოსტოევსკი, 1872)

საერთაშორისო წესირიგის ბიპოლარულმა სისტემამ კრახი განიცადა, ეს იყო სიღრმისეული ტრანსფორმაცია, რამაც 1980 წლების დასასრულსა და 1990-იანი წლების დასაწყისში სრულიად სამყარო პოსტ-საბჭოთა ეპოქის პირისპირ დატოვა, მთელი თავისი სირთულეებითა და გამოწვევებით - დაინგრა უდიდესი იმპერია, საბჭოთა კავშირი, მის ნანგრევებზე კი აღმოცენდა რუსეთის ფედერაცია (Российская Федерация). ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც 1991 წლიდან იწყებს არსებობას და დღეს ის 83 ფედერაციულ სუბიექტის აერთიანებს. ფედერაციის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური აზროვნებაც დასაბამს სწორედ 1991 წლიდან იღებს. მოსკოვი იმ პოზიციების აღდგენას ცდილობდა და დღემდე ცდილობეს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლით დაკარგა.

რუსეთის ფედერაციის ექსპანსიური ხასიათი საქართველომ და არამარტო საქართველომ წლების მანძილზე საკუთარ თავზე არაერთხელ გამოსცადა. დღეს, მიზნის მისაღწევად რუსეთი პირდაპირ სამხედრო ინტერევნციას ერიდება და ჰიბრიდული საშუალებებით ცდილობს მოწინააღმეგის დემორალიზებას, დაშლასა და შემდეგ მის დამორჩილებას. ჰიბრიდული ომი კი არ არის მხოლოდ კონვენციური, არამედ არის არაკონვენციური ომიც, როდესაც აგრესორი არა სამხედრო საშულებებით, არამედ ირიბად ებრძვის მოწინააღმდეგეს და ისე ცდილობს მისი სუვერენიტეტის რღვევას - ეს კი ნამდვილად არაა გასაკვირი, დღევანდელ მსოფლიოში, როცა წამყანი დასავლური ქვეყნები ქადაგებენ დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის იდეებს, ზედემტად რთულია ექსპანსიონისტური მისწრაფებების პირდაპირ განხორციელება, მითუმეტეს ისეთი ქვეყნის წინააღმდეგ, რომელებიც დასავლური ღირებულებების გამზიარებლებლად ითვლება საერთაშორისო ასპარეზზე.

რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან აქტიურად გამოუცხადა ჰიბრიდული ომი. რუსულ ჰიბრიდულ ომს კი არაერთი გამოვლინება აქვს ქვეყნის ახალ და უახლეს ისტორიაში, რაზეც აუცილებელად ვისაუბრებ ნაშრომში, თუმცა ჩემი მთავარი აქცენტი კონკრეტულად აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული სეპარატისტული ძალების მხარდაჭერაზე იქნება დასმული, რაც ჩემი საკვლევი თემის მთავარი საკითხია. საქართველოში სეპარატიზმის წახალისება ჰიბრიდული ომის ყველაზე დიდ მიღწევად და ტაქტიკად შეიძლება მოვიაზროთ, რადგან სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერის შედეგია ის, რომ ქვეყნის 20% დღეს ოკუპირებულია და რუსეთის მიერ უხეშადაა დარღვეული საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი. რუსეთის მიერ სეპარატისტული ძალების მხარდაჭერის კვლევის ძირითადი პერიოდი 90-იანი წელების დასაწყისიდან იღებს სათავეს და გრძელდება 2008 წლამდე, განხილული იქნება ამ პერიოდში მომხდარი ყველა მოვლენა, რამაც ხელი შეუწყო კონფლიქტის გამწვავებასა და სავალალო სურათის მიღებას. გაანალიზებული იქნება საქართველოს მთავრობის, რუსეთის ფედერაციის, აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის ე.წ მთავრობების პოზიციები და ქმედებები, ასევე საერთაშორისო მდგომარეობა და შეფასება აღნიშნული თემის ირგვლივ. ვეცდები წარმოვაჩინო ყველა ის ჩემთვის ცნობილი ფაქტი და დავადასტურო, რომ რუსეთის სეპარატისტული რეგიონების წახალისების პოლიტიკა ზუსტად ეხმიანება ჰობრიდული ომის წესებს და ეს ყველაფერი მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის რღვევაზე. მიზანი დამოუკიდებელი ქვეყნის ანექსია იყო, თავად მოსკოვი, ამაში არა პირდაპირ, არამედ ირბად უნდა გამოჩენილიყო. ხოლო, რუსული ჰიბრიდული ომის სხვა გამოვლინებებზე საუბარი იქნება ზოგად კონტექსტში და არ იქნება გაკეთებული აქცენტი კონკრეტული პერიოდზე.

თემის კვლევისას აღსანიშნია ფაქტია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ისევე როგორც, ე.წ სამხრეთ ოსეთის ავტონმიური ოლქი საქართველოში გასაბჭოების შემდეგ შეიქმნა. ეს იყო მოსკოვის მიერ ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმები, რომლებიც მაშინ უნდა ამოქმედებულიყო, როდესაც რუსეთის ჰეგემონიას კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში საფრთხე დაემუქრებოდა. წლების განმავლობაში კრემლი ამ ტერიტორიაზე მიზანმიმართულ ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა, რაც ადგილობრივი

მოსახლეობის რუსუფიკაციასა და ქართველებისგან გაუცხოებაში გამოიხატებოდა. ანტიქართული პოლიტიკა კი პროპაგანდისტული საშუალებებით ხორციელდებოდა, იქმნებოდა მტრის ხატი და ინერგებოდა ისეთი ინსტიტუტები, რომელიც ამ ყოველივეს ხელს შეუწყობდა. აღნიშნული ჩამონათვალი კი ჰიბრიდული ომის უშუალო ნიშნებია, რომლებსაც დამპყროპელი ქვეყანა მიზნამდე ნელ-ნელა მიჰყავს.

ავტონომიის ფარგლებში აფხაზები და ოსები საქართველოს შემადგენლობაში ფართო უფლებებით სარგებლობდნენ, იქ არსებობდა ყველა პირობა აფხაზური და ოსური კულტურისა და ენის განვითარებისათვის, ასევე იყო დაცული ისტორიული მემკვიდრეობა. რეალურად, არ არსებობდა იმის მიზეზი, რომ ამ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტი წარმოქმნილიყო, მაგრამ რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდულმა ომმა და ამ ტერიტორიებზე დიდი ხნის წინ დაწყებულმა ანტიქართულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო, რუსეთის არაკონვენციური ომის ძირითად მთავარ არტელერიასაც სწორედ ეს ყველაფერი წარმოადგენდა. შედეგად კი, 90-იან წლების დასაწყისში დაწყებული სისხლიანი დაპირისპირებები საქართველოში მთლიანად კრემლის მიერ იყო ინსპირირებული და მის მიერ მართული. სწორედ რუსეთის მეშვეობით შეძლეს სეპარატისტებმა 300 ათასი ქართველის გამოდევნა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკონტროლო, კრიმინალური ანკლავების შექმნა.

ჰიპოთეზა: რაც უფრო ინტენსიურია აგრესორი ქვეყნის მხრიდან წარმოებული ჰიბრიდული ომი, მით უფრო ირღვევა მისი მოწინააღმდეგე ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ნაშრომი ემსახურება აღნიშნული ჰიპოთეზის გამყარებას რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის მაგალითზე, რომელის მიზანიც იყო და არის საქართველოს სახელმიწფო სუვერენიტეტის რღვევა.

საკვლევი კითხვა: რა გავლენას ახდენს აგრესორი სახელმწიფოს მიერ ჰიბრიდული ომის გამოყენება მოწინააღმდეგე ქვეყნის სუვერენიტეტის რღვევის პროცესზე?

ცვლადები:

- დამოუკიდებელი ცვლადი - აგრესორი ქვეყნის (რუსეთის ფედერაცია) ჰიბრიდული ომი;
- დამოკიდებული ცვლადი - მოწინააღმდეგე ქვეყნის (საქართველო) სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ანალიზის ერთეული: ნაშრომის ანალიზის ერთეულია აგრესორი ქვეყნის ჰიბრიდული ომი მისი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. როგორც უკვე აღვნიშნე, რუსეთის ფედერაციის საქართველოს წინაარმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის მაგალითზე.

აღნიშნილი თემის ანალიზით შესაძლებელია დადიგნდეს თუ როგორი იყო და არის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით, როგორი მიზნები აქვს და ჰქონდა რუსეთს და რა შედეგამდე მიიყვანა საქართველო მისმა ქმედებებმა.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია ყველა იმ, ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი, დანაშაულის იდენტიფიცირება, რითაც რუსეთის ფედერაცია ცდილობდა სეპარატისტული ძალების მხარდაჭერას აფხაზეთსა და სამაჩალოში (1991-2008 წ.წ), რის შედეგადაც მოხდა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის რღვევა.

კვლევის ამოცანები:

- ჰიბრიდული ომის განსაზღვრება;
- რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული ომის მიზნებისა და მახასიათებლების წარმოჩენა და ანალიზი;
- ქართულ-რუსული ურთიერთობების ანალიზი;
- საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული რუსული ჰიბრიდული ომის ფაქტების იდენტიფიცირება და ანალიზი;
- საერთაშორისო ვითარების მიმოხილვა და ანალიზი (1991-2008);
- სეპარატისტული რეგიონების მიმართ არსებული საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ანალიზი;
- აგვისტოს ომის ანალიზი;
- ჰიბრიდული ომის სხვა გამოვლინებების ანალიზი.

თეორიული ჩარჩო: ჰიბირიდულ ომს მისი ჰიბრიდული ხასიათიდან გამომდინარე არაერთი ვარიანტი თუ ვერსია გააჩნია და შეუძლებელია მისი ზედაპირული და სწორხაზოვანი განმარტება. სხვა პოლიტიკური დოქტრინების მსგავსად ჰიბრიდულ ომს არ გააჩნია ფუძემდებლური თეორია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ზუსტი დეფინიციის დადგენა. ჰიბრიდული ომი არის მრავალფეროვანი, კომპლექსური და რთულად აღსაწერი ქმედება, რომლის არაერთ ინტერპრეტაცია და განმარტება არსებობს.

ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ XX ს-ის ბოლოს წარმოიშვა და მისი დამკვიდრება პოლიტიკურ და სამხედრო ტერმინოლოგიაში უკავშირდება ამერიკელ სამხედრო ანალიტიკოსს ფრენკ ჰოფმანს. ჰიბირიდული ომის ჰოფმანისეულ განმარტებასა და თეორიას კი დაეყრდნობა ჩემი ნაშრომი. ავტორი „ჰიბრიდული ომი და გამოწვევები“ ჰოფმანი ჰიბრიდული ომის შემდეგნაირად განმარტავს: „ჰიბრიდული ომია, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური ქცევის შესაბამის კომბინაციას და საომარი მოქმედებების სივრცეს საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“ (Hoffman, 2009, P. 35).

ფრენკ ჰოფმანი იმასაც აღიარებს, რომ „ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრების პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციაზე“ (Hoffman, 2009, P. 35).

ჰიბრიდული ომი უფრო მეტად კომბინირებულ მოქმედებათა სინთეზია, რომელიც ქაოსის პროვოცირებასა და სხვადასხვა ინოვაციურ გამოწვევებს გულისხმობს. მან წმინდა სამხედრო ტერმინოლოგიური გაგება დაკარგა და პროვოცირებული გამოწვევების შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. ჰიბრიდული ომი გადაიქცა ფსიქოლოგიური, დიპლომატიური, იდეოლოგიური, სამხედრო დაშინების, ეკონომიკური ზეწოლის, შიდა კონფლიქტური სიტუაციების შექმნის, რევოლუციების პროვოცირების, დესტრუქციული პოლიტიკური ძალებისადმი მხარდაჭერის, კიბერსაფრთხეებისა და ა.შ. ფარული და შენიღბული ომის თანამედროვე ფორმად. ჰოფმანის შეფასებით: „კონფლიქტის ხასიათის ცვლილება, რისი მომსწრენით ვართ, ყველაზე უკეთ შეიძლება სიტყვით „კონვერგენცია“

აღიწეროს - ფიზიკური და ფსიქოლოგიური კინეტიკური და არაკინეტიკური და საომარი და არასაომარი კონცეფციების კონვერგენცია“. (Hoffman, 2019, P. 34)

აღნიშნული თეორია, ზუსტად ასახავს იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია იყენებდა და იყენებს საქართველოს სუვერენიტეტის რღვევის პროცესში, შესაბამისად, სრულად ეხმიანება ნაშრომის ჰიპოთეზას. ნაშრომში საუბარი უმეტესად იქნება რუსეთის მიერ სეპარატისტული ძალების - აფხაზეთისა და სამაჩაბლოში - მხარდაჭერაზე, რაც დაადასტურებს ფრენკ ჰოფმანის თეორიას, როცა იგი ამბობს, რომ ჰიბრიდული ომი არა მხოლოდ კონვენციურ, არამედ არაკონვენციურ ბრძოლის მეთოდებსაც მოიცავს. კერძოდ, როცა აგრესორი ცდილობს არაკონვენციური ძალებით, ფარულად შექმნას საომარი მოქმედებები საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რუსეთი სწორედ ამ მიზნით უჭერდა მხარს სეპარატისტულ რეგიონებს. ასევე აწარმოებდა დიპლომატიურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ და სხვა სახის არაკონენციურ ომს, რაზეც დეტალურად ნაშრომში იქნება საუბარი. ის ცდილობდა ფარულად ებრძოლა საქართველოს წინააღმდეგ და თვითონ მშვიდობის გარანტის სტატუსი შეენრაჩუნებინა.

მეთოდოლოგია: საკითხის შესწავლისას ძირითადად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, ექსპერტული ინტერვიუ. გამოყენებულ იქნა მიზნობრივი შერჩევა და თოვლის გუნდა, ინტერვიუ ჩაუტარდა კომპეტენტურ პირებს: პოლიტიკის მეცნიერების არა ერთ წარმომადგენელს, ექსპერტსა და მკვლევარს. მათთან საუბრის შემდეგ გამოიკვეთა ძირითადი ასფექტები და ფაქტები, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კვლევის მიმდინარეობაზე.

აღნიშნული მეთოდი შერჩეულ იქნა იმიტომ, რომ მომხდარიყო საკვლევი თემის შეფასება და კომპლექსური შესწავლა, რადგან ჰიბრიდული ომის კონცეფცია სტრუქტურულად ფართოა და მისი გამოვლინებების იდენტიფიცირება საკმაოდ რთული. შესაბამისად, აუცილებელია ექსპერტულ დონეზე მისი შეფასება და იმ ადამიანებისგან ფაქტების გაგება, რომლებიც იკვლევენ და მუშაობენ მსგავსი თემატიკით. ჰორიდული ომი არის პრეცენდენტი, რომელიც მრავალპროფილურ ანალიზს, შეფასებასა და სწორ დასკვნას მოითხოვს, ეს კი თავისთავად საჭიროებს მიზნობრივად შერჩეულ პირებთან

ინტერვიუსა და მათგან ინფორმაციის მიღებას, რაც კვლევას გახდის მრავალეროვანს, ამომწურავსა და საინტერესოს.

ლიტერატურის მიმოხილვა: ნაშრომში გამოყენებულია როგორც ქართული, ასევე ინგლისური და რუსული წყაროები. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ძირითადი ნაშრომები, რომელიც მეტად მნიშვნეულოვანი იყო საკვლევი თემის კომპლექსურად შესაწვლისა და გაანალიზებისთვის: პირველი, მინდა აღვნიშნო ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსის ფრენკ ჰოპმანის ნაშრომი ჰიბრიდული ომის განსაზღვრების შესახებ „Hybrid Warefare and Challenges", რომელიც 2009 წელს გამოვიდა. ფრენკ ფოპმანის ნაშრომებში არსებულ თეორიას ჰიბრიდული ომის შესახებ ეყრდნობა ჩემი კვლევა, ნაშრომში აღწერილია ჰიბრიდული ომის პრეცენდენტი, თუ რა არის ის, როგორ ხასიათი აქვს და რა გამოწვევების წინაშე შეიძლება ქვეყანა დააყენოს. ჩემი აზრით, ესაა უმნიშვნელოვანესი ნაშრომი თუკი გვინდა ომის ამ სახეობაზე მეტი გავიგოთ. შესაბამისად, ჩემი მიზანიც ისაა, რომ მისი თეორია დავადასტორო ნაშრომში თავმოყრული ფაქტებით. ჰიბრიდული ომის განსაზღვრებისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომი „ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება". ეს არის ნაშრომი, რომელშიც ზედმიწევნითაა გადმოცემული ჰიბრიდული ომის გამოვლინების ფაქტები და საუბარია მოსალოდნელ შედეგებზე. ნაშრომში ჰიბრიდული ომის პრეცენდენტი სხვადასხვა კუთხითაა განხილული, რამაც საშუალება მომცა ზუსტად მომერგო ეს ყველაფერი დღევანდელ რეალობას და გამეანალიზებინა აღნიშნული პრობლემის სიმწვავე და მრავალფეროვნება; ნაშრომში ასევე საუბარია რუსეთის როლზე, რომელიც გვევლინება აღნიშნული ომის მთავარ აქტორად და საუბარია კრემლისმიერ ომის ჰიბრიდულ ხასიათზე, ასევე კარგადაა აღწერილი თუ რა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა რუსეთმა თავისი განახლებული ტაქტიკით საქართველო. ეს ნაშრომი კი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება ქართული ენაზე ჰიბრიდული ომის შესახებ, ამიტომ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯის ნაშრომის შექმნა და ასე ზუსტად აღწერა ყველა იმ გამოწვევის, რასაც ომის ეს სახეობა გვიმზადებს. ჩემი მიზანი კი არის ბევრად უფრო

გავშალო ეს თემა და მეტი ფაქტითა და ანალიზით შევძლო საკითხის კომპლექსური შესწავლა.

ნაშრომი, რომელიც ასევე ძალიან მნიშვნელოვან საინფორმაციო რესურს წარმოადგენს ჩემი ნაშრომისათვის არის რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ვალერი გერასიმოვის 2013 წლის 27 თებერვალს დაბეჭდილი სტატია, გაზეთ „სამხედრო სამრეწველო კურიერში". აღნიშნული სტატია მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციის განახლებული საბრძოლო სტრატეგიის გასაანალიზებლად, ეს სტრატეგია კი უდაოდ გასცდა კლასიკურ ომის განმარტებას და ჰიბრიდული ხასიათიც მიიღო. გერასიმოვი სტატიაში საუბრობს რუსული თვალთახედვიდან დანახულ ახლებური ომის ფსიქოლოგიურ ხასიათს. გერასიმოვის რუსულის პოლიტიკის ამ განსაზღვრებას „გერასიმოვის დოქტრინა" ეწოდა. აღნიშნული დოქტრინა გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ რუსული ჰიბრიდული ომის გამოვნილებები და დავინახოთ როგორ ზუსტად ეხმიანება გერისიმოვის მიერ აღწერილ ომის ხასიათს. სტატიის გაანალიზება აუცილებელი ნამდვილად იყო, რადგან საინტერესოა ვიმსჯელოთ და დავინახოთ თუ თავად რუსები როგორ ხედავენ რუსულ პოლიტიკას და რა შეფასებას აძლევენ მას, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ რუსეთის ქმედებებში. ჩვენ ამ შემთხვევაში დავინახეთ პოზიცია, რომელიც არ იყო გასაკვირი, მაგრამ ძალიან საინტერესო, რადგან ამაზე უკვე რუსებიც ალაპარაკდნენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოცემას წარმოადგენს წიგნი „რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელი" წიგნი ეკუთვნის სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს მერი გაბედავას, რომელიც გამოიცა 2009 წელს. ავტორი საუბრობს რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზებზე, სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე და ასევე განიხილავს საერთაშორისო დამოკიდებულებას კონფლიქტისადმი, ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა, რადგან ჩვენ არაერთ საინტერესო ფაქტის შესახებ ვიგებთ და ასევე, ავტორისეული ანალიზი ამართლებს იმ მოსაზრებებს, რომელის დადასტურებასაც სამაგისტო ნაშრომი ესმახურება. აღსანიშნავია, სოხუმის უნივერსიტეტის დიმზირ ჯოჯუას მიერ 2010 წელს გამოსული წიგნი „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედგები", წიგნში არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვაა

2008 წლის ომის, არამედ განხილურლია ისტორიული წინამძღვრებები და საუბარია რუსული ომის „ირიბ“ ხასიათზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიღებული გამოცდილებით შეიქმნა და უფრო და უფრო მძლავრიც ხდება, რის წინაშეც საქართველო უკვე მრავალი წელია მოწყვლადია და ცდილობს თავდაცვას.

ნაშრომისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართლის მუხლების განხილვა და ანალიზი, რამაც მომცა საშუალება შემეფასებინა რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ქმედებები განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. განხილულია ასევე გაერთიანებული ერების წესდება და გაეროს მიერ მიღებული რეზულუციები, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ქმედებების შეფასებასა და ანალიზში.

ნაშრომში განხილულია არაერთი დადგენილება, რომელიც მიიღო საქართველომ, რუსეთმა, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა, ასევე განხილულია მათი ლეგიტიმურობის საკითხი. ყურადღება ეთმობა საქართველოს კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ და ასევე საქართველოს მთავრობის „სახელმწიფო სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“, რაც გვეხმარება საქართველოს პოზიციის უკეთესად აღქმაში.

ნაშრომისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ანდრეი ილარიონოვის სტატიას „რუსული მმართველი წრეების საომარი სამზადისი, 1999-2008.“ ანდრეი ილარიონოვი ვლადიმერ პუტის ყოფილი მრჩეველი იყო ეკონომიკის საკითხებში, შესაბამისად მას გააჩნდა ზუსტი ინფორმაცია რუსეთის პოლიტიკაზე და მიზნებზე საქართველოსათან მიმართებაში. მის სტატიაში ჯერ კიდევ 1999 წლიდან იწყება რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე საუბარი, მაშინ როდესაც პუტინმა რუსეთის ფედერაციაში რეალური ძალაუფლება აიღო ხელში, ავტორის თქმით ომი საქართველოს წინააღმდეგ ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი მოვიდოდა ხელისუფლებაში და მან მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ საქართველო-რუსეთის ომი გარდაუვალი გამხდარიყო. ავტორი ქრონოლოგიურ ჯაჭვს გვთავაზობს, რომელსაც 1999 წლიდან დაიწყო და მოგვიყვანა 2008 წლის აგვისტოს ომამდე. მის მოსაზრებებს განვიხილავ ნაშრომში და შეგვეძლება შევაფასოთ თავად რუსების აზრი კრემლის ქმედებებზე. ასევე, უცხოელი ავტორებიდან

აუცილებელი განსახილველი წიგნია ამერიკელი დიპლომატის რონალდ ასმუსის „მცირე ომი, რომელმა მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი“ აღნიშნული წიგნი 2010 წელს გამოვიდა და მნიშვნელოვანი წყაროა იმის შესაფასებლათ თუ როგორ აღიქვა დასავლეთმა საქართველოში მომხდარი სამხედრო აგრესია, როგორ მივიდა საქართველო ამ შედეგამდე და როგორი იყო რუსული პასუხი.

მინდა, ასევე აღვნიშნო, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის, მალხაზ მაცაბერიძის 2008 წელს გამოსული ნაშრომი „რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები“. აღნიშნულ ნაშრომში ზედმიწევნითაა გადმოცემული რუსული აგრესიის ხასიათი და მისი დანაშაულებრივი ქმედებები საქართველოსთან მიმართებაში, რამაც ქვეყნის სუვერენიტეტზე და ტერიტორიულ მთლიანობაზე უხეშად იმოქმედა. აღვნიშნავ, დავით მაცაბერიძის სადოქტორო ნაშრომს თემაზე „კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმის დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინტიტუტებისა და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი)“, 2014 წ. მოცემულმა ნაშრომმაც არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და ინფორმაცია შემატა ჩემს კვლევას, ასევე კახებერ ყალიჩავას 2016 წელს გამოსვებული ნაშრომი „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში“, ეს ნაშრომი ბევრ მნიშვნელოვან წყაროს აერთიანებს, შესაბამისად დიდ საინფორმაციო რესურსაც იძლევა. ასევე, დიდი ინფორმაციის მომტანი იყო ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, ალესანდრე კუხიანიძის 2004 წელს გამოსული ნაშრომი „კონტრაბანდის პრობლემა საქართველოში: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი“, რამაც საშუალება მომცა შემეფასებინა აღნიშნულ რეგიონებში მიმდინარე მოვლენები და პრობლემების სიმწვავე.

ნოშრომში კიდევ გაანალიზებულია სხვადასხვა ენოვანი წყაროები, რომლებმაც ბევრი ფაქტით გაამდიდრა ნაშრომი, თუმცა დაკვნის სახით მინდა გამოვყო 2009 წელს გამოსული სამ ტომიანი კვლევა „საქართველოში მომხდარ კონფლიქტან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია“, რომელშიც ზედმიწევნითაა აღწერილი ყველა მოვლენა თუ ფაქტი, რაც რუსულ-ქართული ურთეიერთობების შესწავლისთვისაა საჭირო. ნარომში როგორც ისტორიული

მიმოხილვა, ასევე ომის მსვლელობა და მისი სამართლებრივი შეფასებებია თავმოყრილი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევისათვის.

ამრიგად, ნაშრომისათვის შესწავლილ იქნა ბევრი დოკუმენტი, სტატია, წიგნი, დოკუმენტური ფილმი. ეს ყველაფერი დამეხმარა ობიექტურად გამეანალიზებინა და შემეფასებინა რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. მისი მიზნები, ქმედებები; მისგან მომდინარე საფრთხეები, გამოწვევები და ამასთან, რა თქმა უნდა, საქართველოს პოტენციალი და მზაობა რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებისგან თავის დასაცავად. ამ ყველაფერის წარმოდგენას კი ნაშრომში ვეცდები.

ოპერაციონალიზაცია: დამოკიდებული ცვლადს - აგრესორის (რუსეთის ფედერაცია) ჰიბრიდულ ომს - არაერთი ინდიკატორი აქვს, რომლის გამოყოფაც აუცილებლია, რათა გაადვილდეს კვლევის პროცესი. საკვლევი თემიდან გამომდინარე აუცილებელია რუსული ჰიბრიდული ომის იმ ინდიკატორების შესწავლა, რომლებიც უშუალოდ ფიგურირებენ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ჰიბრიდულ ომში, ჩემი კვლევის მიხედვით კი ესენია უმეტესად ესენია: სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა; რუსული ენერგო პოლიტიკა; კიბერტერორიზმი; საინფორმაციო ომი-პროპაგანდა; რუსეთის მცდელობა ქონდეს გავლენა ქართულ ეკონომიკაზე.

ხოლო, რაც შეეხება დამოკიდებელ ცვლადს - მოწინააღმდეგე ქვეყნის (საქართველო) სახელმწიფო სუვერენიტეტი - მისი ინდიკატორებია ჰიბრიდულ ომს მოყოლილი შედეგები, კერძოდ, სამხედრო აგრესია - აგვისტოს ომი - და აგრესიის შემდგომი ბორდერიზაცია, ე.წ მცოცავი ანექსიის პოლიტიკა.

თავი I: ჰიბრიდული ომი

1.1 ჰიბრიდული ომის გასაზღვრება

ტრადიციული გაგებით, ომი არის ორი ან მეტი სახალმწიფოს შორის არსებული კონფლიქტის სამხედრო ძალადობის გზით გადაწყვეტა, სადაც მთავარი როლი ენიჭებათ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებსა და გასამხედროვებულ ფორმირებებს. თუმცა, ეპოქის შესაძლებლობებთან ერთად ძალზედ იცვლება კონფლიქტის ხასიათი და მისი გამოწვევები. კონფლიქტის სახე, რომელსაც ჰიბრიდული ომი უწოდეს ომის ტრადიციულ გაგებას ბევრად სცილდება და დაპირისპირებისას სამხედრო საშუალებებზე მეტად, არასამხედრო საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას, რითიც ვიღებთ უფლო მძლავ და საშიშ ომის სახეობას. „ჰიბრიდული ომის შესახებ წარმოდგენა ბოლო წლების კონფლიქტის ანალიზიდან არის მიღებული, რომლებშიც სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად ომის ფორმების განზრახ აღრევას ვხედავთ“ (Hoffman, 2019, P. 36).

როგორც უკვე აღვნიშნე, ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ XX ს-ის ბოლოს წარმოიშვა და მისი დამკვიდრება პოლიტიკურ და სამხედრო ტერმინოლოგიაში უკავშირდება ამერიკელ სამხედრო ანალიტიკოსს ფრენკ ჰოფმანს. არავინ ამტკიცებს, რომ ჰიბრიდული ომი არის სიახლე, მაგრამ ახალ პოლიტიკურ რეალობაში, როდესაც მიმდინარეობს გეოპოლიტიკური ტრასფორმაციები და ახალი სტრატეგიული რეალობის ფორმირება, მისი შინაარსობრივი სტრუქტურა და დატვირთვა თავისებურად შეიცვალა; იგი უფრო მეტად კომბინირებულ მოქმედებათა სინთეზია, რომელიც ქაოსის პროვოცირებასა და სხვადასხვა ინოვაციურ გამოწვევებს გულისხმობს. მან წმინდა სამხედრო ტერმინოლოგიური გაგება დაკარგა და პროვოცირებული გამოწვევების შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა. ჰიბრიდული ომი გადაიქცა ფსიქოლოგიური, დიპლომატიური,

იდეოლოგიური, ეკონომიკური ზეწოლის, შიდა კონფლიქტური სიტუაციების შექმნის, სამხედრო დაშინების, რევოლუციების პროვოცირების, დესტრუქციული პოლიტიკური ძალებისადმი მხარდაჭერის, კიბერსაფრთხეებისა და ა.შ. ფარული და შენიღბული ომის თანამედროვე ფორმად. პრაქტიკულად ყველა სახის მოქმედება, რომელიც კინეტიკურ იარაღის გამოყენების გარეშე მოწინააღმდეგეს (ან მას, ვისაც ასეთად განიხილავენ) ასუსტებს, აზიანებს მის ერთიანობას, არეულობა შეაქვს მის სტრუაქტურებში, პოლიტიკურ პროცესებში, აფერხებს მისი ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური თუ ინსტიტუციური სისტემების ეფექტიანობას, თესავს პანიკასა და გაუგებრობას, რომელიც ართულებს გარკვეულ ტერიტორიაზე საზოგადოების მართვას, შეაძლოა ვუწოდოთ ჰიბრიდული ომის ტაქტიკა. მარტივად, რომ ვთქვათ ჰიბრიდული ომის „მიზანია შეარყიოს და გაანადგუროს სახელმწიფოები პირდაპირი, ღია და ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის გარეშე“ (Galeotti, 2014).

ჰიბრიდული ომის კომპლექსური ხასიათი აქვს და მისი წამომწყები ქვეყნის მთავარი მიზანია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სრულად მოუშალოს საფუძველი. ომის მიზანია მოწინააღმდეგის სრული დემორალიზება, მართვადი ქაოსის შექმნის მეშვეობით. „შენიღბული სახეებით, ფარული მართვითა და კონტროლით, ფარული ბრძანებებით, მაგრამ უდაოდ ამოქმედებული სახელმწიფო მიზნების მისაღწევად“ (Washington post, 2019).

აგრესორი ცდილობს მიზანში ამოღებულ სახელმწიფოში „დასაყრდენი ჯგუფების“ შერჩევას და მათ გამოყენებას პროვოკაციებისათვის, ამისათვის განსაკუთრებით სეპარატისტულ ძალებს იყენებენ და ასე ცდილობენ სიტუაციის შერყევასა და კრიზისის ინსპირირებას მსხვერპლ სახელმწიფოში, რაც მაგალითად რუსეთს კარგად გამოუვიდა საქართველოში. „ამის მისაღწევად არ არის აუცილებელი უხეში ძალის ინსტრუმენტების გამოყენება, არამედ საჭიროა პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა არასამხედრო ზომების გაატრება მოსახლეიობის პოტენციურად საპროტესტო სეგმენტთან მჭიდრო კოორდინაციაში“ (Galeotti, 2014).

ქვეყნის ნელი დაშლა და სასურველი პოლიტიკური აქტორების მოყვანა სამიზნე ქვეყნის სათავეში არის მთავარი მიზნები, რასაც ჰიბრიდული ომი ემსახურება. ჰიბრიდული

ომი თავდაპირველად, საკმაოდ უწყინარი და უმტკივნეულოა, ანუ იწყება ისე, რომ მისი იდენთიფიცირება უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული ომის სტადიაშია შესაძლებელი, ეს იმიტომ ხდება, რომ ჰიბრიდული ომის „მიზანია, დაასუსტოს სახელმწიფო მანამ, სანამ სახელმწიფო მიხვდება, რომ კონფლიქტი დაწყებულია“ (Sherr, 2016).

ბოლო წლებში არსებული კონფლიქტების ანალიზის შემდეგ შეიქმნა ჰიბრიდული ომის შესახებ წარმოდგენა, სადაც მთავარ როლშია რუსეთი, რომელიც ომის ტრადიციული განმარტებისგან განსხვავებულ ჰიბრიდულ ვარიანტს გვთავაზობს, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ჰიბრიდული ომი ახალი არა არის, მისი გამოვლინება ადრეც იყო. მაგალითად, გავიხსენოთ რუსული ჰიბრიდული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარ დასაყრდენი ე.წ „მწვანე კაცუნები", ანუ უსამკლაურო ჯარისკაცები, რუსეთის ხელისუფლების ფარულ ჯარისკაცები და აგენტები, რომელბიც არიან სხვადასხვა ქვეყანაში და მათი მიზანია მიზანში ამოღებული ქვეყნის დესტაბილიზაცია, ისე რომ რუსეთის ხელისუფლების სახელი არ ფიგურირებდეს ამ საქმეში. ზოგადად, ჰიბრიდულ ომს და კერძოდ, უსამკლაურო ძალების გამოყენებას საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია, თუნდაც გავიხსენით ბენიტო მუსოლინის პოლიტიკა, როცა კი მან ირიბად გადაწყვიტა ესპანეთის სამოქალაქო ომში ჩართულობა და ფაშისტების მხარეს საბრძოლველად გაუშვა ძალიან ბევრი ჯარისკაცი სამკლაურების გარეშე, რომელთა იდენტიფიცირება საკმაოდ რთული იყო. იგივე სამოქალაქო ომში მუსოლინიმ წყალქვეშა ნავებიც გამოიყვანა გემების ნაცვლად, რათა ასევე გაჭირებულიყო მათი იდენტიფიკაცია და ისე მიეღწიე სასურველ შედეგს. კარგად ვხედავთ, რომ ჰიბრიდული ომის ბევრი გამოვლინება ადრეც საკმაოდ ხშირად იყო, თუმცა დღეს ჰიბრიდულ ომს სხვა საშიში მახასიათებლები აქვს, მათ შორის კი განსაკუთრებული ისაა, რომ გაიხარდა არასამხედრო საშუალებების როლი, რომელითაც ცდილობენ კონფლიქტების დასაწყისში არაფიზიკური ძალით დაასუსტონ მოწინააღმდეგე.

წინა საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე საომარი მოქმედებები დასავლეთ ბალკანეთსა და, განსაკუთრებით, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში ჰიბრიდული ტაქტიკის შამოყალიბებისა და გამოცდის პოლიგონებად მოგვევლინა. ამ კონფლიქტებში რუსული სპეცსამსახურები სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ, იქნებოდა ეს გადაცმული

სამხედროების აჯანყებულებად წარმოდგენა, მათ მიერ შემუშავებული სამხედრო გეგმების მეორე ქვეყანაში მოქმედი სეპარატისტული ძალების მიერ განხორციელება, პანიკის თესვა ჭორებითა და დეზინფორმაციით თუ ხელოვნურად დაპირისპირებულ ბანაკებში ერთმანეთის სიძულვილითა და გაუცხოებით გაღვივება. ამ ყველაფერმა ეფექტურად „იმუშავა“.

ისტორიას ძალიან ბევრი ომი თუ კონფლიქტი ახსოვს, რამაც მსოფლიოში წესირიგსა და მშვიდობის დამყარების მნიშვნელობა დაანახა კაცობრიობას. შესაბამისად, წარმოიშვა აუცილებლობა, რომ შექმნილიყო მექანიზმი, რომელიც მეტნაკლებად დაარეგულირებს სიტუაციასა და შეამცირებს სახელმწიფოთა შორის სამხედრო აგრესიას. კონსესუსის საფუძველზე ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლი და მისი ძირითადი პრინციპები:

- სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი;
- ძალის გამოყენებაზე ან ძალით დამუქრებაზე უარის თქმა;
- სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი; [1]
- საზღვრების ურღვევობის პრინციპი;
- სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი;
- ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპი;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა;
- საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი; [2]

---

[1]იხ. გაერთიანებული ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პარაგრაფი, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ქარტიის მე-2 მუხლის C პარაგრაფი, ბანდუგის 1955 წლის 24 აპრილის საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის დეკლარაცის მე-2 მუხლი, ბელგრადის 1961 წლის 6 სექტემბრის მიუმხრობელი სახელმწიფოების დასკვნითი დეკლარაციის III განყოფილების მე-2 მუხლი; გაერო-ს 1970წ. დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის დეკლარაცია.

[2]იხ. პარიზის (ბრიან-კელოგის) პაქტის ე-2 მუხლი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 1-ლი მუხ. 1 პარაგრაფი და მე-2 მუხლის მე-3 პარაგრაფი, 33-ე და 38-ე მუხლები, არაბეთის სახელმწიფოების ლიგის პაქტის მე-5 მუხლი, აფრიკის ერთობის ორგანიზაციის ქარტიის მე-3 მუხლის მე-4 პარაგრაფი, ამერიკის სახელმწიფოს ორგანიზაცის წესდების მე-5 მუხლის 1 პარაგრაფი, გაერო-ს 1970 წლის დეკლარაციის, ჰელსინკის დასკვნითი აქტი.

- სახელმწიფოთა მოვალეობა ითანამშრომლონ ერთმანეთთან წესდების შესაბამისად;
- საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

ნამდვილად დიდი მიღწევაა მსოფლიოში ამ კუთხით მშვიდობის დამყარების მცდელობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საერთაშორისო სამართალში არაა ნახსენები ჰიბრიდული ომის პრენენდენტი და არც მისი იურიდიული სტატუსია განსაზღვრული, რაც არ აიძულებს აგრესორს სათანადო იურიდიული ვალდებულებების აღებას, ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ზუტად დადგენას თუ როდის და როგორი იწყებს აგრესორი სახელმწიფო ჰიბრიდული ომის წამოწყებას მოწინააღმდეგისთვის. ომის ეს გამოვლინება ზემოთ აღნიშული ყველა საერთაშორისო სამართლის პრინციპის ფარული და უხეში რღვევა გახვლავთ, რაზეც აუცილებელია შესაბამისი ორგანოების მყისიერი რეაგირება, კვლევა, რათა მოხდეს იურიდიული სტატუსის მინიჭება და ჰიბრიდული ომის მწარმოებელი სახელმწიფოს დასჯა, რადგან ომის ეს სახეობა ყველა იმ შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომელსაც 21-ე საუკუნე იძლევა, უფრო და უფრო საშიში ხდება. „მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დაწესებულ ზღვარს გადალახავს“ (The Economist: “How the NATO’s Article 5 works”, 2015).

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ჰიბრიდული ომის მთავარი აქტორი რუსეთია და მისმა ჰიბრიდულმა პოლიტიკამ არაერთ მოუგვარებელ კონფლიქტს ჩაუყარა საფუძველი. ჩემი კვლევის მთავარი მიზანი კი რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდგე წარმოებული ჰიბრიდული ომის კვლევაა, რომელის ყველაზე საშიშ გამოვლინებათ სეპარატისტული ძალების მხარდაჭერას მივიჩნევ, მისი ამგვარი პოლიტიკით ცდილობს საქართველოში დესტაბილურობის, ქაოსის, განხეთქილების შექმნას, რასაც ძალიან სერიოზული შედეგიც მოჰყვა - საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის უხეში რღვევა.

1.2 რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული ომის მახასიათებელი ფაქტორები და მისი მიზნები საქართველოსთან მიმართებში

რუსეთის ფედერაციის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური აზროვნება დასაბამს 1991 წლიდან იღებს, როდესაც არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირმა, ხოლო თავად რუსეთში ტოტალიტარული კომუნისტური სისტემა დაემხო. დაიშალა საბჭოთა კავშირი და ბუნებრივია რუსეთის ფედერაციის გავლენაც შესუსტდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ნაწილზე, ყოფილმა საბჭოთა ქვეყნებმა დაიწყეს დასავლეთისკენ სწრაფვა და ასე გამოხატეს ახალი პოლიტიკური ორიენტაცია, ამის ნათელი მაგალითი კი ე.წ „ფერადი რევულუციებია". საქართველო, უკრაინა და მოლდოვა მიისწრაფიან ევროპული და ჩრდილო-ატლანტიკური სივრცისკენ მიისწრაფვიან, ხოლო ევროკავშირისა და ნატო-ს[3] საგარეო პოლიტიკას, რომელის მიზანიც დემოკრატიის დანერგვაა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში, რუსეთი აღიქვამს დიდ საფრთხედ მისი გლობალური გეოპოლიტიკური ინტერესების გამო. პოზიციების გასამყარებლად კი, როგორ უკვე არაერთხელ აღინიშნა, კრემლმა დაიწყო ჰიბრიდულ ომი და ასე ცდილობს მის ხელთ არსებული ყველა ძალით მიაღწიოს მიზანს, ამაზე კი ფრენკ ჰოფმანი ამბობს: „უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ომის ხასიათის ცვლილება კონცეფციიდან რეალობად იქცა, რადგან ვხედავთ, როგორ იზრდება ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ისეთი კონფლიქტების რაოდენობა რომლებიც „არ ჯდება ომის დასავლურ კატეგორიაში" (Hoffman, 2009).

ყურადღებას გავამახვილებ რუსული ჰიბრიდული ომის რამდენიმე მახასიათებელ ფაქტორზე:

1. რუსეთი ყველანიარად ცდილობს გააქროს საზღვარი მშვიდობასა და ომს შორის და არაპირდაპირი სამხედრო აგრესიით შეძლოს მოწინააღმდეგის ნელ-ნელა დამორჩილება;

[3] North Atlantic Treaty Organisation, NATO.

2. რუსეთმა კარგად იცის სამხედრო ძალების მნიშვნელობა და როლი, მაგრამ ახალი ტიპის ომისათვის ის უკვე არასამხედრო საშუალებებს მეტად აქტიურად იყენებს და მათ ზურგს ამოფარებული, ირიბად ცდილობს მოწინააღმდეგეზე გავლენის მოპოვებას;
3. რუსეთი იყენებს ფულს, გავლენას, ენერგო-რესურსებს, პროპაგანდას, კიბერ-სივრცეს და ძალიან დიდ ჯაშუშურ ქსელს.

რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ უკვე არაეთ ასპექტშია გამოვლენილი. სანამ დავიწყებდი კონკრეტულად ამ გამოვლენინებების განხილვას, აუცილებელია აღინიშნოს თუ რატომ სურს რუსეთის ფედერაციას საქართველოზე მონოპოლია? - ამის მიზეზებია:

- საქართველომ აშკარად დაიწყო სვლა დემოკრატიული დასავლეთისაკენ - ეს კი უაღრესად მუღებელია კრემლისთვის;
- რუსეთი საქართველოს მიიჩნევს მის ისტორიულ ნაწილად;
- რუსეთს აქვს სურვილი აღადგინოს ძალაუფლება ყოფილ სსრკ-ს ტერიტორიაზე;
- საქართველოს გეოპოლიტიკა ძალიან მიმზიდველი და ხელსაყრელია, რაც ქმნის სავაჭრო-სატრანზიტო დერეფანს, შავ ზღვაზე თავისუფლად ნაოსნობისა და რეგიონში ძალაფლების გამყარების შესაძლებლობას;
- საქართველოზე ძალაუფლებით რუსეთი პირდაპირ უმეზობლდება თურქეთს და უახლოვდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, სადაც ასევე ცდილობს ძალაუფლების მოპოვებას;
- რუსეთს გაუდვილდება მისი სტრატეგიული ინტერესების გატარება ჩრდილოეთ კავკასიაში.

მართალია, საქართველომ გამოიარა 2008 წლის აგვისტოს ომი, რაზეც დაწვრილებით შემდეგ ვისაუბრებ, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაცია პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას ერიდება და მისი ჰიბრიდულ პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ნელ-ნელა განადგურება, ასევ თქვათ, „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით.

რუსულ ჰიბრიდულ ომის მიზნებზე და სპეციფიკაზე საუბრისას აუცილებლად კიდევ ერთხელ აღსანიშნია „გერასიმოვის დოქტრინა“. ვალერი გერასიმოვი რუსეთის

ფედერაციიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსია, რომელმაც 2013 წელს ძალიან საინტერესო და ყურადსაღები სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „სამხედრო-სამრეწველო კურიერში“. სტატიაში საუბარია კრემლის ახალი ტიპის ომზე, რომელმაც საკმაოდ იცვალა ხასიათი.

გერასიმოვი სტატიაში არაბულ გაზაფხულზე საუბრობს და მის მაგალითების განხილვით ამბობს, რომ „საკმაოდ წარმატებული სახელმწიფო რამდენიმე თვესა თუ დღეშიც კი, იქცეს მძაფრი შეიარაღებული კონფლიქტის არენად, უცხოური ინტერვენციის მსხვერპლად დაჩაიძიროს ქაოსში, ჰუმანიტარულ კატასტროფასა და სამოქალაქო ომში“ (Geleotti, 2014). გერასიმოვი არ ამბობს, რომ ამ ყოველივესთვის აუცილებელია პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია, ის ხაზს უსავს საინფორმაციო, ეკნომიკური და პოლიტიკური ძალების გამოყენების მნიშვნელობაზე, ასევე ამბობს, რომ ძალიან კარგია თუ მოწინააღმდეგე სახელმწიფოში არსებულ საპროტესტო სეგმენტთან მჭიდრო თანამშრომლობას დაიწყებს რუსეთი, რაც ზუსტად ეხმიანება რუსეთის ქმედებებს აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში. გერასიმოვის თანახმად, ასეთი ოპერაციების სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს „მუდმივ მოქმედი ფრონტის შექმნა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე“ (Geleotti, 2014), ამით შეიძლება აიხსნას რუსეთის სტრატეგია პოსტ-საბჭოთა სივრცეში და განაკუთრებით საქართველოში.

„გერასიმოვის ცენტრალური დოქტრინის არსი ეფუძნება იდეას, რომლის თანახმადაც თანამედროვე ომში ბრძოლის მთავარ სამიზნეს გონება წარმოადგენს და შესაბამისად, თანამედროვე სამხედრო ოპერაციებში დომინანტური ადგილი საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ომს ეთმობა“ (Berzins, 2014). ამ ყველაფრის მიზანი კი მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიური გატეხვაა, რაც უხეში ძალის ინსტრუმენტების გამოყენება მინიმუმამდე ამცირებს, ხოლო მიზანი კი მიღწეულ იქნება.

გერასიმოვის სტატიაში ძალიან მნიშვნელოვანი იდეებია თავმოყრილი და პირდაპირ ეხმიანება რუსეთის პოლიტიკას, რომელიც ზუსტად სტატიაში აღწერილი მეთოდებით ებრძვის საქართველოს და ასე ცდილობს ქვეყნის სუვერენიტეტისა და სანდოობის დასუსტებას.

რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული პოლიტიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინაარმდეგ არაერთ ასპექტში ვლინდება საკმარისია გავიხსენოთ რა მისი მიმდინარე საინფორმაცია ომი/პროპაგანდა, ეკონოიკის მოშლისა და ბაზრის ათვისების მცდელობა, კიბერშეტევები და ა.შ ეს კი იმიტომ ხდება, რომ „პოლიტიკური სტრატეგიული მიზნების მიღწევაში არასამხედრო საშუალებების როლი გაიზარდა და თავისი ეფექტურობით ამ საშუალებებმა, ბევრ შემთხვევაში, იარაღის ძალასაც კი გადააჭარბა“ (Geleotti, 2014).

ჩემი კვლევის უშუალო თემას რუსეთის ფედერაციის მიერ სეპარატიზმის მხარდაჭერა წარმოადგენს, რომელიც მიჩნეულია ჰბირიდული ომის ერთ-ერთი გამოვლინებად და აფხაზეთში და სამაჩაბლოში აქტურად მიმდინარეობდა 90-იანი წლების დასაწყისიდან 2008 წლამდე, ხოლო შემდეგ რუსეთმა მიაღწია მიზანს და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა, რის შემდეგად სეპარატისტული რეგიონები უკვე ოკუპირებულ რეგიონებად იწოდებიან. რუსეთმა არაერთი პროვოკაცია განახორციელა ამ წლების განმავლობაში, რასაც უკვე დეტალურად ქვემოთ განვიხილავ.

თავი II: რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ

2.1 რუსეთი და საქართველო პოსტ-საბჭოთა პერიოდში

დღევანდელი რუსულ ჰიბრიდული ომის უკეთ გასაგებად აუცილებელია ვისაუბროთ პოსტ-საბჭოთა პერიოდზე, რომელიც 1991 წლიდან დაწყო. ამას გვერდს ვერ ავუვლით, რადგან რუსული ჰიბრიდული პოლიტიკის ზუსტი ანალიზითვის, სწორედ წარსულიდან გვჭირდება არაერთი ფაქტის გააზრება.

რუსეთი და საქართველო, როგორც იქნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გვევლინება. მათი ურთიერთობა საკმაოდ ცვალებადი იყო და იცვლებოდა იმ ახალ პოლიტიკურ ძალასთან ერთად, რომელიც საქართველოს სათვეში ექცეოდა, ხოლო რუსეთის პოლიტიკური კურსი კი იყო და არის საკმაოდ მყარი და უცვლელი საქართველოსთან მიმართებაში. აუცილებელი მგონია, რომ გადავხედოთ თუ როგორ იცვლებოდა პოლიტიკა მთავრობების შეცვლასთან პარალელურად.

აღსანიშნია, სსრკ-ში გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პერიოდი, როდესაც საბჭოთა სისტემამ ლიბერალიზაცია განიცადა, ამ დროს საქართველო, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, თავისთავად ცდილობდა აღიარება მოეპოვა, რომ 1920 წლის 7 მაისის

ხელშეკრულების დარღვევა და ფაქტობრივი ანექსია მოხდა, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო მოსკოვმა ეს არ აღიარა, რადგან „წარსულში არსებული აგრესიის აღიარება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც დღეს თავისუფალია აგრესიული ზრახვებისაგან“ (მაცაბერიძე, 2008, გვ. 78), მოსკოვის შემთხვევაში კი ეს ასე არ იყო. 1991 წლის 17 მარტს კი გორბაჩოვმა დანიშნა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების თაობაზე. აღნიშნული რეფერენდუმის საპირისპიროდ საქართველოს მთავრობამ 31 მარტს დაინიშნა რეფერენდუმი, რომელშიც საქართველოს მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე: „გინდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მათ შორის ეროვნულმა უმცირესობებმაც, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. სწორედ ამ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მოვლენებით კარგად ჩანს თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიასა და მის მთავრობას რუსეთისადმი. „გამსახურიადს მოთხოვნამ, რომ საქართველო ქართველებს დარჩენოდათ, ედუარდ შევარდნაძეს უანდერძა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფო“ (Goltz, 2009, P.17).

საქართველოს დამოუკიდებლობა მოსკოვისთვის მიუღებელი ფაქტი იყო, მაგრამ პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას იგი ვერ დაიწყებდა, ამიტომ აამოქმედა ჰობრიდული ომის მეთოდები და ქვეყნაზე ძალაუფლების დაბრუნება სხვა ფარული გზებით სცადა, ამიტომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე მოსკოვის პირველი საპასუხო ნაბიჯი სეპარატისტების მხარდაჭერის გააქტიურება იყო აფხაზეთისა და ცხინვალის ავტონომიურ ოლქებში, რაზეც დეტალურად შემდეგ ვისაუბრებ. თუმცა, იმ პერიოდში მთავარი მაინც შიდა დაპირისპირებების გამწვავება იყო, რასაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. ეს დროში ზუტად დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლას.

ხელისუფლების სათავეში მოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რაც, იდეაში, ნიშნავდა რუსეთის მიმართ უფრო „დამთმობი“ პოლიტიკის გატარებას. საქართველოში ორი შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში 1991-92 წლებში, ხოლო აფხაზეთში

1992-93 წლებში მოხდა, რის შემდეგადაც შევარდნაძე არათუ შეურიგდა სეპარატიტული რეჟიმების არსებობას რეგიონებში, არამედ ამ ტერიტორიების რუსეთის კონტროლქვეშ გადასვალასაც, რუსეთის „სამშვიდობო მისიის“ აღიარებით (მაცაბერიძე, 2008, გვ. 77). შევარდნაძის დამთმობი პოლიტიკის მაგალითი იყო ისიც, რომ მთავრობის ძალოვანი მინისტრები პირდაპირ მოსკოვის მითითებით ინიშნებიდა და ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად საქართველო 1993 წელს დსთ-ს[4] შემადგენლობაში შეიყვანეს. ქართულ საზოგადოებაში იმ დროს არსებული თვალსაზრისის თანახმად, დსთ წარმოადგენდა „მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირს“, ხოლო დსთ-ში შესვლა აღიქმებოდა როგორიც რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაცია. (მაცაბერიძე, 2008, გვ. 78)

საქართველოს დსთ-ში შესვლითა და 1994 წლის 3 თებერვლას „მეგობრობის, კეთილდღეობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერით დაიწყო ახალი პერიოდი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. ისტორიულ პარალელს თუ გავავლებთ შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ რუსეთთან გააფორმა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ახალი ვარიანტი. საქართველო თანხმდებოდა, რომ თავის პოლიტიკას რუსეთის ინტერესების შესაბამისად წარმართავდა, თავის ტერიტორიაზე ტოვებდა რუსეთის სამხედრო ბაზებს, სანაცვლოდ კი რუსეთის მხარდაჭერას ითხოვდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქართული არმიის მშენებლობაში. თუმცა გასაკვირი არცაა, რომ „მოსკოვის კეთილგანწყობის“ ძიება უშედეგო აღმოჩნდა. რუსეთის დუმამ არ მოახდინა საქართველოსთან დადებული „მეგობრობის“ ხელშეკრულების რატიფიცირება (მაცაბერიძე, 2008, გვ. 78), რუსეთმა საჭიროდ არ ჩათვალა საქართველოს ინტერესების გათვალისწინება, რადგან მიიჩნია, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შემდეგ დაკარგავდა საქართველოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტს, რადგან მას მაქსიმალისტური მიზნები ჰქონდა, ამიტომ გააგრძელა ჰიბრიდული მეთოდებით ამ მიზნისკენ სწრაფვა.

[4]„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობობა“- საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა და შედგება 9 ყოფილ საბჭოთა რესპბლიკისაგან. საქართველო 2008 წლის 18 აგვისტოს ოფიციალურად გამოვიდა დსთ-ს შემადგენლობიდან.

მოსკოვის პასუხის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ პოლიტიკა შეცვალა, მეორე ალტერნატივა, რომელითაც შეიძლებოდა ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა, ეს იყო დასავლეთი. საქართველო გახდა სუამი-ს[5] წევრი და ამით რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია, რადგან აღნიშნულ ორგანიზაციას რუსეთი იმის წინააღმდეგ მიმართულ „გეოპოლიტიკურ პროექტად“ მიიჩნევდა. 2002 წლის ნოემბერში კი შევარდნაძემ ოფიციალურად ითხოვა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება (მაცაბერიძე, 2008, გვ. 80) ეს კი უკვე ძალიან სერიოზული ნაბიჯი იყო თბილისისგან.

შევარდნაძის საგარეო პოლიტიკას ე.წ „ლავირების პოლიტიკა“ ეწოდა, შევარდნაძე მაშინ მას ხსნიდა სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობითა და რეგიონში დიდი სახელმწიფოების ინტერესებს შორის ბალანსის ძიების სურვილით. მაგრამ შევარდნაძის ოპონენტები მის საგარეო პოლიტიკას მისი მმართველობის ერთ-ერთ კრახად მიიჩნევდნენ. რადგან ამ პერიოდში რუსულ რბილ ძალას შესამჩნევი გავლენა ჰქონდა არა მახოლოდ ქართულ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაზე, მთავრობას კი ეგონა, რომ ამით გარკვეულ სარგებელს ნახავდა, სინაამდვილეში კი ამან გაცილებით დიდი პრობლემა წარმოშვა, ვიდრე იმ პერიოდში ქართულ ხელისუფლებას წარმოედგინა.

2003 წლის ნოემბერში მოეწყო „ვარდების რევოლუცია“ ქვეყანაში მოსული ახალი ხელისუფლება, სათავეში მიხეილ სააკაშვილით, შეეცედა დასავლეთთან სწრაფი ნტეგრაციას და უარი თქვა შევარდნაძისეულ ჯერ „რბილ“, შემდეგ კი ბალანსის პოლიტიკაზე, რაც ყველაზე უფრო ცხელ პერიოდად უნდა მივიჩნიოთ რუსულ-ქართული ურთიერთობების თანამედროვე ისტორიაში, რაზეც დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ.

ხოლო, 2012 წლიდან ხელისუფლება კვლავ იცვლება, მაგრამ არა რევულუციის გზით, არამედ მშვიდობიანად. საქართველოს სათავეში მოსული „ქართული ოცნება“ იწყებს ე.წ „გადატვირთვის პოლიტიკას“. 2012 წლიდან „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ აქვს სურვილი პოლიტიკური კონფლიქტი გამიჯნულ იყოს ეკონომიკურ, კულტურულ და

[5]სუამი - სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, შეიქმნა 1997 წ. ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის მიერ: საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა. (1999-2004 მასში ასევე შედიოდა უზბეკეთი).

ჰუმანიტარულ საკითხებისგან და აქვთ სურვილი ამ მხრივ ნორმალიზებულ იქნას ქართულ-რუსული ურთიერთობა, მაგრამ ჰიბრიდული ომის მრავალფეროვნების ფონზე, რთულია ითქვას, რომ ეს იდეა კარგი და მიღწევადია, შეიძლება ამ ყველაფერმა მეტად გაზარდოს რუსეთის რბილი ძალა საქართველოში, თანაც ბოლო დროინდელ მოვლენებს თუ გავიხსენებთ, დავინახავთ, რომ რუსეთს არათუ რაიმის ნორმალიზება, არამედ საქართველოზე ნებისმიერი სახით გავლენა სურს.

2.2 სეპარატიზმის მხარდაჭერა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში

2.2.1 სეპარატისტული ძალების გააქტიურება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკური გრძნობები განსაკუთრებით იმ უმცირესობებში გამწვავდა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ტერიტორიულ-ავტონომიური სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული. ამან კი ყოფილ ცენტრსა (სსრკ) და ყოფილ მეორე რანგის ერთეულს (აფხაზეთი/სამაჩაბლო) შორის ახალი კავშირის წარმოქმნის საშუალება წარმოშვა, რაც ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებულ სახელმწიფოს, საქართველოს, წინააღმდეგ მიმართულ ალიანსად გაფორმდა, რასაც ასევე ხელი შეუწყო რუსეთის ფედერაციის მიზნებმა საქართველოსთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მართებულად შეაფასა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიული ავტონომიებიდან მომდინარე საფრთხეები, მან ვერ შესძლო ავტონომიური რეგიონის სეპარატისტული ძალების არსებული შესაძლო გარე მხარდაჭერის შედეგების გათავისება, რომელსაც ადგილობრივი სეპარატისტები წარმატებით იყენებდნენ სეცესიისათვის ბრძოლაში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, შეიარაღებული კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში 1991-92 წლებში, ხოლო აფხაზეთში 1992-93 წლებში მოხდა და „საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ საქართვლელო ასევე იბრძოდა რუსული ჩრდილოვანი სამხედრო ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც აფხაზებს ამარაგებდნენ იარაღით, ლოგისტიკითა და ავიაციითაც კი“ (Goltz, 2009, P. 25). ამ სამხედრო დაპირისპირებებმა ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. ორივე რეგიონში სეპარატისტებმა რუსეთის სამხედრო

დახმარევით გაიმარჯვეს და დე ფაქტო დამოუკიდებლობაც მოიპოვეს. უამრავი დევნილი და იძულებით გადაადგიებული პირი საკუთარი სახლის გარეშე დარჩა და ისინი, ვინც დარჩნენ კონფლიქტის ზონაში იმყოფებიან ძალიან რთულ პირობებსა და ტერორში. ორივე კონფლიქტი იყო რუსეთის ფედერაციის გეგმის ნაწილი და მისი ჰიბრიდული ომის ნათელი მაგალითი, ქვეყანა ცდილობდა შიდა კონფლიქტების დანერგვითა და გაღვივებით საკუთარი ძალის დემონსტრაციას და ძალაუფლების მოპოვებას და მართლაც რუსეთმა მიზანს 1994 წელს მიაღწია. კრემლმა აფხაზეთსა და სამჩაბლოში ორი სეპარატისტული ანკლავი შექმნა და მათზე ძალიან დიდი გავლენაც ჰქონდა, ამ გავლენით კი პირდაპირ ზემოქმედებდა საქართველოზე. კონფლიქტის ზონებში რუსეთმა სამშვიდობო ძალების სახელით თავისი შეიარაღებული ძალები განალაგა და, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საქართველოში მათი ყოფნას შესაბამისი ხელშეკრულებებიც ადასტურებდა.

ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ შეიქმნა ე.წ შერეული სამხედრო ძალები: ქართული, რუსული და ოსური ბატალიონების შემადგენლობით, ეს რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან უმეტესი ძალას სწორედ რუსეთი იღებდა ქართულ მიწაზე. ამავე შეთანხმებით კონფლიქტის ზონაში ეუთოს სადამკვირვებლო მისიაც განთავსდა, მაგრამ რუსეთი ყველანაირად ცდილობდა არაპირდაპირი გზებით სადამკვირვებლო მისიის კონფლიქტისგან ჩამოშორებას, რადგან არ აწყობდა ნეიტრალური მხარის მიერ მისი ქმედებების გამოაშკარავება. კონფლიქტის ზონად ჩაითვალა ტერიტორია ქალაქ ცხინვალის ცენტრიდან 15 კმ. რადიუსით, გარდა ამისა დაწესდა უსაფრთხოების დერეფანი, რომლიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვირის გასწვრივ 14 კმ. ზოლს შეადგენდა. 7-7 კილომეტრს ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. სამწუხაროდ, ამ ფაქტით რუსეთს ოფიციალური უფლება მიეცა საქართველოს ტერიტორიებზე მოქმედების, ამ საფრთხეს კი საქართველო, როგორც ჩანს, მაშინ სათანადოდ ვერ აფასებდა.

1994 წლის 4 აპრილს უკვე აფხაზეთში მოეწერა ხელი სამშვიდობო შეთანხმებას და აქაც რუსი სამხედროები სამშვიდობო ძალების სტატუსით განლაგდნენ ტერიტორიაზე. 48 კმ-იანი უსაფრთხოების ზოლი დაწესდა გალი-ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვართან,

რომლის 24 კმ. გალის რაიონზე გადიოდა, ხოლო 24 კმ. ზუგდიდის რაიონის სიღრმეში შედიოდა, ამ ზონაში იზღუდებოდა ნებისმიერი ტიპის მძიმე ტექნიკის, არტილერიის, აგრეთვე სამხედრო ფორმირებების დისლოცირება.

ეს იყო პერიოდი, როცა რუსეთი გაცილებით მეტ ტერიტორიას აკონტროლებდა ე.წ სამშვიდობო სტატუსით, ვიდრე დღეს. ეს ე.წ სამშვიდობოები კი იყვნენ ადამიანები, რომლებიც 2008 წელის აგვისტოს ომში ქართველების ეთნოწმენდაში იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას სხვა რუსულ სამხედრო დანაყოფებთან ერთად, ხოლო აგვისტოს ომამდე კი ავიწროვებნენ ქართველ მოსახლეობას, გამოირჩეოდნენ უდისციპლინობით, იყო ძალადობის ფაქტები. რუსული კიდევ ერთი ფიქცია კი 1994 წლის დოკუმენტით აღებული ვალდებულებაც აღმოჩნდა, რომლის მიხედვითაც რუსეთს ხელი უნდა შეეწყო იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სახლებში დაბრუნებას. რუსეთს არ უნდა კონფლიქტების მოგვარება და არც რეალურ ნაბიჯებს არ დგავდა ამისთვის, ის პირიქით მზად იყო ნებისმიერი ახალი დაძაბულობის ინსპირირებისთვის და საქართველოსთვის სეპარატისტულად განწყობილი რეგიონების მეტად ჩამოშორებისთვის.

მოსკოვი მთლიანად აკონტროლებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას და ასე გავლენა ჰქონდა დამოუკიდებელ საქართველოზეც, ეს კი მის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის მთავარი მიღწევაა. სოხუმსა და ცხინვალში ჩამოყალიბდა სეპარატისტული ხელისუფლებები, რომლებიც მოსკოვიდან დანიშნული ჩინოვნიკების მეშვეობით იმართებოდა, ესეც კიდევ ერთი ნათელი მაგალითია ჰიბრიდული ომის განსაზღვრების, როცა მოწინააღმდეგე ქვეყანაში ომის მწარმოებელი სახელმწიფო თავისივე სურვილით ნიშნავს მათი ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ აქტორებს. სეპარატისტები აგრეთვე აქტიურად ფინანსდებოდნენ მოსკოვიდან, რაც ასევე არაა გასაკვირი. მოკლედ თუკი შევაჯამებთ, პოლიტიკურად, სოციალურ-კულტურულად და ეკონომიკურად აფხაზეთი და სამაჩაბლო მთლიანად რუსეთზე იყვნენ მიბმული.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტული ძალების გააქტიურებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ანდრეი ილარიონოვის სტატიას „რუსული მმართველი წრეების საომარი სამზადისი 1999-2008“. ანდრეი ილატიონოვი ვლადიმერ პუტინს ყოფილი მრჩეველია ეკონომიკის საკითხებში და ამბობდა, რომ რუსულ-ქართული კონფლიქტის

ჩანასახებს ჯერ კიდე 1999 წელს ხედავდა, როდესაც პუტინმა ჩაიბარა რუსეთი. „რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები, რომელმაც მოგვიანებით, სააკაშვილის გაპრეზიდენტების პერიოდში, ომი ამ ორ ქვეყანას შორის გარდაუვალი გახადა“ (Illarionov, 2009, P. 49). ეს ნაბიჯები კი შემდეგი იყო:

2000 წლის 9 ნომებერს, რუსეთის ფედერაციის მესურვეებმა გააუქმეს დსთ-ს მასშტაბით მოქმედი კანონი უვიზო მიმოსვლის შესახებ, რის მიხედვითაც რუსეთში გასამგზავრებლად საქართველოს მოქალაქეები ვალდებულები გახდნენ დაეკმაყოფილებინათ სავიზო რეჟიმისთვის აუცილებელი მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმი ძალიან მსუბუქად ეხებოდა აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და აჭარის მოსახლეობას (Illarionov, 2009, P. 51).

რუსეთი ერეოდა შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგში ამის ნათელ მაგალითზე ილარიონოვიც აღნიშნავს და წერდა, რომ ე.წ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი 1996 წლიდან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლუდვიგ ჩიბიროვი იყო, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ცდილობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. სცენარის განვითარება ჩიბიროვის გეგმის მიხედვით, რა თქმა უნდა, არანაირად არ შედიოდა რუსეთისა და სეპარატისტი ოსების ინტერესებში. საბოლოოდ, არჩევნების მეორე რაუნდში, რომელიც გაიმართა 2001 წლის 6 დეკემბერს, 53%-ით, გაიმარჯვება მოიპოვა ედუარდ კოკოითმა, რომელმაც 2002 წლის 9 იანვარს პრემიერმინისტრად დანიშნა გერასიმ ხუგაევი. რამდენიმე დღეში, კოკითმა მოაწყო ე.წ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა დახურული შეხვედრა, რომელზეც მთავარ საკითხად დაისვა „სამხრეთ ოსეთისათვის“ დამოუკიდებლობის მოპოვების მიხნით საქართველოსთან ომის მომზადება. შეხვედრის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა აღნიშნილი გეგმა მიუღებად მიიჩნია და არ დაუჭირეს მას მხარი. მომდევნო წლებში კი ის ადამიანები, რომლებმაც კოკოითის გეგმა მიუღებლად მიიჩნიეს გაქრნენ ე.წ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ასპარეზიდან - ზოგიერთმა დატოვა „რესპუბლიკა“, ზოგი ცხინვალის ციხეებში აღმოჩნდა, ხოლი ზოგიერთი კი საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა (Illarionov, 2009, P. 51-52).

2002 წლის 7-8 სექტემბერს კოკოითი ესტუმრა სოხუმს და აფხაზეთთან გააფორმა, „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთს შორის, რუსეთის წინამძღოლობით, საქართველოს წინაარმდეგ სამხედრო თანამშრომლობის დოკუმენტი. რამდენიმე დღეში, 11 სექტემბრის ტერაქტის პირველ წლისთავზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველო გამოაცხადა ქვეყნად, რომლისგანაც ტერორისტული საფრთხე მომდინარეობდა და გამოაცხადა რუსეთის მზადყოფნა გაეროს წესდების 52-ე მუხლის ასამოქმედებლად საქართველოს წინააღმდეგ (Illarionov, 2009, P. 53).

2002 წლის ბოლოს კოკოითმა წამოიწყო „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკის სივრცის დაკომპლექტება რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების კადრებით. 25 დეკემბერს კი, რუსეთმა აღადგინა რუსეთიდან აფხაზეთში მიმავალი სარკინიგზო მონაწკვეთი, რომელიც დსთ-ს ქვეყნების გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 1996 წელს იქნა დახურული (Illarionov, 2009, P. 53).

2004 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ერთგავ საიდუმლო გეგმას, რომელიც რუსეთის ფედერაციას ჰქონდა „სამხრეთ ოსეთში“. მასში შედიოდა სამხედრო ბაზების აშენება ცხინვალსა და ჯავაში, ვლადიკავკაზის სამხედრო აკადემიაში სპეციალური დეპარტამენტის გახსნა, რომელშიც შევიდოდნენ კადეტები „სამხრეთ ოსეთიდან“ და ასევე გარკვეული რაოდენობის სამხედრო ინსტრუქტორების გაგზავნა „სამხრეთ ოსეთში“. მთავარ მიზანს წარმოადგენდა, სუსტად ორგანიზებული და ცუდად შეიარაღებული, „სამხრეთ ოსური“ პოლიციის გადაკეთება 7000-იან რეგულარურ არმიად (Illarionov, 2009, P. 55).

2004 წლის 7 ივნისს „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტმა სთხოვა რუსეთის დუმას გამოეცხადებინათ „სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და „დაეცვათ რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები“. გარდა ამისა, 2-6 ივნისს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთში“ გააგზავნა სამოცდათხუთმეტი ერთეული - თ-72 საბრძოლო ტანკი, ოცი ერთეული „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის სისტემა, ოცდაათამდე საარტელერიო სისტემა და ორასზე მეტი საჰაერო-თავდაცვითი სისტემა „იგლა“. ავღანური და ჩეჩნური სამხედრო გამოცდილების მქონე რუსი პოლკოვნიკი ანატოლი ბარანჩკევიჩი დაინიშნა „სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრად (Illarionov, 2009, P. 55).

15 ივნისს „სამხრეთ ოსურმა” ნაწილებმა სცადეს თავდასხმა ცხინვალის ჩრდილოეთით, ქართულ სოხელ ერედვისა და ქართული ანკლავების, ქურთისა და თამარაშენის დამაკავშირებელ, მშენებარე გზაზე. მომდევნო დღეს, რუსეთმა საქართველოს ელექტრომომარაგება შეუწყვიტა. 8 ივლისს ქართულმა მხაეემ შეიპყრო სამხედრო ამუნიციითა და ტექნიკით დატვირთული რუსეთიდან „სამხრეთ ოსეთში“ მომავალი ცხრა სატვირთო მანქანა. მომდევნო დღეს 50 ქართველი მშვიდობისმყოფელი განაიარაღეს და დააჩოქეს ცხინვალის ცენტრში. იმავე ღამით, დაიბომბა ქართველების მიერ კონტროლირებადი სოფლები - თამარაშენი და ქურთა. რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის OPT-ს წარმომადგენელმა მიხაილ ლეონტიევმა კი განაცხადა: „ჩვენ მოვუწყვეთ ხაფანგი ქართველებს. ამჯერად, როგორც ჩანს, ისინი გაებნენ მასში“. მომდევნო დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინიტრომ, ქართული მხარე დაადანაშაულა „პროვოკაციების ორგანიზებაში“ და დადო პირობა „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვისა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ორმხრივი ცეცხლი „სამხრეთ ოსეთში“ გაგრძელდა 2004 წლის 20 აგვისტომდე. იმ დროისათვის 19 ქართველი და 5 ოსი ჯარისკაცი იყო მოკლული (Illarionov, 2009, P. 56-57).

2006 წლისთვის, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის“ მიწოდებული რუსული სამხედრო ამუნიციის, იარაღისა და აღჭურვილობის რაოდენობა, ორივე რეგიონში ერთად მცხოვრები 250 000-იანი მოსახლეობით, აჭარბებდა საქართველოს სამხედრო ტექნიკასა და აღჭურვილობის რაოდენობას. 2008 წლის დასაწყისისთვის კი ამ რეგიონების სამხედრო აღჭურვილობა, საქართველოსთან შედარებით ორჯერ გაიზარდა (Illarionov, 2009, P. 60).

კონფლიქტის ესკალაციის ახალი ფაზა დაიწყო 2006 წელის 27 სექტემბერს, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გამოაცხადა ქვეყანაში ჯაშუშთა ქსელის აღმოჩენის შესახებ. კონტრდაზვერვის ოპერაციების შედეგად, ოთხი რუსი ოფიცერი და თერთმეტი ქართველი მოქალაქე იქნა დაპატიმრებული. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნაზე, ახსნილიყო აღნიშნული ფაქტი, ქართულმა მხარემ წარმოადგინა აუდიო და ვიდეო ჩანაწერები ხუთი ქართველი

მოქალაქისა, რომლენიც აღიარებდნენ კავშირს რუსულ სამხედრო დაზვერვასთან (Illarionov, 2009, P. 62).

საქართველომ დაპატიმრებული ოფიცრები საკმაოდ ხმაურიანად გადასცეს ეუთო-ს ოფიციალურ პირებს. ამის საპასუხოდ კრემლმა რუსეთში მცხოვრები ქართველების დეპორტაცია დაიწო, რუსეთში დარჩენილი ქართველების კი აშკარა შევიწროვება, ყველაზე უფრო მახინჯი კამპანიის გაგრძელება კი ალბათ ის იყო, რომ რუსულ ზოგიერთ სკოლაში პოლიციამ მოითხოვა სია ქართული გვარის მქონე ბავშვებისა. ამ ქმედებებს საპროტესტო აქციებიც კი მოჰყვა მოსკოვში, რუსეთმა კი უარესი პასუხი გასცა საქართველოს და 2006 წლის 3 ოქტომბერს გაწყვიტა საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, სახმელეთო და საბანკო კავშირები, დაადო ემბარგო ღვინოს, მინერალურ წყალს, ხილს და ა.შ ამით კი ქართულ ეკონომიკას ძალიან დიდი ზარალიც მიაყენა.

2007 წლის იანავრში დასრულდა ე.წ. „ჯაშუშების საქმე“, რუსეთის ელჩი დაბრუნდა საქართველოში, მოიხსნა სანქციებიც, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ დააწესა რუსეთმა, მაგრამ შედეგი მეტად მკაცრი იყო, კიდევ უფრო გაფუჭდა ორ ქვეყანას შორის ისედაც საკმაოდ დაძაბული სიტუაცია.

სხვა დანარჩენთან ერთად აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ერთგავრ შავ ხვრელებს წარმოადგენდნენ, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა კონტრაბანდა. უკონტროლო ტერიტორიებიდან ხდებოდა ადამიანების გატაცება და ასევე იარაღისა და ნარკოტიკების ტრანზიტი. ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული ერგნეთის ბაზრობა იყო. ამ ადგილიდან წლების განმავლობაში საქართველოში უკონტროლო საქონელი მასიურად შემოდიოდა. რუსეთის სამშვიდობო ძალები კი იყვნენ ჩართულნი კონტრაბანდაში. აფხაზეთში ისინი აკონტროლებდნენ ყველა ოფიციალურ ხიდს და ცხინვალშიც ყველა კონტრაბანდისტულ გზავნილს. ამდენად, სწორედ ეს ეკონომიკური მოტივებიც განსაზღვრავდა რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის მოუგვარებლობის სურვილსა და მათ ჰიბრიდულ პოლიტიკას.

სააკაშვილკის ხელისუფლებამ კონტრაბანდის წინააღმდეგ შეტევა განახორციელა სამაჩაბლოში. ახალი ხელისუფლებას სურდა მეტი კონტროლი და როლი ჰქონოდა სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და ბუნებრივიცაა ასეთი დიდ პრობლემაზე

რეაგირება უკვე უნდა მომხდარიყო, ამიტომაც ლოგიკურია, მიღებულ იქნა უსაფრთხოების ზონები და მოწყვლად ტერიტორიაზე გაგზავნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალები, რაც რუსეთში სამაჩაბლოზე კონტროლის აღდგენის მცდელობად მიიღეს და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ახალ ფაზაში გადასვლად რეალურად, ეს ასეც იყო, რადგან ყველამ კარგად იცოდა თუ რა პოლიტიკური მიზნებიც არსებობდა კონტრაბანდისტური არეალების უკან.

საბოლოოდ, 2004 წლის ივნისში ერგნეთის ბაზარი დაიხურა და ეს ოსებისთვის შეირაცხა, როგორც აგრესორი საქართველოდან კიდევ ერტი არამეგობრული ქმედება, ეს კი იმიტომ, რომ ბევრი ოსისთვის სწორედ კონტრაბანდა და ეს ორგანზებული დანაშაულის ფორმა იყო შემოსავლის ერთადერთი წყარო, რუსეთისთვიაც, რა თქმა უნდა, ქართული მხარის ეს ქმედება არ იყო მოსაწონი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა 2004 წელს ისიც კი განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა ამის შემდეგ იქნებოდა პასუხისმგებელი, მომავალში სიტუაციის გაუარესებასა ან „სისხლისღვრაზე“ რეგიონში, ეს კი აშკარად დამუქრება იყო.

2.2.2 საერთაშორისო ვითარება და ქართული-რუსული ურთიერთობის გაუარესება

საერთაშორისო დონეზე რუსეთი სიტყვით ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტოიულ მთლიანობას, ეს არცაა გასაკვირი როცა ჰიბრიდულ ომთან გავქვს საქმე, ამ დროს მარტივად რომ ვთვათ, აგრესორი ერთს ამბობს და სრულიად საპორისპიროს აკეთებს. მოსკოვმა სეპარატისტთა მიერ აფხაზეთის ომის დროს განხორციელებული ქართველების ეთნიკური წმენდაც კი აღიარა, მაშინ როცა აფხაზეთში და სამაჩაბლოში მოსახლეობის რუსიფიკაციის პროცესში საქართველოს ყოველთვის აგრესორად ხატავდა. დამოუკიდებელ სახელმიწოთა სამიტზე რუსეთმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, რომელიც აფხაზეთის სეპატარისტულ რეჟიმს იზოლაციაში აქცევდა. შეთახმების თანახმად ურთიერთობას ოფიციალური თბილისის თანხმობის გარეშე, სეპარატისტებთან იკრძალებოდა ნებისმიერი სახის სამხედრო, პოლიტიკურ თუ

ეკონომიკური ურთიერთობა. ესეც ერთგვარი თვალის ასახვევი ნაბიჯი იყო კრემლისაგან, რადგან რეალურად კრემლი ამას ყოველთვის აკეთებდა და არც აპირებდა გაჩერებას.

1999 წელის ეუთოს სამიტმა სტამბულში აღიარა აფხაზეთში ქართველების ეთნოწმენდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სამიტზე მაინც ევროპაში ჩოულებრივ შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება იყო. გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც 30 სახელმწიფომ დაუჭირა მხარე, მათ შორის იყო რუსეთი. აღნიშნული გადაწყვეტილება კი გარკვეულ კვოტებს ადგენდა ევროპაში ჩოულებრივი შეიარაღებული ძალების განლაგებაზე. ამ გადაწყვეტილებამ კი საქართველოში რუსი სამხედრო კონტიგენტის შემცირების საერთაშორისო საფუძველი შექმნა და ქართველებს იმედი მიეცათ, რომ რუსი ჯარები საბოლოოდ დატოვებდნენ კიდეც მის ტერიტორიას. სტამბულის ხელშეკრულებას თან დაერთო რუსულ-ქართული განცხადება, რომლის მიხედვითაც რუსეთი იღებდა ვალდებულებას, რომ ის გაიყვანდა ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან, მაგრამ აღნიშნულს კრემლი ყველა შესაძლო მიზეზებით აჭიანურებდა, რაც არც იყო გასაკვირი, კრემლის მიზანს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, კონფლიქტურ რეგიონებში სტატუს-ქვოს შენარჩუნებდა წარმოადგენდა და ამათ საქართველოს ტერიტორიაზე მისი უხეში გავლენის გაძლიერებასაც. მას არ აწყობდა კონფლიქტების მოგვარება, რადგან ასეთი ვითარება მოსკოვს საქართველოს მართვის კარგ საშუალებას აძლევდა. სწორედ ამიტომ, სამშვიდობო მოლაპარაკებები, სადაც რუსეთს მთავარი როლი ჰქონდა, რეალურად, ფორმალურ შეხვედრებად გადაიქცა. მოსკოვი ცდილობდა ხელის შეშლას საერთასორისო ორგანიზაციებისთვის, რათა ისინი სამშვიდობო პროცესებში არ ჩართულიყვნენ. რუსეთმა შექმნა ილუზია, რომ იგი მშვიდობისა და სტაბილურობის ერთადერთი გარანტი იყო და მას ალტერნატივა არ ყავდა და ცდილობდა სხვადასხვა გზებით ამ იდეის გაღრმავებას განსაკუთრებით სეპარატისტული რეგიონებში მცხოვრების მოსახლეობის თვალში.

კრემლის პოლიტიკაში საქართველოს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რუსეთისთვის საქართველო იყო კავკასიის გასაღები და სწამდა. რომ თუკი თბილისს გააკონტროლებდა, მისი იქნებოდა მთელ კავკასიასც. 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველო ნელ-ნელა გამოდიოდა რუსეთის გავლენიდან. ჯერ-კიდევ უდაურდ

შევარდნაძის ხელისუფლების დროს მიხვდნენ, რომ რუსეთი სულაც არ იყო ქვეყნისათვის მშვიდობის მყოფელი და მათი რბილი პოლიტიკა აუცილებელ ცვლილებეს საჭიროებდა, რადგან რუსეთი არანაირად არ აპირებდა ქვეყნის გაერთიანებისა და დამოიკიდებლობის დაშვებას.

როგორც ზემოთაც არა ერთხელ აღვნიშნე, საქართველოში რევულუცია მოხდა. 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევულუცია" იყო უდიდესი პრეცენდენტი, რომელიც, რა თქმა უნდა, ქართულ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას მთლაინად შეცვლიდა და ეს ასეც მოხდა. საქართველოს ახალ ხელისუფლებას აშკარად გამოხატული პრო-დასავლური კურსი ქონდა, რითაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა რუსული იმპერიის აღორძინებას. რეალურ საფრთხეს უპირველესად უქმნიდა იმ განსხვავებული ფასაულებათი სისტემით, რომელიც არანაირად არ ჯდებოდა რუსი მმართველების მენტალიტეტში, უფრო მეტიც, საქართველო ამ განსხვავებული სისტემის პოსტ-საბჭოთა სფეროში ექსპორტირებასაც ახდენდა. ასევე აღსანიშნია, რომ სააკაშვილმა კი ერთ-ერთი პირველ ამოცანად საქართველოდან რუსული სამხედრო ძალების გაყვანა დაისახა, ეს კი მოსკოვისთვის მიუღერებელი იყო. ამასთან ერთად, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ახლო მოკავშირე გახდა და მას ჰქონდა ამბიცია გამხდარიყო ნატო-ს წევრი სახელმწიფოც, მაშინ როცა ვლადიმერ პუტინის რუსეთის სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო უფრო მეტად აშკარა დაპირისპირება ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსისა და რუსეთის ფედერაციას შორის. ვლადიმერ პუტინი უშიშროების ოფიცერი იყო, ხოლო 2000 წელს კი იგი რუსეთის პრეზიდენტი გახდა, მის უპირველეს ამოცანას ყოფილი საბჭოთა იმპერიის რეანიმირება წარმოადგენდა და ეს მის პირველივე ნაბიჯით დადასტურდა, მან რუსეთის ჰიმნად საბჭოთა კავშირის ჰიმნი აღადგინა. ვლადიმერ პუტინმა 2005 წელს მიუნჰენის კონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა: „საბჭოთა კვავშირის ნგრევა, ეს იყო მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა." (ჩაგელიშვილი, 2014) - ამ ფრაზით კი ის დაუფარავდ უსვავდა ხაზს მისი მმართველობის მთავარ იდეასა და მიზანს.

სამყარო კიდევ ერთი „ცივი ომის“[6] საშიშროების წინ აღმოჩნდა. მოსკოვი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ნატოს გაფართოებას. კრემლის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევდა აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნების ალიანსში მიღება, ნატოში მისაღებ ქვენებს შორის რიგში უკრაინა და საქართველოც აღმოჩნდა, კრემლის პოლიტიკოსთა აზრით ამ ორი ქვეყნის დაკარგვა რუსეთისთვის კატასტროფა იქნებოდა და ამას პუტინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა, თუმცა კარგად ხვდებოდა რომ ის პირდაპირ სამხედრო ინტერვენციას ვერ წამოიწყებდა, ამიტომ მისი კარგად ნაცადი ჰიბრიდული პოლიტიკა საუკეთესო გამოსავალი იყო.

ხოლო, რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ქვეყანა 2001 წლიდან იბრძოდა ავღანეთში, 2003 წელს კი ერაყის კამპანიაში ჩაერთიო, სადაც ძალიან გაუჭირდა, სწორედ ამიტომ აშშ-მ 2003 წლიდან ახალი ახლო აღმოსავლური პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელიც რეგიონს დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერას სთავაზობდა. ამა წლის ნოემბერის ქართული „ვარდების რევულუცია“ და ახალგაზრდა პროდასავლურად განწყობილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კი საინტერესო მოვლენად აღიქვეს აშშ-ში, მიტუმეტეს რომ ჩვენი რევოლუციის ძალა გადაედო უკრაინას, შემდეგ ყირგიზეთს, მოლდოვასა და ლიბანს. ამ მოვლენებმა დააფიქრა ვაშინგტონი ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებაზე. ამას კარგად ხედავდა სააკაშვილი და მაქსიმალურად ცდილობა საკუთარი ინტერესების გატარებას. ამავდროულად, აზერბაიჯანთან თანამშრომლობით საქართველო ცდილობა დამოუკიდებელი ენერგო დერეფნის საკვანძო ნაწილად გამხდარიყო, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით ჯერ აზერბაიჯანის, შემდეგ კი შუა აზიის უზარმაზარ ენერგო რესურსებს დასავლეთისკენ გაატარებდა. ასე იქცა საქართველო ამერიკის უახლოეს მოკავშირედ რეგიონში და ასე გააღიზიანა უფრო მეტად ჩრდილოელი მეზობელი.

ქართველები სართაშორისო უსაფრთხოების პროგრამებში ჩაერთვნენ, სამხედრო ქვედანანყოფები გაგზავნეს ავღანეთსა და ერაყში, დაიწყეს არმიის გადაიარაღება და

[6] ცივი ომი - ტერმინი, რომლითაც აღნიშნება მწვავე პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება, ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყავნ სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირისა და მის სატელიტებს შორის, რამაც თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა.

წვრთნა. თუმცა, რუსეთისათვის დემოკრატიის ზრდა და „ფერადი რევულუციების“ გამარჯვება პრინციპიულად მიუღებელი იყო. პუტინის აზრით, დემოკრატიული რევოლუციები ამერიკის მოწყობილი იყო და მისი მიზანია რუსეთის დასუსტება. შესაბამისად, საქართველოსა და უკრაინის წარმატება რუსეთის წარუმატებლობას ნიშნავდა. ამ ყველაფერს 2008 წლისთვის კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფაქტი დაემატა: პირველი, აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკის ანტისარაკეტო სისტემის დანერგვა, რაც კრემლისათვის აღიქმებოდა, როგორც რუსეთის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებად და მეორე კი, რაღა თქმა უნდა, დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარება.

17 თებერვალს კოსოვომ სერბეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. კოსოვოს დამოუკიდებლობა, რუსეთის გარდა, თითქმის ყველა დიდმა სახელმწიფომ აღიარა. კოსოვოს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მიზეზად სერბების მიერ კოსოვოში კომპაქტურად მცხოვრები ალბანელების ეთნოწმენდა დასახელდა. რუსეთი კატეგორიულად არ სურდა კოსოვოს დამოუკიდებლობა, რადგან სერბეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი იყო და ამიტომ, კრემლი მისი ინტერესების დაცვას ყველანაირი საშუალებით ცდილობდა. რუსეთმა კოსოვოს აღირება დასავლეთის მხრიდან გაწნილ სილად ჩათვლა და დაემუქრა საპასუხო ქმედებით, ეს ქმედება კი ახალი დამოუკიდებელი საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე და საშინელი იქნებოდა. პუტინმა განაცხადა: „თუკი ვინმე ფიქრობს, რომ კოსოვომ შეიძლება მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ უნდა ვუთხრათ უარი ამაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს“ (Illarionov, 2009, P. 61).

მოკლედ რომ შევაჯამოთ, პუტინი 2008 წლის დასაწყისში შედმეგი გამოწვევების წინაშე იყო:

- ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით;
- კოსოვოს აღიარება;
- ანტისარაკეტო სისტემის განვითარება ევროპაში;
- შუა აზრიის ენერგორესურსების რუსეთის გვერდისავლით გატარება დასავლეთისაკენ.

2008 წელსვე იყო კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა - ნატოს ბუქარესტის სამიტი, რამაც სერიოზული როლი ითამაშა რუსეთის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე და საქართველოს წინააღმდეგ უკვე კოვენციური ომის წამოწღებაზე, თუმცა აღნიშნულ სამიტზე და მისზე გაჟღერებულ სამომავლო შედეგებზე, უკვე ქვემოთ ვისაუბრებ.

2.2.3 საქართველოს მხრიდან კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგავრების მცდელობა

საბჭოთა კავშირის დროს ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი სამხედრო დაჯგუფება იყო დილოცირებული, რომლის მთავარი მიზანი ნატო-ს ბლოკთან ომის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვარის დაცვა იყო. საავიო ნაწილები განლაგებული იყო როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანსა და სომხეთში. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფება რუსეთის, რა თქმა უნდა, სამხედრო დაჯგუფებად გარდაიქმნა. 90-იანების დასაწყისში რუსეთმა საქართველოდან ჯარის რაღაც ნაწილი გაიყვანა, მაგრამ 4 ბაზა ისეთ სტრატეგიულ ადგილებში დაიტოვა, რომლის მეშვეობითაც მთელი საქართველოს გაკონტროლება შეეძლო, ეს იყო: თბილისთან მდებარე დაბა ვაზიანი, ახალქალაქი, ბათუმი და გუდაუთა. საერთო ჯამში, მოსკოვს საქართველოს ტერიტორიაზე 5 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე ჰყავდა დისლოცირებული, აგრეთვე 400-მდე ერთეული მძიმე ჯავშან-ტექნიკა და 170-მდე საარტელერიო დანაყოფი, ეს ციფრები კი აშკარად საგანგაშო იყო. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლების ძალისმხნევისა და მოლაპარაკებების შედეგად საქართველოდან დაიწყო რუსი სამხედროების გადაყვანა, თუმცა რუსეთი სტამბულის სამიტზე აღებული ვალდებულების ბოლომდე შესრულებას არც არასდროს გეგმავდა, ამიტომ მან 2007 წსლითვის ბათუმში, ვაზიანსა და ახალქალაქში ბაზები კი დახურა, მაგრამ გუდაუთაში კვლავ ინარჩუნებდა.

2006 წლის 14 ივნისს სოხუმში გაიმართა სპეციალური სამიტი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და დნესტრისპირეთის ლიდერების მონაწილეობით, სადაც ხელი მოეწერა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას. აღნიშნულ შეხვედრაზე კომენტირებისას ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ პროვოკაციების მიუხედავად რუსეთი შეინარჩუნებს სამშვიდობო ჯარებს ამ რეგიონებში. ეს კარგად

მიუთითებდა იმაზე, რომ რუსეთის ინტერესებს წინ ვერანაირი საერთაშორისო ხელშეკრულება ვერ დაუდგებოდა და მოსკოვი თავის პოზიციებს მარტივად არასდროს დათმობდა. რუსეთის მმართველი პოლიტიკური წრეები აფხაზეთში და სამაჩაბლოში არა მხოლოდ სამშვიდობო ოპერაციების გაგრძელებას ესწრაფვოდნენ, არამედ სეპარატისტული ელიტისთვის რეალური სამხედრო მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობებსაც განიხილავდნენ, რუსეთის მიზანიც კი ეს იყო, ის ყველანაირად ცდილობა, შეძლებისდაგავრად, ფარულად სეცესიური ძალების გაძლიერებას.

ბაზების საკითხის პარალელურად სააკაშვილის ხელისუფლებამ კონფლიქტების მოწესრიგების ახალი კონცეფცია შეიმუშავა, რომელიც სამშვიდობო პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ ჩართვას გულისხმობდა, ხელისუფლება ხვდებოდა სულ უფრო და უფრო როგორ იძაბებოდა სიტუაცია და ცდილობდა მშვიდობის გზით რამენაირად გადაეჭრა ეს დიდი პრობლემა. საქართველოს მთავრობამ ორივე კონფლიქტურ რეგიონთან მიმართებაში წინადადებების მთელი პაკეტი შეიმუშავა. ეს წინადადებები სეპარატისტული რეგიონებისთვის საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიას და ოსი და აფხაზი ეთნოსების შეუზღუდავ განვითარებას გულისხმობდა. 2005 წლის 26 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ევროსაბჭოს საარლამენტო ანსაბლეას ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგავრების ეს შემუშავებული კონკრეტული გეგმა წარუდგინა. გეგმის მიხედვით სამაჩაბლოს ექნებოდა ფართო ავტონომია, იქნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობა და საკონსტიტუცია გარანტია, რათა აერჩიათ აღმასრულებელი და საკანანმდებლო ხელისუფლება პირდაპირ. ექნებოდათ იმუნიტეტი განათლების, კულტურის, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში, მათი წარმომადგენლები იქნებოდნენ საქართველოს სახელისუფლებო შტოებში და ენას კი ოფიციალური სტატუსიც მიენიჭებოდა. ეს გეგმა 3 წლის მანძილზე ეტაპობრივად ეუთოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით უნდა განხორციელებულიყო.

ლუბლიანაში შედგა ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა. 2005 წლის 6 დეკემბერს ეუთოს წევრი ყველა სახელმწიფო, რუსეთის ჩათვლით, საქართველოს სამშვიდობო გეგმას მიესალმა. თუმცა, შემდეგ რუსეთმა, ფაქტობრივად, ჩაშალა ამ გეგმის

განხორციელება, იმ მოტივით, რომ მას სეპარატისტები არ ეთანხმებოდნენ. ამის მიუხედავად საქართველომ დონორი სახელმწიფოების ფინანსური მხარდაჭერით კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც რეალურად ორი ერის დაახლოებასა და რეგიონის აშენებას უწყობდა ხელს. აშენდა და აღდგა რეგიონის ენერგო სისტემა, გაიყვანეს გაზზსადენი, გარემონტდა სამედიცინო, საგანანათლებლო და კულტუტულ-გასართობი ცენტრები, აღდგა სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, ამ პროგრამის განსახორციელებლად ეუთოს კონფერენციამ 8 მილიონამდე ევრო გამოყო, თავად საქართველომ კი 15 მილიონამდე ლარი დახარჯა.

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო თანამეგობრობასა და კონფლიქტის მხარეებს მემორანდუმი გაუგზავნა უკვე 2007 წლის მარტში, ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტის მოგვარების ნაბიჯების შესახებ. მემორანდუმი ითვალისწინებდა ეუთოს ეგიდით პირადპირი მოლაპარაკებების დაწყებას, რომელშიც ევროკავშირი, აშშ და რუსეთიც ჩაერთობოდნენ. გარდა ამისა, მემორანდუმი ითვალისწინებდა რეგიონის სრულ დემილიტარიზაციას და შერეული, ქართულ-ოსური პოლიციის ამოქმედებას. აგრეთვე იგეგმებოდა სამხრეთ ოსეთისათვის ფართი ავტონომიის მინიჭება, რომლის საკანონმდებლო ბაზაც ეუთოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით უნდა შემუშავებულიყო. ყველა ეს წინადადება რუსებმა და მის მიერ მართულმა სეპარატისტებმა კატეგორიულად უარყვეს, იმიტომ რომ, პირველ რიგში, ეს რუსეთის ინტერესებში საერთოდ არ შედიოდა.

ცხინვალის რეგიონის პარარელურად, საქართველოს ხელისუფლებამ სამშვიდობო ინიციატივები შეიმუშავა აფხაზეთისათვისაც. კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოგვარება საქართველომ სეპარატისტულ ლიდერებს ჯერ კიდევ 2006 წლის ივნისში შესთავაზა, ამ გეგმის ძირითადი პრინციპების მიხედვით, აფხაზეთს ფედერალური საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომია ენიჭებოდა, ყავდა თავისი წარმომადგენლობა ცენტრალურ ხელისუფლებაში და გარენტირებული იყო აფხაზური ენის, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა. ამის პარალელურად ეს წინადადებები კიდევ უფრო დაკონკრეტდა და შეივსო 2008 წლის გაზაფხულზე. 28 მარტს საქართველოს პრეზიდენმა გამოაცხადა ახალი სამშვიდობო ინიციატირევბი, რომლებიც გულისხმობდა აფხაზეთის შეუზღუდავ ავტონომიას, თავისუფალი ეკონომიკური ზონების

დაფუძნებას, ერთიანი საბაჟო და სასაზღვრო სივრცის შექმნას. გარდა ამისა, აფხაზებისთვის საქართველოს შემადგენლობაში წესდებოდა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, რომელსაც ექნებოდა ვეტოს უფლება აფხაზეთთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. „საქართველოს არასოდეს შეუთავაზებია აფხაზეთისათვის ამდენი რამ, ოფიციალურ დონეზე, როგორც ახლა“ (Smith, 2009, P. 122). მსგავსი ფართო უფლებები აფხაზეთისთვის წესით სრულიად მისაღები უნდა ყოფილიყო, თუმცა კვლავაც რუსეთის სურვილის გამო, ისევე როგორც ცხინვალის რეგიონში, საქართველოს ინიციატივებმა შედეგი ვერც აფხაზეთში გამოიღო. რუსების მითითებით აფხაზებმა საქართველოს ყველა წინადადება უარყვეს. სერგეი ბაღაფშმა, სეპარატისტი აფხაზების ლიდერმა, სამშვიდობო გეგმა ნატო-ს სამიტისწინა პროპაგანდად შეაფასა, რითაც საქართველო ნატოს თვალში საკუთარი თავის მშვიდობისმოყვარე ნაციად წარმოჩენას ცდილობდა, ეს კი არა აფხაზეთის, არამედ რუსეთის პირდაპირი მესიჯი იყო. ბაღაფშმა უარჰყო სააკაშვილის შეთავაზება და ის მიუღებლად გამოაცხადა. აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან არ არსებობდა დიალოგისთვის მზაობა და ბაღაფშის უარი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ფედერაციის ფართო გეგმის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ, სადაც მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის სეპარატისტულ რეგიონებს ენიჭებოდათ. აღსანიშია ფაქტიც, რომ 2004 წელს, როდესაც სეცესიურ რეგიონში ჩატარებულ ოქტომბრის არჩევნებში ორი კანდიდატი სერგეი ბაღაფში, რომელიც იყო ოფიციალური პირო საბჭოთა კავშირის დროს და რაულ ხაჯიმბა - ყოფილი პრემიერი და თავდაცვის მინისტრი, დაუპირისპირდნენ. მართალია ხაჯიმბამ მოიგო არჩევნები, მაგრამ რუსეთის უხეში ჩარევის და აფხაზეთისთვის დაწესებული პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადის შედეგად რუსეთმა დე-ფაქტო პრეზიდენტად ბაღაფშის გამოცხადება მოახერხა, ეს კი ჰობრიდული ომის დამახასიათებელი ფაქტია, დანიშნო მოწყვლად ადგილზე ისეთი პოლიტიკური აქტორი, რომელიც შენს ინტერესებს გაატრებს.

როგორც ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნე, რუსეთის ინტერესს არ წარმოადგენდა მხოლოდ აფხაზეთი და სამაჩაბლო. სეპარატული ანკლავების მეშვეობით, კრემლი მთელ საქართველოზე გავლენის მოპოვებას ცდილობდა, ეს იყო კრემლის საგარეო

პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. საპარატულ რეგიონებში ინსპირირებული არეულობით კრემლი მთელი საქართველოს ხელში ჩაგდებას, ხელისუფლების ცვლილებას და ამით ქვეყნის საგარეო ვექტორის 180 გრადუსით ცვლილებას გეგმავდა. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთმა მეთოდური მოქმედება დიდი ხნის წინ დაიწყო. საკმარისია გავიხსენოთ რა, 2002 წლიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის მოსკოვმა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებდა და პასპორტების დარიგება დაიწყო. ეს პროცესი ხორციელდებოდა როგორც საერთაშორისო სამართლის, ასევე თავად რუსეთის კანონმდებლობეის უხეში დარღვევით, შედეგად აფხაზეთში მცხოვრების 80%, ხოლო ცხინვალის რეგიონის 90% რუსული პასპირტის მფლობელები გახდნენ, კრემლმა განაცხადა, რომ ისინი უკვე რუსეთის მოქალაქეები არიან და ამ საბაბით მოსკოვი მათი დაცვისთვის ნებისმიერ საშუალებას გამოიყენებდა.

2007 წლის 14 ივლისს პრეზიდენტ პუტინის ბრძანებით რუსეთში შეჩერდა ევროპაში ჩოულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების მოქმედება, ამის მიზეზად რუსეთმა ჩეხეთსა და პოლონეთში ამერიკის მიერ სარაკეტო თავდაცვით სისტემების შესაძლო განლაგება დაასახელა. ხელშეკრულებიდან გამოსვლამ, რუსეთს საშუალება მისცა არ შეეზღუდა სამხედრო ბაზა გუდაუთაში და სამხედრო კონტიგენტი საქართველოს საზღვრების სიახლოვეს, ჩრ. კავკასიის რეგიონში.

რუსეთმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა აფხაზი სეცესიური ელიტისადმი მხარდაჭერის დასადასტურებლად. 2008 წლის 6 მარტს რუსეთი ცალმხრივად გამოვიდა 1996 წლის იანვარში დსთ-ს სამიტზე აფხაზეთისთვის დაწესებული სანქციების რეჟიმიდან. ამგვარად, რუსეთს აფხაზეთის ხელისუფლებასთან ინტენსიური სამხედრო და სხვა სახის კონტაქტების დასამყარებლად ხელ-ფეხი გაეხსნა. თუმცა, ეს მხოლოდ მათი მხარდაჭერის მიზეზით არ იყო განპირობებული, რეალურად ამით ნელ-ნელა ახვედრებდა დასავლეთს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე პასუხი სწორედ საქართველოს სეპარატისტული რეგიონები იყო. ცოტა ხანში კრემლი კიდევ უფრო შორს წავიდა 2008 წლის 21 მარტს რუსეთის საკანონმდებლო ორგანს ქვედა პალატამ, დუმამ მიიღო რეზულუცია, რომლიშიც რუსეთის აღმასრულებელ

ხლისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, რომ მოხმდარიყო აფხაზეთისა და ცხინალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება.

ეს არ იყო უბრალოდ რეზულუცია, რომელიც საქართველოს დაშინებას ან გაფრთხიელაბს ემსახურებოდა, რუსეთი წინასწარ შემუშავებული გეგმით მუშაობდა, რომელიც ახლო მომავალში ომში უნდა გადაზრდილიყო. იგი მხოლოდ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას და მსოფლიო პოლიტიკაში საქართველოს მიმართ განწყობას სწავლობდა. ვლადიმერ პუტინი ღიად ამბობდა: „ჩვენთან აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი უკვე ფუნქციონირებენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ჩვენ ყოველთვის გვეუბნებიან, რომ კოსოვო განსაკუთრებული შემთხვევაა. ტყუილია ეს ყველაფერი. არაფერი განსაკუთრებული შემთხვევა არ არსებობს და ეს ყველამ კარგად იცის“ (ახობაძე, 2011).

2008 წლის აპრილში ნატო-ს სამიტი გაიმართა ფუქარესტში, სადაც განიხილებოდა ალიანსის გაფართოების საკითხი და საუბარი იყო უკრაინისთვის და საქართველოსთვის MAP[7]-ის სტატუსის მინიჭებაზე. რუსეთისთვის ეს დიდი დარტყმა იყო და ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა მას. სამიტმა 4 აპრილს მიიღებული გადაწყვეტილებთი თქვა, რომ ამ ეტაპზე MAP-ის სტატუსი არ იქნებოდა მინიჭებული, მაგრამ უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები. ნატო-ში ფიქრობდნენ, რომ ეს გადაწყვეტილება თბილისსა და კიევსს დააწყანრებდა და მოსკოვისთვისაც არ იქნებოდა ძალიან გამაღიზიანებელი, მაგრამ რეალურად მოსკოვში ამ გადაწყვეტილებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და მან რუსეთი არათუ გააჩერა, არამედ ძალიან წააქეზა.

2008 წლის 16 აპრილს პრეზიდენი პუტინი ხელს აწერს დეკრეტს, რომელის მიხედვითაც ე.წ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობებთან პირდაპირ კავშირს ამყარებს, ეს კი საერთაშორისო სამართლის მიხედვით უკვე საქართველოს ტერიტორიის ანექსიაა, ამ გადაწვეტილების გაუქმებაზე მოუწოდა დასავლეთმა და არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მაგრამ რუსეთში ომის მანქანა ჩართული იყო

[7] Membership Action Plan

და კრემლში მისი შეჩერება არ სურდათ. „ომი ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალი იყო - არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა თბილისი: ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა თუ არა. მიზანი საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ქართული ჯარის დაშლა-განადგურება და, საბოლოოდ, ნატო-ში შესვლაზე ოცნების დასამარება გახლდათ“ (Asmus, 2010, P. 187).

ომისთვის მზადება სრული მასშტაბით დაიწყო, 17 აპრილს, პუნიტინის ხელმოწერილი დეკრეტიდან მეორე დღესვე, ოჩამჩირის პორტში რუსეთმა ყველა ხელშეკრულების დარღვევთ, 300-მდე ჯარისკაცი, დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა შეიყვანა. კრემლი უკვე პირდაპირ აგრესიაზე გადადიოდა. 20 აპრილის რუსეთის ტერიტორიიდან შემოფრენილმა ავიაგამანადგურებელმა გალის რაიონის სოფელ გაგიდასთან ჩამოგდო ქართული მზვერავის სამხედრო აპარატი, რუსეთს არ სურდა მსოფლიოს დაენახა რა ხდებოდა აფხაზეთში, რადგან იქ უკანონოდ ზრდიდა სამხედრო კონტიგენტს. თუმცა რუსეთის განცხადება ამ ქმედებაზე პირიქით საქართველოს დადანაშაულება იყო, ის ცდილობდა საკუთარი მშვიდობისმყოფელის სტატუსი ფორმალურად კვლავ შეენარჩუნებინა. სერგეი ლავროვი: „მთელი პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ რატომ დაფრინავდა ეს უპილოტო თვითმფრინავი იმ ადგილას, სადაც ეს ნებადართული არ არის. მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულებით, რომელსაც არაერთხელ დაუჭირა მხარი უშიშროების საბჭომ, აკრძალულია ნებისმიერი არასანქცირებული სამხედრო მოქმედებები კონფლიქტის ზონაში. თვითმფრინავი კი ჩამოაგდეს კონფლიქტის ზონაში და გაუგებარია რა აკეთებდა ის ამ ტერიტორიაზე“ (ახობაძე, 2011).

ყოველდღე იზრდებოდა სამხედროთა რიცხვი კონფლიქტის ზონაში. აფხაზეთში ნაცვლად 2000 სამშვიდობა ჯარისკაცისა, აპრილის ბოლომდე უკვე 4000-მდე სამხედრო ჯარისკაცი იყო. ინტენსიურად მიმდინარეობდა კონფლიქტის ზონაში მძიმე ტექნიკის გადასროლა, სამშვიდობო ძალების საფარქვეშ აფხაზეთში შეიყვანეს სკოვისა და ნოვოროსისკის სადესანტო ნაწილები, რომელთა შეიარაღებაშიც შეთანხმებით აკრძალული საარტერელიო დანადგარები იყო. იმავე პერიოდში აფხაზეთში შევიდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, სადაზვერო სამსახურის ჩეჩნური ბატალიონ ვოსოტკის

250 მებრძოლი, მაისში ამავე ბატალიონის დამატებითი მებრძოლები განლაგდნენ ცხინვალის მახლობლად წვერიახოს ხაზზე. 31 მაისს რუსეთმა აფხაზეთსი სარკინიგზო ხაზის ბატალიონი შეიყვანა, რომელბმაც აფზაზეთში სარკინიგზო ხაზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყეს. რკინიგზის აღდგენა პირდპირ უკავშირდებოდა რუსეთის აგრესიულ გეგმებს, მათი მეშვეობის კრემლი საქართველოს სიღრმეში სამხედრო ტექნიკისა და ადამაინური ძალის სწრაფ გადასროლას ვარაუდობდა. ყოველივე ეს ფაქტი შემზარავია, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი მაუხედავად ყველაფრისა მაინც ამოფარებული იყო ვითომდა სამშვიდობო მისიას და ასეთი პირდაპირი, დაუფარავი პროვოკაციით საქართველოს ხელისუფლებისგან სწორედ ისეთ ნაბიჯს ელოდა, რომელსაც თავისივე სასარგებლოდ გამოიყენებდა.

2008 წლის ზაფხულისთვის, რუსეთის რეგულარული ნაწილები იყვნენ განლაგებულები ოჩამჩირეში, ბაგუშერაში, ბომბორაში, სოხუმში, წებელდაში, ოხურეიში, გაგრაში, ლათაში, გუდაუთაში, ცხინავლსა და ჯავაში.

სეპარატისტული რეგიონებში აშაკარად დიდი დაძაბულების გამო საქართველო მაქსიმალურად ცდილობდა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიპყრობას, მაგრამ იყო კი ეს საკმარისი?!

2008 წლის 30 მაისს საქართველოში აკრედიტირებული ევროკავშირის 14 ელჩი სერგი ბაღაფშს შეხვდა აფხაზეთში, მათ კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებზე ისაუბრეს, თუმცა შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, აფხაზური მხარე რუსული მითითებებით საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წინადადებას უარყოფდა.

2008 წელს რუსეთში მოხდა საპრეზიდენტო არჩვნები ვლადიმერ პუტინი დიმიტრი მედვედევმა შეცვალა და უკვე ის მოგვევლინა ფედერაციის პრეზიდენტის ამპლუაში, ხოლო თავად ვლადიმერ პუტინმა პრემიერ-მისნიტრის პოზიციაზე გადაინაცვლა. საქართველოში ამას იმედიანად შეჰყურებდნენ, ყველამ იცოდა რომ ახალი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ვლადიმერ პუტინის იდეებს სრულად იზიარებდა, მაგრამ ქართველ ხელისუფლებას მაინც გაუჩნდა იმედი, რომ ახალ პრეზიდენტთან მაინც მიაღწევდნენ კონსესუსს, ამ იმედით 6 ივნისს საქართველოს დელეგაცია პეტერბურგში, დამოუკიდებელ

სახელმწიფოების თანამეგობრობის სამიტზე გაემგზავა, სადაც შედგა შეხვედრა დიმიტრი მედვედევსა და მიხეილ სააკაშვილს შორის. მოლაპარეკების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ქართველებს უნდა შეედგინათ მრავალმხრივი წინადადებათა პაკეტი, რომლის გადაწყვეტაზეც ორი ქვეყნის დიპლომატები დაიწყებდნენ მუშაობას, საბოლოოდ კი დაახოელბით 1 თვეში სააკაშვილი და მედვედევი კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად შეხვდებოდნენ ერთამენეთს. 21 ივნისს მოსკოვიში ხელით ჩაიტანეს საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც თბილისის მიერ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ხედვას წარმოადგენდა. საქართველო სთავაზობდა რუსეთს სამშვიდობო ძალების გადატანას მდინარე ენგურიდან მდინარე კოდორამდე, ამ ტერიტორიაზე შეიქმენებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ქართულ-აფხაზური შერეული ადმინისტრაციით. აღდგებოდა რკინიგზის ხაზი მოსკოვი- სოხუმი-თბილისი-ერევანი, გაიხსნებოდა სოხუმის პორტი. პროექტს მიხედვით რუსული ფინანსური ინტერესები მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული. თბილისი პრატიკულად აფხაზეთის დროებით გაყოფას თანხმდებოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, რუსეთის მიზნებს აღნიშნული საერთოდ არ აკმაყოფილებდა და კონფლიქტის მოგვარების ეს მცდელობაც კრახით დასრულა.

საერთაშორისო მეგობრობის კიდევ ერთი ნაბიჯი კონფლიქტის დარეგულირების მხრივ იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტი ფრანკ ვალტერ შტანმაიერის სამშვიდობო სამ ეტაპიანი გეგმა, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას ემსახურებოდა. პირველ ეტაპზე, დევნილთა დაბრუნება და ძალის გამოყენებაზე უარის თქმა იყო, მეორე კი ეკონომიკურ- საეაბილიტაციო პროცესი, ხოლო მესამე, საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. თუმცა, ეს გეგმაც, რა თქმა უნდა, სხვა სამშვიდობო ხელშეკრულებების მსგავსად, ჩავარდა.

აფხაზეთის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებამ რუსეთი აიძულა საკუთარ გეგმებში კორექტივები შეეტანა. საქართველოზე შეტევა აფხაზეთიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა ახლა რუსულმა სამხედრო მანქანამ აქცენტი ცხინვალზე გადაიტანა, სადაც ვითარების მიზანმიმართული გამწვავება უნდა მომხდარიყო. ცხინვალში არულობის ინსპირირება სამხედრო თვალსაზრისითაც უფრო ხელსაყრელი

იყო, სტრატეგიული გეგმის მიხედვით რუსეთს მთელი საქართველოს ოკუპირება სურდა, ცხინვალიდან კი თბილისი გაცილებით უფრო ახლო იყო, ვიდრე სოხუმიდან. სამხედრო მოქმედებებისთვის იდეალური დროც შეირჩა 5-25 აგვისტო, ამინდის პროგნუზის მიხედვით ეს პერიოდი უნალექო უნდა ყოფილიყო, რაც რუსული ავიაციისთვის და ჯავშან-ტექნიკის გადაადილებისთვის იდეალურ პორობებს ქმნიდა. ვითარების გამწვავება სეპარატისტული რეჟიმის შეიარაღებულ ფორმირებებს უნდა დაეწყო, რომელთაც მერე ცხინვალში წინასწარ გადასროლილი რუსული საავიო ნაწილები ფარულად დაეხმარებოდნენ. კოკოითის რეჟიმს ვითარების პროვოცირება იმ დონეზე უნდა მოეხდინა, რომ საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო პასუხი გაეცა. კრემლის გათვლებით ცხინვალის რეგიონში ფართომაშტაბური სამხედრო მოქმედებები ორი კვირის მანძილზე მაინც უნდა გაგრძელებულიყო, რომელსაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოჰყვებოდა, ეს რუსეთს საშუალებას მისცემდა ქართველები ოსების გენოციდში დაედანაშაულებინდა და რეგიონში თავისუფლად შემოსულიყო. სწორედ ესაა რუსული ჰობრიდული ომის ნამდვილი სახე.

2008 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან რუსეთი საქართველოში შემოსაჭრელად ბოლო მომზადებას გადიოდა, მოსკოვმა ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები „კავკასია 2008“ ჩაატარა, რომელიც 15 ივლისიდან დაიწყო და 2 აგვისტოს დამთავრდა. ჩრ. კავკასიის სამხედრო ოლქში ეს იყო უკანკასკენლი 20 წლის მანძილზე უპრეცენდენტო მასშტაბის წვრთნები. წვრთნებში მონაწილეობდა 8000-მდე ჯარისკაცი, 700-ზე მეტი ჯავშან-ტექნიკა. საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, მამუსონისა და როკის უღელტეხილებთან მიმდინარეობდა აღნიშნული სწავლება და მისი ამოცანა მეზობელ სახელმწიფოში ჰუმანიტარულ ინტერვენციისა და მშვიდობისადმი იძულების ოპერაციის დამუშავება დასახელდა. ჯარისკაცებს ურიგებდნენ პროკლამაციებს, სადაც მთავარ სამიზნედ და მტრად ქართული ჯარი სახელდებოდა. წვრთნების ბოლოს შემდეგ საჯარისო ნაწილების დისლოკაციის ადგილზე არ დაბრუნდნენ და საქართველო-რუსეთის საზღავრთან დარჩა უმრავლესობა. სახმელეთო სწავლებებთან ერთად, ემზადებოდა სამხედრო საზღვაო ფლოტიც. 2008 წლის აპრილ-ივლისის პერიოდში, რუსეთის შავის ზღვის ფლოტმა

მონაწილეობა მიიღო 8 წვრთნაში, რომელთაგან 3-ში ძირითადი აქცენტი დესანტის გადასხმაზე იყო.

ივლისის ბოლოს ცხინვალის რეგიონში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რეგიონში პრაქტიკულად ყოველდღე შეიარაღებული პროვოკაციული ინციდენტები ხდებოდა. 1 აგვისტოს ერედვი-ხეითის გზაზე ააფეთქეს ქართველი სამართალდამცავების ავტომობილი, შედეგად დაშავდა 5 პოლიციელი, იმავე დღეს ოსურმა მხარემ ცეცხლი გახსნა ქართული სოფლების მიმართულებით, ქართულებმაც იგივენაირად უპასუხეს. იგივე განმეორდა 2 აგვისტოსაც. 3 აგვისტოს ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმმა, ქალაქიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო, რაც ნათლად მიუთითებდა საომარი მოქმედებების დაწყებისთვის მზადებაზე. ევაკუაციიდან მეორე დღეს, ოსურმა ფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს სარაბუგის სიმაღლეზე განლაგებულ ქართველ სამშვიდობობეს, რის შედეგადაც ორი ჯარისკაცი დაიჭრა. 6 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში ჩრ. კავკასიიდან დაახლოებით 150 შეიარაღებული მოხალისე შემოვიდა, კვლავ განახლდა ქართული სოფლების საარტერელიო დაბომბვა, რომელიც შუა ღამემდგე გაგრძელდა.

კონფლიქტის ზონაში ვითარების ესკალაციასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტთან დაკავშირება სცადა, თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სატელეფონო კომუნიკაციაზე უარი განაცხადეს. 7 აგვისტოს დილის 4 საათისთვის, როკის გვირაბით ცხინვალის რეგიონში რუსეთის დაახლოებით 150-მდე ჯავშან-ტექნიკა შევიდა. უკვე გამთენიისას კვლავ განახლდა ქართველი სოფლების დაბომბვა, მსხვილ კალიბრიანი არტელერიის გამოყენებით, რის შედეგადაც 4 ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა, ხოლო ორი გარდაიცვალა. ამ ქმედებების მიზანი კი, კარგად ვიცით, რომ საქართველოს მიერ ცეცხლის გახსნის ინსპირირება იყო. შუადღისთვის საქრთველოს იმ პერიოდის რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობიშვილი ცხინვალში გაემგზავრა, სადაც შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის შტაბში გენერალ ულახმედოვს შეხვდა. შეხვედრისას ულახმედოვმა განაცხადა, რომ იგი ვერ აკონტროლებდა სეპარატისტთა სამხედრო ქმედებებს.

7 აგვისტოს 19:00 საათზე, ომის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა, რომელიც ქართული მხარის მიერ ცეცხლის ცალმხრივ შეწყვეტას და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას ეხებოდა, სააკაშვილი უკვე ზუსტად ხვდებოდა რუსეთის მთავარ გეგმას და ყველანაირად ცდილობდა სიტუაციის სტაბილიზაციას, მაგრამ ფაქტია, გვიანი იყო.

მიხეილ სააკაშვილი: „მე მინდა სრული პასუხისმგებლობით ვთქვა და ვაღიარო, რომ რამდენიმე საათის წინ გავეცი ბრძანება, ძალიან მტკივნეული ბრძანება, როგორც უმარლესმა მთავარსარდალმა, რომ არცერთმა ქართველმა შენაერთებმა, არცერთმა ჩვენი კონტროლის ქვეშ მყოფმა პოლიციურმა და სხვა შენაერთმა არ გახსნას საპასუხო ცეცხლი ძალიან ინტენსიური დაბომბვის შესაჩერებლად. მე გთავაზობთ ცეცხლის დაუყონებლივ შეწყვეტას, მე გთავაზობთ დაუყონებლივ მოლაპარაკებას, მე ვადასტურებ ორი-სამი წლის წინ ჩემს მიერ წამოყენებულ და წლების განმავლობაში გავრცობილ გეგმას, პრაქტიკულად შეუზღუდავი ავტონომიის და თვითმმართველობის სამხრეთ ოსეთისთვის, ყველა ეთნიკური ოსის უფლებების განსაკუთრებულ დაცვას, საერთაშორისო გარანტივების ქვეშ მყოფ ავტონომიას, ევროკავშირების სტანდარტების შექმნილ ავტონომიურ ერთეულს და მე ასევე ვთავაზობდი და ვთავაზობ რუსეთის ფედერაციას იყოს სამხრეთ ოსური ავტონომიის გარანტი საქართველოს ტერიტორიაზე“ (ახობაძე, 2011).

ამის მიუხედავად ვითარება მაინც გამწვავდა.

7 აგვისტოს, საღამოს 21:00 საათზე ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების მაისური დაბომბვა დაიწყო. 23:00 საათზე სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართულ პოლიციასაც. ძლიერად დაიბომბა და დაინგრა ქართული სოფლები. 23:35-ზე საქართველოს უმაღლესმა მთავარ-სარდალმა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო, რომლის მიზანიც იყო ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, სეპარატისტებისათვის ცეცხლის სეწყვეტის იძულება და როკის გვირაბით შემოსული რუსული საჯარისო ნაწილების შეჩერება, ქართველებმა გახსნეს ცეცხლი. წლების განმავლობაში დაწყებული არაოფიციალური, ჰიბრიდული ომი, უკვე კონვენციურ ომში გადაიზარდა.

თავი III: საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის რღვევა

3.1 სამხედრო აგრესია - აგვისტოს ომი

ყველა იმ ქმედებას, რასაც რუსეთის ფედერაცია სეპარატისტული ძალების მხარდასაჭერად იყენებდა მოყვა შედეგი - სამხედრო აგრესია - აგვისტოს ომი, რომელიც ჩრდილოელი მეზობლის მთავარი მიზანი იყო. უკვე აგრესიის ფაქტით, რომლის პროვოცირებაც სურდა მიეწერა საქართველოსთვის, ის ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტს დაეუქრა და მისი რღვევაც გამოიწვია, მოვლენები კი შემდეგნაირად წარიმართა:

7-დან 8 აგვისტოს ღამეს ქართულმა ძალებმა ცხინვალიში თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი დაიკავეს, ჯავის გარდა. ეს რუსეთისთვის მოულოდნელი იყო, მოსკოვის მიერ დაგეგმილი ცხინვალის რეგიონში გერძელვადიანი მოქმედმედებების ნაცვლად, ქართველებმა სეპარატისტების და მათი მხარდამჭერი ფორმირებების განეიტრალების ოპერაცია რამდენიმე საათში დაამთავრეს, ეს იმედის მომცემი ნამდვილად იყო ქვეყნისათვის.

8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა განაცხადა: „თქვენ იცით, რომ რუსეთის სამხედრო ძალები იმყოფებოდნენ და ახლაც იმყოფებიან საქართველოში სრულიად კანონიერ საფუძველზე. ისინი ასრულებენ თავიანთ სამშვიდობო ფუნქციას საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად. ჩვენს მთავარ ამოცანად ვთვლიდით და ახლაც ვთვლით მშვიდობის შენარჩუნებას. რუსეთის ისტორიულად იყო და დარჩება უსაფრთხოების გარანტად კავკასიელი ხალხისათვის. დღეს ღამით სამხრეთ ოსეთში ქართულმა სამხედრო ძალებმა განახორციელეს აგრესიის აქტი რუსი სამშვიდობოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამჟამად, სამხრეთ ოსეთსი იღუპებიან მშვიდობიანი მოქალქეები ქალები, ბავშვები, მოხუცები და მათი უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. კონსტიტუციისა და ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, მე ვალდებული ვარ დავიცვა რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლე და ღირსება, სადაც არ

უნდა იმყოფებოდნენ ისინი. ჩვენს მიერ ამჟამად გადადგმული ნაბიჯების ლოგიკა ნაკარნახევია ამ ვითარებით. ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი მოქალაქეების დაღუპვას“ (ახობაძე, 2011).

დიმიტრი მედვედევის ეს განცხადება, ჩემი აზრით, საქართველოს დაცინვა იყო. მიუხედავად ამდენი სამხედრო ძალადობის ფაქტისა და პროვოკაციისა, რომელიც ნელ-ნელა ცხადდებოდა, იგი რუსეთს კვლავ მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად მოიხსენიებდა და თავად აგრესორი ამბობდა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა უნდა დაეცვა. ეს შეიძლება ფსიქოლოგიურ, ან საინფორმაციო ომათაც კი მივიხნიოთ, ჰიბრიდული ომის ეს გამოვლინება, უდიდეს როლს ასრულებს მოწინაარმდეგის დემორალიზებაში და მიზანია გონების არევა, ამ ღია განცხადებებით ხდებოდა ხალხში ქაოსისა და გაურკვევლობის დანერგვა, რაც რუსეთის პირდაპირი მიზანი იყო.

რუსეთმა განცხადების მერე უკვე ღიად დაიწყო საქართველოს წინაარმდეგ სამხედრო მოქმედებები, სწორედ იმ იდეით, რომ ეს არა პირდაპირი სამხედრო აგრესია, არამედ თავდაცვითი ოპერაცია იყო, აგრესორ საქართვლოსთან საბრძოლველად, რომელიც რატომღაც ცდილობდა დაეცვა ის ტერიტორია, რომელიც ყველა საერთაშორისო კანონით იყო მისი. ჩრდილო კავკასიაში ბაზირებულმა 58-ე არმიის ნაწილებმა როკის გვირაბი გაიარეს და საქართველოში შემოვიდნენ, თუმცა რუსებს აქაც წინააღმდეგობა შეხვდათ. მათი კოლონა ქართულმა არტელერიამ გაანადგურა.

სამხედრო წარუმატებლობამ რუსეთის ხელისუფლება იმდენად გააღიზიანა, რომ რუსეთის უკვე პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი ვლადიკავკაზში ჩაფრინდა, რათა ოპერაციისთვის პირადად ეხელმძღვანელა, თანაც გააკეთა განცხადება, რომლის მიზანიც საქართველოს დესკრედიტაცია იყო. ვლადიმერ პუტინი: „ვფიქრობ, რომ საქართველოში, რუსეთში და საერთოდ მთელს მსოფლიოში ნათელი გახდა, რომ საქართველოს ხელისუფლების მისწრაფება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისკენ ნაკარნახევია არა უსაფრთხოების გლობალური სისტემის ნაწილად გახდომის და საერთასორისო მშვიდობის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილით, არამედ ნატოში გაწევრიანება ნაკარნახევია სულ სხვა სურვილით - მცდელობით ჩართოს სხვა ქვეყნები და სხვა ერები თავის სისხლიან ავანტურაში. რაც

შეეხება რუსეთს, იურიდიულად ჩვენი ქმედებები აბსოლუტურად საფუძვლიანი და ლეგიტიმურია, უფრო მეტიც, ის აუცილებელია“ (ახობაძე, 2011).

უდაოდ საინტერესოა, რომ თავად ვლადიმერ პუტინი სისხლიანი ავანტურის მოწყობაში საქართველოს სდებს ბრალს. ეს განცხადებაც შეგვიძლია თავისუფლად მოვიხსენიოთ მოსახლეობის დეზინფორმირებულობისკენ გადადგმულ ნაბიჯად, რომლის მიზანი რეალობასა და სიცრუეს შორის მიზანმიმართული საზღვრის წაშლაა, რუსეთი კვლავ ცდილობდა აგრესიული მიზებისა და ფაქტების ვითომდა შენიღბვას და საკუთარი ქმედებების გამართლებას.

7 აგვისტოს რუსებმა სამხედრო მზადყოფნაში მოიყვანეს თავისი შეიარარებული ძალები აფხაზეთში, იმავე დღეს აფხაზეთის თვითგამოცხადებულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა თქვა, რომ ცხინვალში უკვე ყველაფერი წესრიგშია და იქ 58-ე არმიის ნაწილებიდ განან, ეს ფაქტები გვაჩვენებს, რომ ყველაფერი კარგად გააზრებული და დადგეგმილი თამაში იყო. ხოლო უკვე 8 ადგვისტოდან საქართველოს წინააღდმეგ, კრემლმა დიდი ხნის წინ დაგეგმილი გეგმა სრულად აამუშავა, დაიკავეს სრული საჰაერო სივრცე, დაიწყეს ქართული ტერიტორიული წყლების ბლოკირება და დამატებითი სადესანტო ნაწილებიც შემოიყვანეს. ომის დაწყების პირველივე დღეს, რუსულმა თვითმფრინავებმა 22-ჯერ დაარღვიეს საქართველოს საჰაერო სივრცე.

დიმდიტრი მედვედევი: „მე ვაცხადებდი საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით, რომელმაც აგრესიული მოქმედებები წამოიწყო, რომ ჩვენ ვანხორციელებთ მშვიდობის იძულების ტაქტიკას გაეროს წესდების მიხედვით. ასეთი ტაქტიკა აბსოლუტურას ეფექტურ და ერთადერთ შესაძლებელ გზად მიგვაჩნია. შეგახსენებთ, რომ ისტორიაში არაერთხელ ყოფილა აგრესორის დაშოშმინების მაგალითები. სსხვათაშორის ამას აკეთებდნენ დასავლეთის ქვეყნები 70 წლის წინ. თქვენ იცით, თუ როგორი ტრაგედიით დასრულდა ეს. პირველ რიგში, მხედველონაში მაქვს მიუნჰენის 1938 წლის გაკვეთილები“ (ახობაძე, 2011).

8 აგვისტოს ცხინვალში რუსული ტანკრების პირველი კოლონა გამოცნდა, ქართული და რუსული ნაწილებიც ღიად დაუპირისპირდნენ ერთამენთს, პარალელურად კი რუსეთმა მეორე ფრონტი გახსნა, ისინი უკვე 11 აგვისტოს შეიჭრნენ ზუგდიდში, ფოსა და

სენაკში. ომში ცართულები იყვნენ აფხაზი სეპარატისტები, რომელთან ერთადაც რუსებმა კოდორის ხეობას მიაშურეს.

საჰაერო ძალების გამოყენებით კრემლმა საქართველოს სრულმასშტაბიანი დაბომბვა განახორციელა. რუსული თვითმფრინავები გაცდნენ კონფლიქტის ზონას და ბომბავდნენ, როგორც სამხედრო ინფრაქტურტურას, ასევე საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს. ეს აქცია მოსახლეობაში პანიკის გამოწვევას, საქართველოს ეკონომიკის სრულ მოშლას და აეროდრომების წყობიდან გამოყვანას ისახავდა მიზნად. ომის პერიოდში რუსული ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა ქ.გორს და გორის რაიონის სოფლებს, ქ.ცხინვალს, მარნეულს, ბოლნისს, ფოთს, სენაკს, ქუთაისს, ვაზიანს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს, დედოფლისწყაროს, კოდორის ხეობას, ონს, ანაკლიას, ბათუმის სიახლოვეს არსებულ სოფლებს და სხვა. ამ საშინელ აგრესიაზე კი რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ამბობდა: „ჩვენი სამშვიდობო და მათი დამხმარე ძალები, ამჟანად ახორციელებენ ქართული მხარის მშვიდობის იძულების ოპერაციას. მათ ეკისრებათ ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის პასუხისმგებლობაც“ (ახობაძე, 2011).

ომის დაწყების პირველივე დღიდან, საერთაშორისო თანამეგობრობამ ორივე მხარეს ცეცხლის შეწყვეტისკენ და კონფლიქტის ზონიდან ჯარის გამოყვანისკენ მოუწოდა. 11 აგვისტოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას, რომელის საფრანგეთისა და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მომზადდა. ეს დოკუმენტი ფრანგმა და ფინელმა დიპლომატებმა მოსკოვში მედვედევთან ხელმოსაწერად იმავე დღეს წაიღეს. საქართველომ 11 აგვისტოსვე კიდევ უფრო დიდი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ცეცხლის შეწყევტის ბრძანება გასცა და რუსულ მხარესაც იგივე მოუწოდა.

ქართული არმია რამდენიმე დღე რაოდენობრივად ბევრად დიდ მოწინააღმდეგეს აკავებდა. რიგითმა ჯარისკაცებმა საკუთარი გმირობისა და თავდადების ფასად რუსეთს თავისი პირვანდელი გეგმის განხორციელების საშუალება არ მისცეს და ძვირფასი დრო მოიგეს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მთელი აქცენტი თბილისის დაცვაზე

გადმოიტანეს. დედაქალაქზე მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად, მცხეთასთან თავდაცვითი ხაზის მომზადება დაიწყო.

საოკუპაციო ძალებმა მთლიანად დაიკავის ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი, 11 აგვისტოს შევიდნენ ზუგდიდიში და სენაკში, იმავე დღეს გორთან გადაიჭრა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალი. 12 აგვისტოს ოკუპანტები შეიჭრნენ ზემო აფხაზეთში, აგრეთვე ფოთში. 13 აგვისტოს აიღეს გორი, ხაშური და ქარელი. 15 აგვისტოს რუსი სამხედროები გამოჩდნენ კასპის რაიონში, დაიკავეს ახლაგორი. რუსულ საუკუპაციო ნაწილებს უკან მოჰყვებოდნენ ოს სეპარატისტთა ბანდიტური რაზმები, რომლებმაც სასტიკად დაარბიეს გორის, კასპის, ხაშურის, ქარელის რაიონის სოფლები, მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა, შეურაწყოფა, გაუპატიურება და მკვლელობა ჩოულებრივი ამბავი იყო. რუსული ჯარი და ოსური ფორმირებები ძარცვავდნენ ყაზარმებს, მაღაზიებს, აყაჩაღებდნენ ჟურნალისტებს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან ასობით ათასი დევნილი დაიძრა.

კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა თავად ცხინვალის რეგიონში, სადაც ყველა ქართული სოფელი მიწასთან გაასწორეს, ქართველთა სახლებს სეპარატისტები ბულდოზერებით ანგრევდნენ. 15 აგვისტოს გაზეთ „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერიუში სეპარატისტთა ლიდერი კოკოითი საჯაროდ აცხადებდა, რომ მათი მიზანი იყო სამხრეთ ოსეთში ქართული ანკლავების გაწმენდა, რათა ეთნიკური ქართველები თავიანთ სახლებში აღარასოდეს დაბრუნებულიყვნენ (ახობაძე, 2011). გადაწვეს და გაანადგურეს ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ტერიტორიის 250 ჰექტარი, განზრახ დააბინძურეს ფოთის ნავსადგურის ეკვატორი.

მიუხედავად იმისა, რომ 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ცეცხლის შეწყვეტის და სამხედრო ოპერაციების დასრულების ოფიციალური განცხადება გააკეთა, რუსული არმია საქართველოს ტერიტორიის დაბომბვას, მისი ინფრასტრუქტურის მიზანმიმართულ განადგურებას და დასახლებული პუნქტების ოკუპირებას კვლავ განაგრძობდა, ესეც კიდევ ერთი მაგალითი რუსული „სამშვიდობო იდეის“. რუსების გასცდნენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარს და გორთან მთავარი მაგისტრალი გადაჭრეს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის შეჩერდი საავტომობილო მოძრაობა, ოკუპანტები

მთელი ქვეყნის პარალიზებას და საქართველოს ეკონომიკის დანგრევას ცდილობდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ რუსმა სამხედროებმა ააფეთქეს სოფელ გრაკალთან მთავარი სარკინიგზო ხიდი, რის შედეგადაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო მთლიანად მოწყდა ერთმანეთს. რუს სამხედროებს ბლოკირებული ქონდათ ფოთის ნავსადგურიც და თვითონ ქალაქი ფოთიც, ისინი საქართველოსკენ მომავალ არცერთ ხომალდს არ ატარებდნენ. 13 აგვისტოს იგოეთთან რუსული ტანკები გამოჩნდნენ ოკუპანტებს საქართელოს დედაქალაქამდე სულ რაღაც 25 კმ. აშორებდათ.

12 აგვისტოს, როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა, საქართველოს მხარდასაჭერად თბილისში პოლონეთის, ლიტვის, ესტონეთის, ლატვისაა და უკრაინის პირელი პირები ჩამოვიდნენ. ლეხ კაჩენსკი, ვალდას ადამკუსი, ტომას ჰენდრიჰპირვესი, ივარს პოდმანისი და ვიქტორ იუშენკო თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე მრავალათასიან მიტინგზე გამოვიდნენ და საქართველოსადმი თანადგომა გამოხატეს. ეს იყვნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებსაც ახლო წარსულში რუსეთის აგრესია ჰქონდათ თავის თავზე გამოცდილი. იმავე დღეს საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გააკეთა აშშ-ს პრეზიდენმა ჯორჯ ბუშმა. ყოველივე ეს ფაქტი უმნიშვნელოვანესი იყო, განსაკუთრებით პირველი პირების ჩამოსვლა თბილისში. ყველა ის ქმედება, რაც ამ პერიოდში რუსულმა სამხედრო ძალამ მოიმოქმედა ნათლად დაანახა ყველას, რომ რუსეთის მიზანი არა მხოლოდ სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერა, არამედ საქართველოს სრულ ანექსია იყო. რუსები მოდიოდნენ დედაქალაქისკენ, მაგრამ მაშინ, როდესაც ამდენი დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პირი იმყოფებოდა თბილისში, დედაქალაქზე აგრესია უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ეს თუ მოხდებოდა ავტომატიურად ნიშნავდა, რომ რუსეთის ფედერაცია პირდაპირ ომს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ პოლონეთს, ლიტვას, ესტონეთს, ლატვიასა და უკრაინას უცხადებდა, ამაზე კი მოსკოვი, რა თქმა უნდა, არ წავიდოდა. ჩემი აზრით, ამ ქვეყნების ლიდერების თბილისში ყოფნამ უდიდესი დახმარება გაგვიწია საქართველოს იმ პერიოდში. ამ ყველაფერს საერთაშორისო ორგანიზაციებიეც გამოხმაურნენ, რუსეთის აგრესია დაგმო ევროკავშირმაც, რომლის მიერ განხორციელებულ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ არსებული კონფლიქტი უნდა

გადაჭრილიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კონტექსტში. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაეროში გაეროს უშიშროების სხდომაზე დააფიქსირა, რომ მოსკოვის მიზანი აგვისტოს აგრესიის დროს თბილისის აღება და საქართველოს ხელისუფლების დამხობა იყო. მოგვიანებით, აშშ-ს მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა იგივე ღიად განაცხადა: „ვაპირებ ყველას ვუთხრა, რომ რუსეთის მიერ წარმოაებული ომი საქართველოს ხელისუფლების დამხობას ისახავდა მიზნათ!“ (ახობაძე, 2011).

იგივე თქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა: „ჩვენ მოგვიწია წითელი არმიის შეჩერება და ჩვენი უმთავრესი და ერთადერთი მიზანიც ის იყო, რომ რუსებისთვის საქართველოს დედაქალაქის აღების საშუალება არ მიგვეცა“ (ახობაძე, 2011).

საომარი მოქმედებსბის დაწყების შემდეგ, პირველი საერთაშორისო რეაქცია გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომის ჩატარება იყო, რუსეთმა უარი განაცხადა ცეცხლის შეწყვეტასა და საერთაშორისო შუამავლების დახმარებით მოლაპარაკების დაწყებაზე. იმ დღეს გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების მიდმივმა წარმოამდგენელმა ზალმაი ჰალილზადესამ გაახმოვანა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვოსა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაიზის სატელეფოფო საუბრის შენაარსი: „ეს საუაბრი იწვევს სერიოზულ კითხვებს რუსეთის მიზნებთან დაკავშირებით ამ კონფლიქტში. საუბარში საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა უთხრა სახელმწიფო მდივან რაიზს, რომ დემოკრატიულად არჩეული საქართველოს პრეზიდენტი, ვციტირებ, „უნდა წავიდეს“ ციტატის დასასრული. ვციტირებ კიდევ ერთხელ „სააკაშვილი უნდა წავიდეს“ ციტატის დასასრული. ეს სრულიად მიუღებელი და ზღვარგადასულია“ (ახობაძე, 2011).

მსოფლიომ კარგად დაინახა, რუსეთის ფარული ომის ნამდვილი მიზანი.

12 აგვისტოს თბილისში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლაი სარკოზი ჩამოვიდა, რომელმაც რუსეთის პრეზიდნეთან უკვე შეთანხმებული 6 პუნქტიანი სამშვიდობო გეგმა ჩამოიტანა. გეგმის მიხედვით კონფლიქტში

მონაწილე მხარეები უარს ამბობდნენ საბრძოლო მოქმედებებზე და ძალის გამოყენებაზე, აგრეთვე თანხმდებოდნენ შეირარებული ძალების დისლოკაციის ადგილზე დაბრუნებაზე.

მოუხედავად კრიტიკული ვითარებისა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა, საქართველო შეთანხმების მე-6 პუნქტს აპროტესტებდა, სადაც ეწერა, რომ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით სამომავლო მოლაპარაკებები უნდა გამართულიყო. თბილისის პოზიციით მათი სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში უკვე გარკვეული იყო და იგი განხილვას არ ექვემდებარებოდა. საქართველოს პრეზიდენტი სამშვიდობო ხელშეკრულებას მხოლოდ მას შემდეგ შეურთდა, როდესაც მე-6 პუნქტი შეიცვალა. შეცვლილი რედაქციით სტატუსის განხილვის ნაცვლად უნდა დაწყებულიყო საერთაშორისო დისკუსიები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების და სტაბილურობის შესახებ, სამშვიდობო ხელშეკრულება ძალაში საბოლოოდ 16 სექტემბერს შევიდა, როცა ამ დოკუმენტზე ხელი როგორც ქართულმა, ასევე რუსულმა მხარემ მოაწერა.

რუსეთი საქართველოში შემოჭრის რამდენიმე მიზეზს ასახელებდა: მათ შორის უმთავრესი იყო, სამაჩაბლოს მოსახლეობის მიმართ ქართული აგრესიის შეჩერება, ეთნიკური წმენდის შეჩერება და რუსეთის მოქალაქეების დაცვა. ყველა ეს მიზეზი უბრალოდ გამოგონილი იყო, საერთაშორისო სამართლის მიხედვით აგრესიად მიიჩნევა ერთი სახელმიწფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფა. ეს კი არგუმენტად არ გამოდგება, რადგან ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რაც შეეხება ეთნიკურ წმენდას, ომის დაწყების პირველივე დღიდან რუსეთი საჯაროდ აცხადებდა, რომ ქართველთა დაბომბვის შედეგად ცხინვალში 2000-ზე მეტი დაღუპულია და მიმდინარეობს ოსი ხალხის გენოციდი. თუმცა ეს ფაქტი არცერთმა საერთაშორისო დამკვირვებელმა არ დაადასტურა, თავად რუსეთის პროკურატურამ თავის ოფიციალურ დასკვნაში საომარი მოქმედებების შედეგად გარდაცვლილთა ციფრი მოგვიენბით 162 ადამიანი დაასახელა. რუსეთის მსგავსი განცხადებების მიზანი ისევ და ისევ მოსახლეობის დემორალიზება იყო, პანიკის თესვა, საქართველოსადმი აგრესიის გაღვივება და ასე საკუთარი თავის კარგად წარმოჩენა.

დიმიტრი მედვედევი: „ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. სამხრეთ ოსეთის ხალხმა გენოციდი გადაიტანა. ამ ჭრილობების მოშუშებას წლები დასჭირდება, შესაძლოა ათწლეულებიც. მთელი ერის განადგურების აღსაკვეთად განხორციელებული ღონისძიებები კანონიერი, აუცილებელი და გამართლებული იყო“ (ჩაგელიშვილი, 2014).

საერთაშორისო სამართალს არ შეესაბამება არც რუსეთის არგუმენტაცია საკუთარი მოქალაქეების დაცვის შესახებ, რადგან რუსული პასპორტების დარიგება და მათთვის მოქალაქეობის მინიჭება თავიდანვე უკანონოდ განხორციელდა და აქედან გამომდინარე, ისინი ვერ ჩაითვლებოდნენ რუსეთის მოქალაქეებად, გარდა ამისა, რუსეთს, თუნდაც საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით, არ ქონდა საერთაშორისო ორგანიზაციის თანხმობის გარეშე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ძალის გამოყენების უფლება, მითუმეტეს რომ ეს ძალა აშკარად არაპროპორციული იყო. საქართველო იძულებული გახდა ეპასუხა რუსეთის ქმედებებს, ომი არ ყოფილა თბილისის არჩევანი. თბილისს არჩევანი არც ჰქონდა, თუ იგი ქართული სოფლების დაცვის მიზნით საპასუხო მოქმედებებს დაიწყებდა მოხდებოდა ის, რაც მოხდა. ხოლო, თუ არ უპასუხებდა, მაშინ სეპარატისტების ბანდები, რუსეთის ფარული დახმარებით ქართველ მოსახლეობას რეგიონიდან გამოდევნიდნენ, ხოლო კრემლი მიუკერძოებელ პოზიციას შეინარჩუნებდა.

26 აგვისტოს რუსეთი პრეზიდენტმა დიმიტრი მედეევედევმა, ყველა საერთასორისო ნორმებისა და კანონმდებლობის დარღვევით, ხელი მოაწერე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ბრძანებას და განაცხადა: „მე ხელი მოვაწერე ბრაძანებას რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე. რუსეთი მოუწოდებს სხვა სახელმწიფოებსაც, რომ მიბაძონ მის მაგალითს“ (ჩაგელიშვილი, 2014).

კრემლმა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია მოახდინა და იქ მსხვილი სამხედრო ბაზები განალაგა. საკუთარი აგრესიის ლეგიტიმაციას რუსეთი დღემდე უშედეგოდ ცდილობს, თუმცა ვენესუელის და ნიკარაგუას ლიდერებს გარდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არავინ აღიარებს. ამ საკითხში რუსეთს მხარი მისმა უახლოესმა პარტნიორებმაც კი არ დაუჭირეს, საკუთარი აგრესიის გასამართლებლად, მოსკოვი სამარცხვინო ნაბიჯებსაც კი არ ერიდება. 2010 წელს

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთმა წყნარი ოკიანის ჯუჯა სახელმწიფო ნაურუსაგან 50 მლნ. დოლარად იყიდა. 2018 წლის 29 მაისს კი აღიარა სირიამაც.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ 130 ათასამდე ადამინაი გახდა დევნილი, მათაგ ძალინ დიდი ნაწილი დღემდე ვერ ბრუნდება მშობლიურ სახლში. 423 ადამიანი დაიღუპა ოფიციალური მონაცემების მიხედვით, აქედან 166 სამხედრო მოსამსახურე, 16 პოლიციელი და 220 სამოქაალქო პირი. დაჭრილთა რაოდენობამ 2234-ს მიაღწია. „რუსულმა ნაწილებმა არ დაიკავეს თბილისი 2008 წელს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამას არასდროს გააკეთებენ“ (Felgenhauer. 2008, p.180).

დიმიტრი მედვედევი: „მე არ მრცხვენია ამ მბრძანებების გამო. არათუ არ მრცხვენია, არამედ მიმანია, რომ ეს იყო სწორი და აუცილებელი გადაწყვეტილებები ამ მომენტისთვის. სხვაგვარად ამ ტრაგედიას ვერ შევაჩერებდით. მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილება, რომელიც მე მაშინ მივიღე იყო მკაფიო და გამოზომილი. ამ თავლსაზრისით, ახალი ტერიტორიული წარმონაქმნდების საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარებაც მატი დაცვის მიზნით მოხდა“ (ჩაგელიშვილი, 2014).

3.1.1 აგვისტოს ომი - ანალიზი

აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატისტული რეგიონები უკვე იწოდებიან ოკუპირებულ რეგიონებად, ხოლო რუსეთის ფედერაცია უვვე ოფიციალურად გახდა ოკუპანტი. რუსეთმა თავისი სამხედრო ძალა არამარტო ოკუპირებეულ რეგიონში, არამედ იმ ტერიტორიებზეც განათავსა, რომლებიც აგვისტოს ომამდე საქართველოს მთავრობის დაქვემდებარების ქვეშ იყო, ამით კი უხეშად დაარღვია 2008 წლის 12 აგვისტოს მიღებული ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. რუსეთი ამ ტერიტორიებზე ხელს უშლიდა ევროკავშირის მონიტორინგიას მისიას და ის ძალიან უხეშად არღვევდა და დღემდე არღვევს საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს.

2009 წლის 30 სექტემბერს ევროკავშირის დაფინანსებით გამოქვეყნდა საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი

დამოუკიდებელი საერთაშორსო მისიის დასკვნა, რომელსაც შვეიცარიელი დიპლომატი ჰეიდი ტალიავინი ხელმძღვანელობდა, დასკვნის მოცულობა 1100 გვერდს აღემატებადა ცხრათვიანი მუშაობის შედეგია, აღნიშნულ ქვეთავში კი მინდა ეს დასკვნა მოკლედ განვიხილო და ისე შევაფასო რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული ომის კულმუნაცია სეპარატისტულ რეგიონებში - აგვისტოს ომი.

საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორსო მისიის დასკვნაში აგვისტოს ომის შესაფებებისას ნათქვამია, რომ „ფართო მასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის დაბომბვით, თუმცა ეს იყო იმ მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კუმბინაცია, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა“ (IIFFMCG[8], 2009). ეს სიტყვები კი ხაზს უსვამს და ადასტურებს რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ფაქტს, რადგან როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ომის ამ სახეობის მიზანი სწორედ პროვაკაციების წარმოებაა მოწინააღმდეგე ქვეყნის წინააღმდეგ და ამ პროვოკაციების მიზანი კი სწორედ იმ შედეგამდე მიყვანა, რა შედეგამდეც მივიდა საქართველო. დასკვნაში ასევე საუბარია რუსეთისა და ცხინვალის ბრალდებებზე გენოცდითან დაკავშირებით და ნათქვამია, რომ გენოციდი არ ყოფილა საქართველთა მხრიდან, ეს აბსურდული გავრცელებული ინფორმაცია საინფორმაციო ომის გამოვლინება იყო, რათა ფსიქოლოგიური წნეხი გაზრდილიყო. დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელდა ეთნიკური წმენდა და არა პირიქით. დასკვნაში საერთაშორისო სამართლის კუთხით საქართველოს მიერ ძალის გამოყენება არაა გამართლებული, რადგან საქართველოს ძალის არგამოყენების ვალდებულება გააჩნდა დოკუმენტებით: 1992 წლის სოჭის ხელშეკრულება და 1996 წლის მემორანდუმი უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ქართულ-ოსური კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთ ნდობის გაძლიერების ზომების შესახებ. რუსეთის პროვოკაციების ერთ-ერთი მიზანიც ეს იყო, რომ

[8] Independent International Fact Finding Mission on the Conflict in Georgia

საქართველოს იძულებული გაეხადა დაერღვია აღნიშნული ვალდებულებები და ამ მიზანსაც მიაღწია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით სულაც არაა გასაკვირი, რომ რუსეთის მიერ ძალის გამოყენების კანონიერებაზე საქართველოში მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენ დამოუკიდებელ საერთაშორსო მისიას საერთაშორისო სამართლის კუთხით ერთპიროვნული აზრი არ აქვს და რუსეთის რეაქციას საქართველოს შეტევაზე ორ ფაზადყოფს - ერთი, რომელიც იყო მყისიერი რეაქცია ცხინვალში მყოფი რუსი სამშვიდობოებისა და „გარუსებული“ მოსახლეობის დასაცავად და მეორე, სამხრეთ ოსეთის მიღმა საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შეჭრა. მისია ასკვნის, რომ პირველ შემთხვევაში „თუ რუს სამშვიდობოებს თავს დაესხნენ, რუსეთს ჰქონდა უფლება პროპორციული სამხედრო ძალა გამოეყენებინა მათ დასაცავად. ამრიგად, რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თავდაცვითი მიზნით კონფლიქტის პირველი ფაზის დროს კანონიერი იქნებოდა. თუმცა მისია არ ადასტურებს ფაქტის, რომ ეს ასე მოხდა. რაც შეეხება მეორე ფაზას, დასკვნაში ნათქვამია, რომ „რუსული სამხედრო მოქმედებების უმეტესობა მნიშვნელოვნად გასცდა თავდაცვის გონივრულ საზღვრებს” (IIFFMCG, 2009). „უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთის სამხედრო მოქმედებები სამხრეთ ოსეთის ფარგლებს მიღმა ძირითადად საერთაშორისო სამართლის დარღვევით განხორციელად“ (IIFFMCG, 2009). დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთმა გაეროს წესდება დაარღვია, როდესაც მან და მისმა აფხაზმა მოკავშირეებმა ზემო კოდორის ხეობაზე მიიტანეს იერიში. მისია ასევე აცხადებს, რომ მესამე ქვეყნის მიერ სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარება და სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების „მასობრივი დარიგება” საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება (IIFFMCG, 2009). აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ საქართველოს რუსეთის ტერიტორიაზე არ გამოიყენებია არანაირი ძალა მის წინაარმდეგ, საქართველომ ძალა გამოიყენა მის ოფიციალურ ტერიტორიაზე.

ჰიბრიდული ომის პრეცენდენტი, როგორც უკვე აღვნიშნე, არაა განსაზღვრული საერთაშორისო სამართალში, შედაბამისად არც თავდაცვის მექანიზმი არსებობს მოწყვლად სახელმწიფოებში. ამის მიზეზი კი, სამწუხაროდ, ის არის, რომ ჰიბრიდული

ომის იდენტიფიცირება დიდ პრობლემას წარმოადგნეს და თუკი მოწყვლადი სახელმწიფო, იმ საბაბით, რომ ჰიბრიდული ომის მსხვერპლი შეიძლება იყოს გახსნას ცეცხლი და ამით თქვას, რომ თავს იცავს. ამიტომ, სამართლებრივად რთულია საქართველოს მხრიდან ცეცხლის გახსნის გამართლება.

საკუთარი შეხედულებისამებრს თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენებას არაერთი გამოწვევა შეიძლება მოჰყვეს, რისი დარეგულირებაც საკმაოდ გამწვავდება და საერთაშორისო სამართლის მიხედვითაც რთული შესაფასებელი იქნება, ეს კი შეუთავსებელია გაერო-ს წესდების ამოცანებსა და მიზნებთან, რომელიც ცდილობს მინიმუმამდე შეამციროს ძალის ცალმხრივი გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებში. და ერთის მხრივ, ეს სწორია, რადგან თავად ომის ბუნება რადიკალურად შეცვლილი, ის აღარაა მხოლოდ მყისიერი, არამედ დროში გაწერილი, ეტაპობრივი და შენიღბული - ჰიბრიდული. მაგრამ მეორეს მხრივ, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ დაიცვას საკუთარი ხალხი და სუვერენტეტი თუკი არ შემუშავდება რაიმე სამართლებრივი მექანიზმი!? - საქართველო კი სწორედ ამ დიდი დილემის წინაშე აღმოჩნდა და სახეზეა მსხვეპლი ქვეყანა, რომელის სუვერენიტეტიც ჰიბრიდულმა ომმა უხეშად დაარღვია.

3.2 ბორდერიზაცია

საქართველოს 20%-ის ოკუპირების არ დაჯერდა რუსეთი და ახლა უკვე მისი ჰიბრიდული პოლიტიკა ე.წ „ბორდერიზაციის პროცესსაც“ (ე.წ მცოცავ ანექსია) არ ერიდება და შემდეგნაირადაც არღვევს ქვეყის სახელმწიფო სუვერენიტეტს. ეს შეიძლება შევაფასოთ როგორც ფსიქოლოგიური ომის მაგალითი, საქართველოს მოსახლეობისა და მთავრობის დომორალიზების კიდევ ერთი გამოვლინება. პროვოკაცია, რომელსაც თუკი საქართველო კიდევ ერთხელ წამოეგება შეიძლება სტუაციის მეტად გართულება და დაპირისპირების კიდევ უფრო დიდ ჩიხში შეყვანა მოჰყვეს.

2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერიდან ცოტა ხანში რუსეთმა ე.წ „ბორდერიზაციის“ პროცესში ოკუპირებული ტერიტორიებს

შემოღობვა დაიწყო. რაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, უპირველესად, თავისუფალი გადაადგილების უფლებას. ბორდერიზაცია ეწოდება სასაზღვრო ნიშნების, ღობეებისა და მავთულხლართების ცალმხრივად დამონტაჟებას ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისგან გამოყოფის მიზნით. თანაც ჩვენს შემთხვევაში, ბორდერიზაცია გულისხმობს რუსეთის ოკუპაციის გავრცელებას საქართველოს დანარჩენ სუვერენულ ტერიტორიებზეც.[9]

გეორგრაფიული არეალიდან გამომდინარე, აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე ბორდერიზაციის პროცესის მცდელობა კი იყო, მაგრამ შედარებით პასიური, რადგან მდინარე ენგური ბუნებრივ ადმინისტრაციულ ზოლს ქმნის, თუმცა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ კი ეს პროცესი ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. თანაც აქვე აღსანიშნია, რომ 2009 წლის აპრილში, რუსეთის ხელისუფლებამ და სუხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო ძალებს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მოქმედების უფლებამოსილებას ანიჭებს, ეს შეთანხმებაც, რა თქმა უნდა, უკანონა და საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევის კიდევ ერთი ფაქტია.

ბორდერიზაციის პროცესი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის პარალელურად მიმდინარეობს და მას „მცოცავი ანექსიის“ პოლიტიკა ეწოდება. ბორდერიზაციის პროცესი რუსეთის სტრატეგიის ნაწილია, რომლის ამოცანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფაა. იგი რამდენიმე კონკრეტულ მიზანს შეიძლებ, ემსახურებოდეს:

---

[9] ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები და ტერიტორიული წყლები“ ან „ოკუპირებული ტერიტორეები“ მოიცავს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, ცხინვალის რეგიონს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) და რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდინარე ფსოუდან სამხრეთით მდინარე ენგურის შავ ზღვასთან ჩადინების ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მდებარე საზღვაო აკვატორში შემავალ ზღვას. ტერმინი ასევე ფარავს ზემოთ აღნიშნული ტერიტორიების საჰარეო სივრცეს.

- საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებასა ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოპოვებას;
- საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის მუდმივი ხელყოფა;
- ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობის შესუსტება;
- ნატო-ს შემდგომი გაფართოების არ დაშვება.

უწყების ცნობით, აგვისტოს ომამდე საქართველო სამაჩაბლოში დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობასა და ალხალგორის რაინოსი 103 სოფელს აკონტროლებდა, ხოლო 2008 წლის ომის შემდგომ ყველა ეს სოფელი უკვე რუსეთის კონტროლის ქვეშაა. 2011 წლიდან ბორდერიზაციის პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა და არა მხოლოდ 103 სოფელი, არამდეს სხვა 32 სოფელიც მის კონტროლის ქვეშ მოაქცია. სუს-ის[10] ინფორმაციით დღეს სამაჩაბლოს მიმართულებით არსებული საოკუპაციო ხაზის სიგრძე 350კმ-ზე მეტია და ამავე ხაზის გასწვრივ დაახლოებით 52 კმ-ზე მეტი სიგრძის ღობეები და მავთულხლართებია გავლებული. საინტერესოა გადავხედოთ ქრონოლოგიას, რომელზე ინფორმაციაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გვაწვდის:

- 2011 წელი - შემოდგომაზე გორის რაიონის სოხელ დიდ ხურვალეთსი 1 კმ-მდე მავთულხლართი გაავლეს, ხოლო ქვემო ნიქოზში 3 კმ-მდე მავთულხლართი დაინსტალირდა;
- 2012 წელს - სოფელ მეჯვრისხევში დაიწო ღობეებისა და მავთულხლართების ინსტალაცია და 2013 წლისთვის 800 მეტრი გახდა;
- გორის რაიონის სოფლებში ასეთი მდგომარეობა იყო: სოფელ მერეთსა და ქსუისში საოკუპაციო ხაზმა დაახლოებით 4კმ. შეადგინა. გუგუთიანთკარში 143 მ., დიცი 1.5 კმ, შემდეგ უკვე 5კმ-მდე გაიზარდა, ბერშუეთში 1.3 კმ, ჯარიაშენში 700 მ. ღობე გაევლო. მოგვიანებით, სოფელ ქვემო ხვითისა და ზემო ნიქოზში ღობეების სიგრძემ დაახლოებით 12 კმ. შეადგინა. ქარელის რაიონში კი: თამარაშენში და ატოცში 6-8 კმ. სიგრძის მავთულხლართები, ცერონისში, ავლევსა და კნოლევში 3 კმ, დირბში 200მ, დვანში 3 კმ-მდე, ღოღეთში 600 მ.

[10] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

ღობეები დაინსტალირდა, კოდაში 2 კმ. სიგრძის მავთულხლართი და დვანში 600 მ. ღობე დააინსტალირეს. კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოშიც ასევე 600 მ. ღობე მივიღეთ, ხოლო თვაურებსა და ახმაჯის ტერიტორიაზ 900 მ. სიგრძის მავთულხლართი.

- 2014 წელი - გორის რაიონის სოფლელ ქერესში და ასევე სოფელ ოტრევში (რომელიც ოკუპირებულია) 500 მ. სიგრძის მავთულხლართი დაინსტალირდა;
- 2015 წელი -გორის რაიონის სოფელ წითელუბანში და აკუპირებული ახალგორის რეგიონის სოფელ ორჭოსანთან ე.წ საზღვის აღმნიშვნელი ბანერი განათავსეს. ამ ე.წ საზღვრის მიღმა მოაქციეს გარკვეული სეგმენტი ბაქო-სუფსის მილსადენისა. ასევე, საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დადგეს თამარაშენსა და ცერონისის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- 2016 წელი -2 ე.წ სასაზღვრო ბანერი დაამონტაჟეს ქარელის რაიონის სოფელ ავლევის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- 2017 წელი - 3 ც. ე.წ საზღვის აღმნიშვნელი ბანერი განათავსეს გორის რაიონის სოფელ ხურვალეთისა და წითელუბანის მიმდებარედ. ბერშუეთში კიდევ იყო 3 ც. უკანონო ბანერი და გადმოწიეს საზღვარი 700 მეტრით, ამით კი ოკუპირებულ ტერიტორიაში მოექცა კიდევ 10 ჰა. მიწის ნაკვეთი, ბერშუეთში ამავე წელს კიდევ ორი ბანერი განათავსეს. რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ქარელის სამ სოფელში ხნულების გავლებით მონიშნეს ე.წ საზღავრეი ავლევში, კნოლევსა და ცერონში. იგივე დაფიქსირდა კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში, მდ. თოთრლას გასწვრაც და ხნულის მიღმა კი აღმოჩნდა ბაქო-სუფსას ნავთობსადენის აღმნიშვნელი ბანერი. კასპის რაიონის სოფელ ყარაფირაშიც 2 ც. ე.წ სასაზღვრო ბანერი აღმართეს.

დღეს, ძალიან სამწუხარო შედეგია სახეზე: საოკუპაციო ხაზი შეადგენს 350 კმ-ზე მეტს, მავთულხლართები და ღობეები დაინსტალირებულია 52 კმ-ზე, მთავარ მაგისტრალამდე სულ რაღაც 350 მ. არის დარჩენილი და ბაქო-სუფსის მილსადები ე.წ საზღვირს მიღმაა დარჩენილი. რა თქმა უნდა, რუსეთის ამგვარ პოლიტიკას გმობს საქართველოს მთავრობა, გომებენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და ელჩები, მაგრამ

რეალური გადადგმული ნაბიჯი ამ ქმედებათა აღსაკვეთად ჯერ მაინც არ ჩანს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს და ხაზს უსვამს კრემლის ექსპანსიონისტური პოლიტიკის სიძლიერესა და კომპლექსურ ხასიათს. ამ ქმედებებს ეხმიანება უკრაინაც, რომელსაც ალბათ ყველაზე მეტად უგებს საქართველოს, რადგან რუსეთის ჰიბრიდული პოლიტიკა მან ძალიან დიდი ხანია იგემა და ისიც საქართველოსთან ერთად დიდი გამოწვევებისა და რუსეთის კარგად დაგეგმილი პროვოკაციების პირისპირაა.

თავი IV: ჰიბრიდული ომის გაგრძელება

რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინაარმდეგ, რა თქმა უნდა, აგვისტოს მოვლენების შემდეგ არ შეწყვეტილა, პირიქით, ის უფრო მძლავრი და საშიში გახდა, გარდა იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოს სახელწიფო სუვერენიტეტს არღვევს უხეშად ის სხვა დანაშაულებსაც არ ერიდება, რომელთა მიმოხილვასაც მოკლედ ვეცდები ზოგაგ კონტექსტში და არა კონკრეტული პერიოდის გათვალისწინებით.

4.1 რუსეთის ენერგო პოლიტიკა

რუსეთის ერეგო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, რუსული ჰიბრიდული ომის მორიგ მთავარ საბრძოლო მექანიზმად გვევლინება, მართალია უშუალოდ ეს გამოვლინება სეპარატიზმის მხარდაჭერის საკითხში ნაკლებად იყო აქტიური, მაგრამ, არავისთვის არ არის უცხო, რომ რუსული „გაზპრომი“ პუტინის ხელში წარმოადგენს პოლიტიკურ ბერკეტს. ამტომ აუცილებელია რუსულ ჰირიდულ ომზე ლაპარაკისას ამ თემას შევეხოთ.

რუსული ენერგო იმპერია ევროპის ბაზარზე მონოპოლიისკენ მიისწრაფის, მას აქვს სურვილი, რომ ის იყოს მომმარაგებელი როგორც თავისი, ასევე ცენტრალური აზიისა და კასპიური ენერგო რესურების. ამიტომ ბუნებრივია, მისთვის მიუღებელია კავკასიის გავლით სხვა ალტერნატიული გზა შეიქმნას ენერგო რესურსების სატრანზიტოდ. თუმცა, ყველა კარგად ხედავს რუსეთის ენერგო იმპერიის გავლენის მასშტაბებს, ამიტომ ეცდილობნენ, რომ რეალობად ქცეულიყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანიდა სა ბაქო-სუფსის

ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი. რუსეთის წარმატება იყო ნაბუქოს პროექტის შეჩერებაც, რითიც გარკვეული საფრთხის ლიკვიდირება მოახდინა, მაგრამ საქართველოს როლი, როგორც აბრეშუმის გზის აღმოსავლეთ-დასაცლეთის დერეფანი უკვე აღიარეს, ეს კი ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სტატუსია, თანაც ჩვენ სატრანზიტო ქვეყანა ვართ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეს კი ნამდვილად დიდი შესაძლებლობების მომცემია, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

საქართველოს გზა რუსეთისგან ენერგოდამოუკიდებლობისკენ 2006 წლის ცივ ზამთარში დაიწყო. აღსანიშნია, 2006 წლის 22 ნოემბერს ღამე, ვლადიკავკაზიდან 30 კილომეტრში, მთებში გამავალ ერთდროულად ორ გაზსადენზე ორი აფეთქება მოხდა, რა თქმა უნდა, ეს აფეთქება არ მომხდარა შემთხვევით, მითუმეტს, რომ, ეს ის გაზსადენები იყო, რომელთა საშუალებითაც საქართველოს რუსული გაზი მიეწოდებოდა. იმავე დღეს ყარაჩაი-ჩერქეზეთში მაღალი ძაბვის ხაზი ააფეთქეს და საქართველოს რუსეთიდან ელექტროენერგიის მიწოდებაც შეუწყდა, ბევრ დაფიქრება არ უნდა ამას, რომ რუსეთმა ეს ორ აფეთქება გამიზნულად მოაწყო. პრობლემები შეექმნა სომხეთსაც, რომელიც რუსულ გაზს საქართველოს გავლით იღებდა. თბილისში დარწმუნებულები იყვნენ, რომ რუსეთი ამ გზით ცდილობდა საქართველოს იძულებას, გადაეცა მისთვის ქვეყნის სტრატეგიულ გაზსადენებსა და სხვა ინფრაქტრუქტურაზე კონტროლი, ეს კი რუსული ჰიბრიდული ომის კიდევ ერთი ფაქტია, თანაც ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვეში „გაზპრომმა“ საქართველოს გაზის საფასური გაუძვირა – 1000 კუბამეტრში 110 დოლარის ნაცვლად 235 დოლარიანი ტარიფი დაწესდა. შესაბამისად, ამ პერიოდის შემდეგ საქართველო რუსეთისგან ბუნებრივ აირს 2007 წლიდან არ ყიდულობს, ეს კი მნიშვნელოვანია, რადგან ამით ქვეყანა რუსული ძალის გავლენა მეტად შეამცირა საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ საქმე მთლად ასე მარტივადაც არაა.

რუსეთს რომ საქართველოსადმი ინტერესი აქვს ეს ნამდვილად არაა ახალი ამბავი, მითუმეტეს, როცა საქართველო ახორციელებეს რუსული „გაზპრომის“ ტრანზიტს სხვადასხვა ქვეყნებში. 2017 წლის დასაწყისში საქართველომ “გაზპრომთან” ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მთავარი ამ ხელშეკრულებაში ის იყო, რომ შეიცვალა

ბუნებრივი აირის ტრანზიტის ანაზღაურების სქემა – თუ მანამდე, წლების განმავლობაში, რუსეთიდან სომხეთში გატარებული გაზის სანაცვლოდ, საქართველო ტრანზიტის საფასურად ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებული რუსული გაზის 10% იღებდა, ახალი ხელშეკრულებით, საქართველო რუსეთისგან ბუნებრივ აირს კი აღარ იღებს, არამედ ფულად ანაზღაურებას და რამდენია ეს ანაზღაურება ჯერ კიდევ უცნობია. ამ ქმედებას დადებითი შეფასება, რა თქმა უნდა, არ მოყოლია, მაგრამ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის თავის გასამართლებელი არგუმენტი იყო საერთაშორისო ვალდებულება, კერძოდ, ევროპის ენერგეტიკული ქარტია. პრაქტიკულად არც ერთ ქვეყანაში აღარ ხდება ნატურის სახით ტრანზიტის საფასურის ანაზღაურება. ყველგან, საერთაშორისო დონეზე, ქვეყნები ერთმანეთს ფულით უნაზღაურებენ გატარებული ბუნებრივი აირის მოცულობების ტრანზიტის საფასურს.

მონეტიზაციაზე გადასვლა და ევროპის ენერგეტიკული ქარტიით მანიპულირება ნამდვილად არაა დამაჯერებელი თუკი გავიხსენებთ, რომ რუსეთი მუდმივად არღვევს ენერგეტიკული ქარტიის პირობებს და ამ ქარტიაში მონაწილეობა ჯერ კიდევ 2009 წლიდან აქვს შეჩერებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობას ეს არგუმენტი გამოეყენებინა ამ ხელშეკრულებაზე საუბრისას, მან, ფაქტობრივად, რუსეთის დარღვევებს ხელი დააფარა. მთავრობამ ასევე თქვა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება თუ არ დაიდებოდა ეს მის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯზე ცუდად იმოქმედებდა, რადგან „გაზპრომის“ წინადადებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში რუსეთი გაზმომარაგების კუთხით პრობლემებს შეუქმნიდა სომხეთს და ამით შეილახებოდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, რეპუტაცია. და ასევე, მიუღებელი იქნებოდა თუკი საქართველოს ნაცვლად ირანის გავლით მოხდებოდა ბუნებრივი აირის ტრანზიტი. ამ შეთანხმებას ექსპერტები და ხელისუფლების ოპონენტები იმთავითვე საქართველოსთვის ეკონომიკურად წამგებიანად აფასებდნენ. ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი კი სწორედ ის იყო, რომ ქვეყანა რუსული გაზის გარეშე ვერ დარჩებოდა, რადგან აზერბაიჯანს არ შეეძლო საქართველოს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, თუმცა ესეც ტყუილია, თან თავად ხელისუფლებამვე დაადასტურა, როცა ეკონომიკის მინისტრის მიერ ხელმოწერილ 2018 წლის ბალანსში სულ სხვა

რეალობა აღმოჩნდა. ნათქვამია, რომ აზერნაიჯანს შეუძლია საქართველოს მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება. 2012 წლიდან მოსული მთავრობის პოლიტიკა საეჭვოა ნამდვილად და მგონია, რომ ეს ყველაფერი მეტად მოწყვლად ხდის საქართველოს რუსული ჰიბრიდული ომის მძლავრი იარაღის წინაშე. „გაზპრომის“ საქართველოში შემოსვლა, თუნდაც მცირე ხნით, პირდაპირ პროპორციულია რუსული გავლენის გაზრდისა საქართველოში, თანაც კარგად უნდა გვახსოვსდეს რუსული პროვოკაციების სიმრავლე, რაც შეიძლება მის ნებისმიერ ქმედებაში გამოვლინდეს.

4.2 რუსეთის კიბერტერორიზმი[11]

21-ე საუკუნის უდიდესი გამოწვევა კიბერტერორიზმი დღეს ჰიბრიდული ომის უფორო და უფრო მძლავრს ხდის, თან საეთაშორისო კვლევების მიხედვით მსოფლიოში კიბერშეტევების ერთ-ერთ მთავარ მოთამაშედ რუსეთი სახელდება, ეს კი ავტომატურად მოწყვლადს ხდის საქართველოს კიდევ ერთი დიდი საფრთხის მიმართ.

საინტერესო ფაქტია, რომ 2014 წლის იანვარში „რუსეთის ფედერაციის კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის კონცეფცია“ წარმოადგინა რუსეთის ფედერალურმა საბჭომ, რომელშიც საუბარია ახალ საფრთხეებზე და გამოწვევებზე, რაც ინფორმაციულ სამყაროში არსებობს. რუსეთში ეს სფერო სპეციალური სამსახურების კონტროლის ქვეშაა და შეიარაღებულ ძალებში ამ დარგის განვითარება აქტიურად მიმდინარეობს. შექმნილი საიდუმლო ქვედანაყოფები არა მხოლოდ აღკვეთავენ შეტევებს, არამედ თავადაც ხდებიან კიბერშეტევების აქტორები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებიან და ეს რამდენად სწორია უკვე ცალკე განსახილველი საკითხია.

რუსული კიბერტერორიზმი საქართველოსთვის დიდი საფრთხეა, თანაც აღსანიშნია, რომ ჩვენი კიბერსივრცე რუსული ჰაკერული დაჯგუფებებისთვის ერთი-ერთი პრიორიტეტულთაგანია, რომელთა მიზანი არამხოლოდ სამთავრობო, არამედ სამოქალაქო და კერძო სექტორების ვებ-გვერდებიცაა, როემლთა მიზანი სამუშაო პროცესის პარალიზება და ინფორმაციის შეგროვება. დემოკრატიის დაცვის ალიანსის

[11] კიბერტერორიზმი არის კომპიუტერზე, ქსელზე და მათში არსებულ ინფორმაციაზე შეტევის ან შეტევის განხორციელების მუქარა, სახელმწიფოს ან მისი ხალხის პოლიტიკურად, სოციალურად, რელიგიურად ან იდეოლოგიურად დაშინების მიზნით.

ცნობით (Alliance For Securing Democracy), რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევიდან ერთ-ერთი 2008 წლის 18-20 ივლისს, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ბოტნეტების მეშვეობით განხორციელებული შეტევის შედეგად საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი ერთი დღით გაითიშა. შეტევისთვის გამოყენებული ბოტნეტის ტიპი და რეგისტრაციის სერვერი რუსეთს უკავშირდებოდა. კიბერშეტევები საქართველოზე 2008 წლის აგვისტოს ომის პარალელურადაც გაგრძელდა. აგვისტოში, რუსეთის ჯარების შემოსვლის შემდეგ, კიბერშეტევები განხორციელდა საქართველოს მედია, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო კომპანიების წინააღმდეგ, ხოლო სახელმწიფო უწყებების ვებ-საიტებზე მე-20 საუკუნის დიქტატორების ფოტოები გამოჩნდა. ამერიკელი უსაფრთხოების მკვლევრების ჯგუფებმა თავდასხმების ორგანიზატორებად სანქტ-პეტერბურგში დაფუძნებული ჰაკერული დაჯგუფება Russian Business Network (R.B.N.) დაასახელეს, რომელიც წარსულშიც მსგავსი მეთოდებით მოქმედებდა.

2008 წლის აგვისტოს ომიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოში ტვიტერი და ფეისბუკი გათიშეს რუსმა ჰაკერებმა, შეტევა განახორციელეს სამთავრობო სტრუქტურების ოფიციალურ ვებ-გვერდებზეც, 2016 წელს ასევე იყო ინციდენტი, 21-25 მაისს ქართულ საფინანსო ორგანიზაციებზე DDoS მასიური შეტევა დაფიქსირდა 160-ზე მეტი ქვეყნიდან და გამოყენებული იყო 300 300-მდე IP მისამართი.

საგანგაშო ფაქტების გამო საქართველოს ხელისუფლებამ სამართლებრივ-ნორმატიულ ბაზაზე დაიწყო მუშაობა და 2012 წელს მიღებულ იქნა კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, ხოლო 2013 წელს გამოქვეყნდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია. როგორც ვხედავთ საქართველოს მთავრობამ დაიწყო ამ გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ აუცილებელია მეტად გააქტიურება და მეტად დაცული სისტემის შექმნა, რადგან დღეს კიბერ-სივრცეზეა აწყობილი ძირითადი თავდაცვის და არამარტო თავდაცვის სისტემა, თუკი მოწინააღმდეგე შეძლებს სახელმწიფოს კიბერ-სივრცეში შეღწევას იმ მიიღებს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებაა, ასევე ინფორმაციას მოქალაქეებზე, რომელმაც შეიძლება კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანოს

სახელმწიფო. კიბერტერორიზმით რუსეთი აქტიურად ცდილობს აწარმოოს პროპაგანა, გავლენა მოახდინოს არჩევნებზე და ა.შ აქედან გამომდინარე, ჰიბრიდული ომის პრიორიტეტულ საშუალებად გვევლინება კიბერტერორიზმი და მისი შესაძლო შედეგები, საქართველოს კი ბევრი მუშაობა მოუწევს შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

4.3 რუსეთის საინფორმაციო ომი-პროპაგანდა

რუსეთმა კარგად იცის და იცოდა საინფორმაციო ომის ფასი და მისი მნიშვნელობა, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს დონეზეა აღიარებული. საბჭოთა კავშირს „ლეგენდარული“ პროპაგანდა გააჩნდა, რუსული დღევანდელი პროპაგანდაც სწორედ საბჭოურ მეთოდებსა და გამოცდილებას იზიარებს, თუმცა დღეს მას არნახული მასშტაბები გააჩნია, მეტად დახვეწილი და საშიშია, ეს კი 21-ე საუკუნის ყველა იმ ინოვაციისა და ტექნოლოგიის დამსახურება, რაც დღეს სახეზეა. რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო ომის უმთავრესი იარაღი ჰიბრიდული ომის განუყოფელი ნაწილია და კრემლი მას ნებისმიერი მისი მოწინააღმდეგე ქვეყნის წინააღმდეგ იყენებს და ეს ინსტრუმენტიც, რა თმა უნდა, წარმოებული ჰიბრიდული ომის უპირობო მაგალითია. საინტერესოა, აღინიშნს რუსული პროპაგანდის რამდნეიმე უნივერსალური მახასიათებელი ფაქტორი, რომელიც საერთოა სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული კამპანიისათვის:

- მოცულობა და გავრცელების მრავალ არხიანი ქსელი;
- ობიექტური რეალობის უგულებელყოფა;
- სიხშირე, უწყვეტობა და განმეორებადობა;
- პროპაგანდის ობიექტის დაბნევა;
- კრიტიკის უარყოფა.

საქართველო კრემლის პროპაგანდის წინ ყოველთვის იყო მოწყვლადი, რუსეთი ყოველთვის ცდილობდა პროპაგანდისტული იდეებით მოსახლეობაში პრო-რუსული ორიენტაციის გაღვივებას და მისთვის არასასურველი ინფორმაციის უარყოფას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ სერიოზული საფრთხის აღიარება და შესაბამისი სტრატეგიის შემუავება, რათა მოხდეს თავდაცვა, ასეთი მასშტაბის გამოწვევის წინააღმდეგ ალბათ

მხოლოდ სახელმწიფოს თუ შესწევს საკამრისი ძალა, რესურსი და ბერკეტი ეფექტური წინაარმდეგობისა.

გამოვყოთ კრემლის პროპაგანდის უმთავრესი მიზნები საქართველოში:

- ანტიდასავლური განწყობების გაღვივება;
- დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია;
- საქართელოს ევროინტეგრაციისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის შეჩერება;
- პრო-რუსული პოლიტიკური ორიენტაციის ზრდა;
- საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მიმართ ნეგატიური განწყობების გაღვივება და მარავლი სხვა.

რუსული ჰიბრიდული ომის, კიდევ საშიში გამოვინება - საინფორმაციო ომი/პროპაგანდა მუშაობს. საზოგადოება ორ ბანაკადაა გაყოფილი ერთი მხარს უჭერენ - დასავლეთს, მეორენი კი რუსეთს აღიქვამენ „ძმად და მეგობრად“, და ვერ აანალიზიბენ ყველა იმ საფრთხეს, რაც კრემლისგანაა მოსალოდნელი და ასევე, არ აღირებენ ყველა იმ საშინელ დანაშაულს, რაც საქართველოს წინაშე მიუძღვის ჩრდილოელ მეზობელს. აუცილებელია თავის დაცვა პროპაგანდისაგან, ობიექტური სინამდვილის დანახვა და რეალურად შეფასება არსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიტუაციის.

ცალკე სასაუბრო და განსახილველი თემაა რუსული პროპაგანდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში. აქ პირდაპირ, დაუფარავად მიმდინარეობს რუსიფიკაციის პროცესი ტელევიზიით, მედია სივრცით თუ სხვა. თანაც კარგად ვიცით, თუ როგორ იზოლაციაში ამყოფებს რუსეთი აღნიშნულ ორ ოკუპირებულ რეგიონს, რაც უფრო და უფრო მეტად მოწყვლადს ხდის მათ პროპაგანდისტული საფრთხეებისგან და ანტიქართული პოლიტიკის დანერგვისგან, ოკუპირებეულ ტერიტორიებში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობა რუსული გავლენის მარწუხებშია მთლაიანდ მოქცეული და რუსების მიერ კონტროლირებული ინფორმაციით იკვებება, ეს კი იმაზე უფრო დიდი პრობლემების მომტანია, ვიდრე აქამდე იყო სხვა დანარჩენი რუსული ქმედება.

დღეს, ორივე რეგიონში იმდენად მძლავრია ეს საბრძოლო იარაღი, რომ ბერვმა მოქალაქემ არც კი იცის დღეს რა ხდება საქართველოში, არ იციან ჩვენი

დამოკიდებულება და ამით რუსეთის მიზანი, რომ საქართველო აღიქვან როგორც მტრად მუშაობს.

4.4 რუსეთის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე

თუკი გსურს სახელმწიფო დაიმორჩილო მის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და ბაზარზეც უნდა გქონდეს გავლენა - რა თქმა უნდა, რუსეთმა ეს იცის.

სამწუხარო ფაქტია, რომ რუსეთის საქართველოსთვის უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ეს კი იმიტომ, ხდება რომ ეკონომიკურად სავაჭრო და ფულადი გზავნილების მიხედვით ყველაზე მეტად რუსეთის ფედერაციაზეა ქვეყანა დამოკიდებული. რუსული ბაზრის პოლიტიკური ხასიათისა და არასტაბილურობის გათვაისწინებით კი ეს ძალიან არასაიმედოა ჩვენი ეკონომიკისთვის და განსაკუთრებით კერძო სექტორისათვის.

კარგად ვიცით, რომ რუსეთმა დაგვიწესა ემბარგო და მნიშვნელოვნად გაართულა სავაჭრო პირობები სწორედ პოლიტიკური მოტივებით, ამიტომ საქართველოსთვის რუსეთის დიდი გავლენა ყოველთვის ძალიან დიდი საფრთხის შემცველია. ასევე საფრთხე სხვა კუთხითაც გვაქვს, თუკი რუსეთის ეკონომიკური ზრდის შემცირდება, მასზე დაწესებული სანქციების, რომელიც მრავლადაა დასავლური სახელმწიფოებისგან, და ნავთობზეც ფასები დაეცა ბუნებრივია იმოქმედებს რუსეთიდან შემომავალ ფულად გზავნილებზე და ექსპორტის მაჩვენებელზე, ეს კი საქართველოს ეკონომიკას უდაოდ დააზარალებს.

2012 წელს საქართველოს ხელისუფლების სათავეში ქართული ოცნების მოსვლამ და მისმა პოლიტიკამ გამიჯნოს რუსეთთან პოლიტიკური კონფლიქტი და კონომიკური ურთიერთობა გაზარდა რუსეთის როლი ჩვენს ბაზარზე და ლოგიკურია მისი გავლენაც. ამიტომ შეიძება ვივარაუდოდ, რომ ამ ყველაფერს რუსეთი თავისი პოლიტიკური ინტერესების გატარებისთვის გამოიყენებს, ისევე როგორც მაგალითად 2006 წელს მოხდა. 2013 წელს რუსეთმა მინერალურ წყლებზე და სასაფლო-სამეურნეო პროდუქტებზე შეზღუდვა მოხსნა და გაზარდა მეტად მისი რბილი ძალაც საქართველოში.

საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის აღნიშნავს, რომ ქვეყნის მიზანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, თუმცა საგანგაშოა რუსეთის მოქალაქეთა და რუსული კომპანიების სიმრავლე ისეთ სფეროებზე როგორიცაა: წყალმომარაგება, მადნეული, ელექტროენერგია, მინერალური წყლები და ა.შ.

კომპანია "ინტერ რაო", რომლის აქციონერები რუსული სახელმწიფო კომპანიები არიან, ფლობენ საქართველოს ენერგოსადისტრობუციო კომპანია "თელასს", თბოსადგურ "მტკვარი ენერგეტიკას", ჰესებს "ხრამჰესი 1", "ხრამჰესი 2". „ინტერ რაოს" მართვაში აქვს გადაცემული ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური "ენგურჰესი". რუსეთის მოქალაქე ფლობს შპს „ენერგიასაც", რომელსაც ეკუთვნის დარიალი ჰესი, ლარსი ჰესი, შილდა ჰესი. რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ავანიჰესი, ალგეთი ჰესი, სკურდიდი ჰესი. ქართული და რუსული მხარე ერთობლივად ფლობენ „საქრუსენერგოსაც", რომელიც ქვეყანაში ელექტროენერგიის გადამცემ სისტემას განკარგავს. ასევე, რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ჟინვალჰესი, აგრეთვე თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგების კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს". რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაშია ასევეა ნავთობ კომპანიები „ლუკოილი", „გალფი", „ფოთის ნავთობტერმინალი", ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანიები RMG Gold და RMG Copper, აგრეთვე მინერალური წყლების მწარმოებელი „ბორჯომი", მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების მწარმოებელი სს „ელმავალმშენებელი", „ვითიბი ბანკი ჯორჯია", კავშირგაბმულობის კომპანია „ბილაინი" და ბევრი სხვა კომპანიები (ძველიშვილი & კუპრეიშვილი, 2015, გვ. 5-6).

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ მაგალითად ინდოელ და ირანელ ბიზნესმენებს გარკვეული პრობლემები ექმნებად საქართველოში, მაშინ როცა რუსული კომპანიები შედარებით მარტივად მოღვაწეობენ ქართულ ბიზნესში, მაგალითად ავღოთ „როსნეფტი", „ბანკი ვითიბი", „ლუკოილი" ისინი არიან ქართულ ბაზარზე, მაშინ როცა აშშ-მ და ევროკავშირმა სანქციებიც კი დაუწესა მათ. სანქციები არაერთ რუსულ კომპანიას აქვს ევროპულისა და ამერიკის ტერიტორიაზე, თუმცა საქართველო რატომღაც აღნიშნულს არ იზიარებს, რუსულ კომპანიებზე მან სანქციები არ დააწესა, მაშინ როცა ირანის ისლამური რესპუბლის წინააღმდეგ მიღებულ სანქციებს შეუერთდა. ეს ფაქტი რუსულ

ძალას საქართველოს ტერიტორიაზე და ქართულ ეკონომიკაზე მნიშვნელვნად ზრდის. ხელისუფლება ამბობს, რომ სხვა ალტერნატივის პოვნა მარტივი არაა და შეიძლება გარკვეულ წილად ეს სიმართლეც იყოს, მაგრამ მე ამ ფაქტებით ხაზს ვუსვამ რუსეთის გავლენაზე ქართულ ეკომიკაზე, რაც რუსული ჰიბრიდული ომის გამოწვევებს მრავალფეროვანს ხდის და, შესაბამისად, ამით ვცდილობ დავამტკიცო, რომ ყველაფრის უკან რუსული პოლიტიკური ინტერესებია.

აუცილებელი აღსანიშნი საკითხია ქართული ტურიზმი და რუსი ტურისტების როლი. საქართველოს ეკონომიკისათვის ტურიზმის სფერო უმნიშვნელოვანესია და სახელმწიფოც ყველანირად ცდილობს სფეროს დახვეწასა და ხელშეწყობას, ტურისტების დიდი ნაწილი კი სწორედ რომ რუსეთის ფედერაციიდან ეწვევა ხოლმე საქართველოს, მითუმეტეს, რომ მათ საქართველოში ჩამოსასვლელად არ ჭირდებათ ვიზა. რუსული ტურისტების როლი ნამდვილადაა ხაზგასასმელი ფაქტი, თუმცა ვისაუბრთ თუ რა მოხდა ახლა? - 2019 წლის 20 ივნისს თბილისმა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეას უმასპინძლა, ღონისძიებაზე 25 ქვეყნის დელეგაციების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, იყვნენ რუსი დელეგატებიც. სერგეი გავრილოვმა, რომელიც რუსეთის დუმის კომუნისტური პარტიის წევრია პარლამენტის სპიკერისთვის განკუთვნილი სკამი დაიკავა, რამაც ქართულ მოსახლეობაში უდიდესი პროტესტი და გამოსვლები გამოიწვია. ეს იყო რუსული დიდი პროვოკაცია, რომლის მიზანიც იყო საქართველოში ქაოსისა და არეულობის შექმნა, რაც მოხდა კიდეც. თითოეული პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდასთვის მიუღებელი იყო ფაქტი, რომ ოკუპანტი ქვეყნიდან საქართველოში ჩამოდის დეპუტატი და მითუმეტეს ის იკავებს პარლამენტის სპიკერისათვის განკუთვნილ სკამს და ისე აკეთებს განცხადებას. ეს ნამდვილად დიდი პროვოკაცია, რამაც იმუშავა, საქართველოში რუსული ნარატივის საპროტესტო აქციების ფონზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთიდან საქართველოში საჰაერო მგზავრობა აკრძალა, რის შემდეგადაც რუს ტურისტებს არ ექნებათ საქართველოში თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობა, ამით კი რუსეთი კიდევ უფრო დაასუსტებს ქართულ ეკონომიკას და იმოქმედებს ჩვენს შიდა პოლიტიკაზეც. ყოველივე ამას მოჰყვა არაერთი განცხადება როგორც რუსული, ასევე ქართული

მხრიდან. რუსები ცდილობენ ქართველები ქსენოფობიაში დაადანაშაულონ და კიდევ ბევრ პროვოკაციულ განცხადებასაც ავრცელებენ, რითაც მეტ პროტესტსა და არეულობას იწვევენ ქვეყანაში.

დასკვნა

რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდულმა ომმა დამოუკიდებელი საქართველო უმარავი გამოწვევისა და პრობლემის წინაშე დააყენა. მისი მიზანი ქვეყნის სრული ანექსია იყო, თუმცა ეს ჯერ ვერ გამოუვიდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ქვეყნის 20% არის ოკუპირებულია არის დიდი კატასტროფა. რუსეთმა აფხაზეთში და სამაჩაბლოში დასახულ მიზანს მიაღწია ყველა თავის ხელთ არსებული ბერკეტით, რითაც საქართველოს სუვერენიტეტის უხეში რღვევა გამოწივია.

აგვისტოს ომი იყო კარგად დადმული სპექტაკლი რუსეთის ფედერაციის მიერ, რომლის მთავარი მიზანი იყო, ჯერ ირიბად, ხოლო შემდეგ პრირდაპირ საქართველოზე მოეხდინა სრული გავლენა, საიდანაც რუსეთი არა როგორც აგრესორი, არამედ მშვიდობისმყოფელი უნდა გამოსულიყო. არაერთმა მისიამ შეისწავლა ომის მსვლლობაც და წინა პერიოდიც, რამაც აჩვენა თუ როგორი გათვლები ჰქონდა რუსეთს და როგორი გზებით სურდა ქვეყნის დემორალიზება და დაშლა, მან დამოუკიდებელ ქვყენაში შექმნა მართვადი ქაოსი, როგორც ვალერი გერასიმოვიც აღნიშნავდა, რუსეთის ახალი ტიპის

ომში მთავარია გონება, რუსეთის გონება კი ნათლად დავინახეთ იმ პერიოდის შესწავლისა და გაანალიზების დროს.

რუსეთის ჰიბრიდული ომი 2008 წელს არ დამთავრებულა, პირიქით, ახალი გზებითა და ახალი ძალებით გაძლიერდა და უფრო კომპლექსური გახდა, არა მხოლოდ სეპარატისტული ძალების კუთხით, არამედ მრავალპროფილური მიდგომით, რაც საქართველოსთვის იმაზე უფრო მასშტაბური პრობლემების შექმნა შეუძლია, ვიდრე ეს 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითით იყო.

ამიტომ მნიშვნელოვანი აქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა წინ აღუდგეს არსებულ წნეხს და სამომავლოდ თავის დასაცავად კი მიიღოს პრევენციული ზომები. ქვეყნისთვის აუცილებელია პოლიტიკის პრიორიტეტები ფოკუსირებული იყოს რამდენიმე მთავარ საკითხზე და კომპლექსური მუშაობით გაძლიერდეს:

- პრო-დასავლური კურსი;
- თავდაცვა და უსაფრთხოება;
- ეკონომიკა და ვაჭრობა;
- ენერგეტიკა;
- განათლება;
- დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება/მშენებლობა.

პირველ რიგში, ვთვლი, რომ საქართვლოს ხელისუფლება მაქსიმალურდ უნდა ცდილობდეს მოსახლეობა ობიექტურად ინფორმირებულობას არსებული საფრთხეების შესახებ. უნდა შემუშავდეს სპეციალურის ტრატეგია, რომელიც ჰიბრიდული ომის გამოვლინებაზე და მასთან ბრძოლის საშუალებებზე იმუშავებს, პრევენციის მიზნით კი გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ჰიბრიდული საფრთხეებისგან თავდასაცავად კი აუცილებელია:

- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- პოლიტიკური აქტორების პერსონალური პასუხისმგებლობის ზრდა;
- მთავრობამ მჭიდროდ ითანამშრომლოს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორებთან და მედია სივრცესთან;

- შემუშავდეს სტრატეგია, რომლის მიზანი იქნება მოწყვლადი ეკონომიკის გაძლიერება;
- სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ბრძოლა კორუფციისა და ორგანიზებული დანშაულის ნებისმიერ გამოვლინების წინააღმდეგ;
- საკანონმდებლო დონეზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თუ როგორ დაისჯება ის პირი, ვინც ხელს შეუწყობს ქვეყნის ტერიტორიაზე რუსულ ჰიბრიდულ პოლიტიკას;
- უნდა იყოს თავისუფალი მედია-სივრცე;
- იყოს დემოკრატიული არჩევნები;
- გავაძლიეროთ ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრირების პოლიტიკა;
- უნდა გაძლიერდეს კონტრდაზვერვა და თავდაცვა;
- კონტრ-ნაბიჯები გადაიდგას რუსეთის მიერ ორგანიზებული კრიმინალური, სადაზვერვო, სამხედრო, კორუფციული და პროპაგანდისტული აქტივობების წინააღმდეგ;
- უსაფრთხოებისთვის აუცილებელია სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი ტექნიკით აღჭურვა, მობილური, სწრაფად მანევრირებადი რაზმების ჩამოყალიბება და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალექსიძე, ლ. (2010). *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.* საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“;

ახობაძე, ლ. (2011). *თანამედროვე“ რუსული ოკუპაცია“ (17 სერია).* თბილისი, დოკუმენტური ფილმი;

გაბედავა, მ. (2009). *რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ: 2008 წელი.* თბილისი, გამომცემლობა „ნიკერი“;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. (1945);

გამისონია, ნ., პერტაია დ. (2009). *რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და მისი შედეგები.* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;

გახარაია, ე. (2017). *ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარების მიმართ მიდგომების ხელახლა გააზრება და ახალი ვექტორები მის ტრანსფორმაციისთვის.* ქუთაისი, კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“;

დიასამიძე, თ. (2002-2011). *რეგიონული კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011).* თბილისი, წიგნის მომზადება და გამოცემა დააფინანსა საქართველოში აშშ საელჩომ, ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველო“, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტმა, ევროკომისიის დელეგაციამ საქართველოსა და სომხეთში, ეუთოს მისიამ საქართველოში;

ელბაქიძე, ე. (2017). რუსული მცოცავი ოკუპაცია ციფრებში. თბილისი, factcheck ფაქტ-მეტრი. მოძიებულია 14 აპრილი, 2019, იხ: https://factcheck.ge/ka/story/30489-rusuli-mtsotsavi-okupatsia-tsiphrebshi

ზაქარეიშვილი, ბ. (2014). *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ხედვა ქართულ–აფხაზური და ქართულ–ოსური ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზების თაობაზე.* თბილისი;

კაკაბაძე, ვ. (2019). *სახალხო დიპლომატიის ადგილი ქართულ და აფხაზურ პოლიტიკაში.* თბილისი, ჟურნალი „მატიანი“. მოძიებულია 12 ივნისი, 2019, იხ: http://iccn.ge/files/concept_abkhazia_public_diplomacy_by_vazha_kakabadze_2018.pdf

კაკაჩია, კ., კახიშვილი, ლ., ლარსენი, ჯ., გრიგალაშვილი, მ.(2017). *ბორდერიზაცია საქართველოში: რუსეთის პოლიტიკის შეკავების სტრატეგია.* თბილისი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი;

კაპანაძე, ვ. (2012). *დაბრუნება მომავალში - ანუ ჰიბრიდული ომების ეპოქა.* თბილისი, მოძიებულია 17 მაისი, 2019, იხ: http://strate.ge/index.php?option=com_content&view=article&id=126:2012-08-09-18-06-15&catid=34:2010-01-10-14-58-06&Itemid=112

კინწურაშვილი, თ. (2015). *ანტიდასავლური პროპაგანდა.* თბილისი, მედიის განვითარების ფონდი;

კუხიანიძე, ა. (2004). *კონტრაბანდის პრობლემა საქართველოში: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.* თბილისი, გამომცემლობა შპს. „პოლიგრაფი“;

მაგშტადი, თ. (2010). *გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტირუტები და პრობლემები.* თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

მაცაბერიძე, დ. (2014). *კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში: ქართული და აფხაზური ნაციონალიზმების დაპირისპირება 1989-2012 წლებში (ინსტიტუტების და ინსტიტუციური აქტორების ანალიზი).* თბილისი, თსუ-სადოქტორო ნაშრომი;

მაცაბერიძე, მ. (2016). *კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი.* თბილისი, თსუ-სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა;

მაცაბერიძე, მ. (2008). *რუსეთი და საქართველო: აგრესიის გაკვეთილები.* თბილისი, საგამომცემლო-ანალიტიკური ცენტრი „ახალი აზრი“;

მაცაბერიძე, მ. (2016). *შეიარაღება, ომი და მშვიდობა სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი, თსუ-სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა;

მალაშხია, შ. (2011). *კონფლიქტების ანატომია.* თბილისი, გამომცემლობა „ფორმა“;

მამრაძე, პ. (2012). *ავანტიურა 08.08.08.* თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა“;

მარგველაშვილი, მ. (2019). *„გაზპრომი“ და ფივერსიფიკაცია - კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვს.* თბილისი, Forbes Georgia, მოძიებულია 20 აპრილი, 2019, იხ: https://forbes.ge/news/6065/kiTxvebi-romlebic-pasuxs-moiTxovs

მგალობლიშვილი, გ. (2016). *ჰიბრიდული ომი და ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ლანდშაფტის ცვლილება.* თბილისი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC);

მედია მონიტორინგის ანგარიში. (2017). *ანტიდასავლური პროპაგანდა.* თბილისი, მედიის განვითარების ფონდი;

მჭედლიძე, კ. (2015). *საქართველოში „გაზპრომის“ შემოსვლის ეკონომიკური საფრთხეები.* თბილისი, რადიო თავისუფლება, მოძიებულია 10 მაისი, 2019, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/gazpromi-da-riskebi/27311581.html

პოლიტიკის დოკუმენტი. (2016). *ახალი გამოწვევა საქართველოს ინტერნეტ სივრცისთვის.* თბილისი, Internet Development Initiative – IDI;

პოლიტიკის დოკუმენტი. (2016). *კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა.* თბილისი, Internet Development Initiative – IDI;

პოლიტიკის დოკუმენტი. (2015). *ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ.* თბილისი, ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო";

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. (2016). *ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები.* თბილისი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;

საქართველოს მთავრობა. (2008). *სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.* თბილისი;

საქართველოს მთავრობა. (2010). *ჩართულობის სტარტეგიის სამოქმედო გეგმა.* თბილისი;

საქართველოს მთავარი პროკურატურა ანალიტიკური სამმართველო. (2013). *ინფორმაცია კიბერდანაშაულის შესახებ.* თბილისი;

სვანაძე, ვ. (2016). *რუსეთის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობები.* თბილისი, საქართელოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;

ტუკვაძე, ა. (2015). *რუსეთის პოლიტიკური კულტურის თავისებურებები (ისტორიული კონტექსტი).* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;

ყალიჩავა, კ. (2016). *რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში.* თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;

ყარყალაშვილი, გ. (2009). *ეს ჩვენი სამშობლო იწვის.* თბილისი, გამომცემლობა Palitra L;

შველიძე, დ. (2012). *გზა დასავლეთისკენ (პუბლიკაციების კრებული).* თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“;

შტაინმაიერი, ფ. (2008). *კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ელემენტები.* გერმანია;

ჩაგელიშვილი, თ. (2014). *აგვისტოს ომი.* თბილისი, დოკუმენტური ფილმი;

ჩიტაძე, ნ. (2011). *საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი.* თბილისი, საერთაშორისო კონფერენცია: „სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი პრინციპები“;

ძველიშვილი, ნ., კუპრეიშვილი, თ. (2015). *რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში.* თბილისი;

ჯოჯუა, დ. (2010). *რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის ავგისტოს ომი და მისი შედეგები.* თბილისი;

Altman, D. (2017). *The Long History of "Green Men" Tactics and How They were Defeated.* USA, War on the Rocks;

Asmus, R. (2010) A Little War that Shook the World: Georgia, Russia and the Future of the West. London, St.Martin's Press;

Berzins, J. (2014). *Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy.* Riga, National Defence Academy of Latvia Centre of Seciurity and Strategic Research;

Blank, S. (2009) *From Neglect to Duress: The West and the Georgian Crisis Before the 2008 War. In: The Guns of August 2008.* Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Cohen, A., Hamilton, R. (2011). *The Russian Military and the Georgia War.* Wanshigton, The Strategic Studies Institure (SSI);

Felgenhauer, P. (2008). *After August 7: The Escalation of the Russia-Georgia War. In: The Guns of August 2008*. Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Galeotti, M. (2014). *The 'Gerasimov Doctrine' and Russian Non-linear War*. Moscow, In Moscow's Shadow; მოძიებულია 4 აპრილი, 2019, იხ: https://inmoscowsshadows.wordpress.com/2014/07/06/the-gerasimov-doctrine-and-russian-non-linear-war/

Goltz, T. (2009), *The Paradox of Living in Paradise: Georgia's descent into Chaos. – In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr.* NY–London: Armonk, Central Asia-Caucasus Institute;

Hoffman, F. (2014). *On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats.* Zurich, ETH Zurich-Centre of Security Studies;

How NATO's Article 5 works. (2015). London, The Economist, მოძიებულია 2 აპრილი, 2019, იხ: https://www.economist.com/the-economist-explains/2015/03/09/how-natos-article-5-works

Illarionov, A. (2009). *The Russian Leadership's Preparation for War, 1999-2008. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr.* Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Johnson, L. (2015). Georgian Foreign Minister Says South Ossetia Could be Annexed Like Crimea. თბილისი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, მოძიებულია 10 მაისი, 2019. იხ. http://mfa.gov.ge/MainNav/DiplomatService/Ministry/Interviews/Georgian-FM-Says-South-Ossetia-Could-Be-Annexed-Li.aspx

Jones, S. (2012). *Georgia: A Political History Since Independence.* London–New York, I.B Tauris;

Kapanadze, S. (2014). *Georgia's Vulnerability to to Russian Pressure Points.* Tbilisi, European Council on Foreign Relations;

Kirova, I. (2012). *Public Diplomacy and Conflict Resolution: Russia, Georgia and the EU in Abkhazia and South Ossetia.* Los Angeles, Figueroa Press;

Korybko, A. (2015). *Hybrid wars: The Indirect Adaptive Approach to Regime Change.* Moscow, Peoples' Friendship University of Russia;

Lucas, E., Pomeranzev, P. (2016). *Winning the Information war: Techniques and Counter-Strategies to Russian Propaganda in Central and Eastern Europe.* Wanshigton, Center for European Policy Analysis (CEPA);

Laruelle, M. (2015). *The Russian World: Russia's Soft Power and Geopolitical Imagination*. Wanshigton, Center of Global Interests;

McMaster, H.R. (2013). *The Pipe Dream of Easy War*. New-York, The New-York Times;

Nilsson, N. (2009). *Georgia's Rose Revolution: The Break with the Past. In: The Guns of August 2008. Edited by Svante Cornell E. and Frederick Starr S* Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Popjanevski, J. (2009) *From Sukhumi to Tskhinvali: The Path to War in Georgia. In: The Guns of August 2008.* Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Report (2009). Independent International Fact Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG);

Sakwa, R. (2012). *Great Powers and Small Wars in the Caucasus. In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex.* New York, Cambridge University Press;

Sherr, J. (2009). *The Implications of the Russia-Georgia War for European Security. In: The Guns of August 2008.* Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Smith, D.J. (2009). *The Saakashvili Administration's Reaction to Russian Policies Before the 2008 War. In: The Guns of August 2008.* Armonk, NY–London, Central Asia-Caucasus Institute;

Williamson, M. (2012). *Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present.* Cambridge, Cambridge University Press;

Герасимов, А. (2013). *Учение Герасимова.* Москва, Военно-промышленный курьер № 8 (476) http://vpk-news.ru/sites/default/files/pdf/VPK_08_476.pdf;

Федеральный закон «О Гражданстве РФ.» От 31.05.2002. № 62- ФЗ. ix.: http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193;

ექსპერტული ინტერვიუ: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორ მალხაზ მაცაბერიძესთან, 2 ივლისი, 2019;

ექსპერტული ინტერვიუ: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორ ალექსანდრე კუხიანიძესთან, 1 ივლისი, 2019;

ესქპეტრული ინტერვიუ: საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენელ, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტ მიხეილ სადაღაშვილთან, 9 ივლისი, 2019

დანართი #1

სიღრმისეული, ექსპერტული ინტერვიუ პოლიტიკის მეცნიერების წარმომადგენლებთან, ექსპერთებთან, მკვლევარებთან
ინტერვიუს გზამკვლევი
გაცნობითი ხასიათის კითხვები: 1. სახელი და გვარი: 2. განათლება (პროფესია): 3. საქმიანობა (მოღვაწეობის სფერო):
ინტერვიუზე დასმული კითხვები
1. რას ფიქრობთ რუსეთის ჰიბრიდული ომზე? 2. თქვენი აზრით, რუსეთის პოლიტიკა სეპარატისტულ რეგიონებში - აფხაზეთი და სამაჩაბლო - რამდენად იყო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ჰიბრიდული ომის ნაწილი? 3. საქართველოს ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად გარკვეულ ასპექტებში იცვლებოდა პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, თქვენი აზრით, ამან რამდენად განაპირობა რუსული ჰიბრიდული ომის გაძლიერება? 4. თქვენი აზრით, რომ არა რუსეთის მხარდაჭერა სეპარატისტულ რეგიონებში, როგორი პოლიტიკური სურათი იქნებოდა დღეს საქართველოში? 5. როგორ შეაფასებდით, ქართული ხელისუფლებების პოლიტიკას სეპარატისტულ რეგიონებთან მიმართებში 1991-2008 წლებში. 6. რას ფიქრობთ 2008 წლის აგვისტოს ომზე? 7. როგორ შეაფასებდით 2008 წლის აგვსიტოს ომში ქართული ძალების მოქმედებას. 8. როგორ შეაფასებდით 2008 წლის აგვსიტოს ომში რუსული ძალების მოქმედებას. 9. როგორ შეაფასებდით 2008 წლის აგვსიტოს ომში აფხაზი ძალების მოქმედებას. 10. როგორ შეაფასებდით 2008 წლის აგვსიტოს ომში სამხ. ოსური ძალების მოქმედებას. 11. თქვენი აზრით, რომ არა დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარების ფაქტი, გაბედავდა თუ არა რუსთი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარებას? 12. როგორ შეაფასებდით საქართველოს პოლიტიკას ოკუპირებული

ტერიტოიებთან მიმართებაში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს.

13. როგორ შეაფასებდით საქართველოს პოლიტიკას ოკუპირებული ტერიტოიებთან მიმართებაში დღეს.
14. თქვენი აზრით, კიდევ რა გამოვლინებები აქვს რუსულ ჰიბრიულ ომს საქართველოში?
15. თქვენი აზრით, რა პრევენციული ზომები უნდა მიიღოს საქართველომ ჰიბრიდული ომიდან მომინარე საფრთხეებიდან თავის დასაცავად?
16. თქვენი აზრით, რამდენად დაგვეხმარება საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკური ურიენტაცია რუსულ ჰიბრიდულ ომთან საბრძოლველად?
17. დასკვნის სახით, იქნებ გვესაუბროთ და შეაფასოთ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე დღევანდელი დაძაბული სიტუაციის გათვალისწინებით.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Gvantsa Modebadze

Russian Wybrid Warfare against Georgia: Supporting Separatism in Abkhazia and Samachablo

Master's Program in Political Sciences

The Thesis is done to obtain Master's Academic Degree in Political Sciences

Supervisor:

Doctor of Political Sciences, Giorgi Melikidze

Tbilisi

2019